

275  
1892

№ II

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
საბჭო



# ქვეტილი

345/3

139

1892

ზ ი ნ ა ა რ ს ი

ქურონალის «ჯეჯილი»-სა

	ბმეწ.
I. მეძროხის მუდარა, ლექსი ზეზვასი . . . . .	3
II. გოგრა, მოთხრობა გაყა-ფშეველასი . . . . .	4
III. დათვი, ლექსი ჯგაკისა . . . . .	13
IV. სესე, ისტორიული ამბავი გ. ბაწრუკისა . . . . .	16
V. იის ნამბობი, ლექსი ზეზვასი . . . . .	25
VI. უცაბედი მოგზაურობა, თარგმანი ა. თ.-წ—სა. . . . .	27
VII. ხურჯინი, იგავ-არაკი ფედრისა, ლექსი ჩისეღმისა . . . . .	37
VIII. დეენული მეგობარი, მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა . . . . .	38
IX. ჯაფარ-გმირი, ხალხ. ლექსი, შ. გულისაშვილისაგან ჩაწერილი. . . . .	47
X. ჩენი ძველი გმირები, ისტორიული სურათები გ. წერეთლისა . . . . .	48
XI. ვეფხის-ტყაოსანი, ნამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის გ. ი—სა . . . . .	66
XII. ბენიამინ ფრანკლინი, გადმოკეთებული ა. თ.-წ—სა. . . . .	78
XIII. როგორ ისწავლა პეტრემ წიგნი, ა. თ.-წ—სა . . . . .	86
XIV. ბატი და ღორი, გადმოკეთებული იაკობ სვიმონიძისა . . . . .	88
XV. ხალხური ლექსი, ჩაწერილი არგვეთელისაგან . . . . .	89
XVI. თავ-დავლობა ანუ ქალაქობია, თამაშობა ან. მანისა. . . . .	—
XVII. ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ზმა, სამათემა- ტიკო გამოცანები, შარადა და რებუსი . . . . .	91

# ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი

ქუნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაბურდი, განდი ყანო!...

•••

№ II

ველიწადი ძესამე



ტფილისი

სტამბა ი. ა. მანსუეტოვისა დ წიგნების გამომცემთა ამხანაგობისა

1892


5972.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Февраля 1891 г.*

Типографія Я. А. Мансветова и Издательскаго Товарищества

# მეძროხის მუდარა

(სავაზაფხულო)



ზეო, მიიღე მუდარა,  
გვიბოძე სსივი ნათელი,  
ნისლი გაფანტე, აძართე  
ბაღასი, ზვავის ნათელი.

მოგვსედე: ბექ-ბუქებშია  
აღძოცენე ლელია,  
გამოაფსილე ძთა-ბარა,  
აუვავილე ველია!...

მაღლია ჩემდა... მაძღარი  
ძროხა მიდგება კარებზე;  
ჩემი სიცოცხლე ჰკიდია  
ფურებზედა და ხარებზე:

ფური მისველებს ლუკძასა  
ხარი სძელს მიხენს ქედითა;  
ამათ მოვლაში ვიტანჯვი  
დაგლილებული სელითა.

ლაძის გამიწედეს საქონი  
ბოჩაღა, ფური, ხარია,  
დაძიწიოკდეს ოჯახსი,  
გამომეჯაროს კარია.



## გ ო გ ო ნ ა \*)

## I



ინ იყო გოგრა? გოგრა სწორედ ხუთის წლის სოფ-  
 ლელი ბიჭია. ეს სახელი პაპამ, მამამ, დედამ და  
 მთელმა სოფელმა ერთ ხმად დაარქვეს ქიტოს. რად  
 და რისთვის? იმისთვის, რომ თავი დიდს გოგრასა-  
 ვით ჰქონდა და ბრძნული საუბარი უყვარდა.

— ღმერთმა კი დიდი დღე მისცეს შენს გოგ-  
 რას, სოლო, ეტყოდნ გოგრას მამას სოფლელნი  
 და, თუ ერთი გაიზარდა, მაშინ, ძმაო, ჩვენ კი უნდა  
 გადაესახლდეთ სადმე. ცალიერი გოგრა და ჭკუაა, მეტი რო არ  
 იქნება, მაგისტანა ბაღლი არ შეიძლება! რაებს არ მოგიყვება, შე-  
 ნი ჭირიმე, თითქოს ასი წლის მოხუცებულია, ყველაფერში გამო-  
 ცდილიო!...

ზის გოგრა კერის პირას. ლოყები დასწითლებია თურაშაული  
 ვაშლივით და დაჰსიება ისე, თითქოს ფურნის რუსული ჰურები  
 მიუწებებიათ იქით და აქეთაო; თვალები სიმსუქნისაგან ჩაძვრნილი  
 აქვს; ცხვირიც ძლივსლა ეტყობა, კოტიტა ფეხები ცეცხლისთვის მი-  
 უშვევრია ჩვენს გოგრას, მუცელი ტიკჭორასავით გამოჰბერია და  
 თავის დედას დარიგებას აძლევს.

— დიდ ჯამში ჩამისხი ლობიო, არ მინდა პატარა ჯამი; თუ  
 კი პაპას და მამას დიდ ჯამში უსხამთო ხოლმე საჭმელს, მე რაღა  
 ვარ?! მეც ეხლა დიდი კაცი გავიზარდე, — ამბობს გოგრა დინჯად.

\*) გოგრა ქართლში ჭკვიანი კაცის სახელია.

დელაც უსრულებს წადილს. რომ არ აუსრულოს, გოგრას სამდურავს ვინ დაუდგება, ვინ გაუძლებს?!

— ჩემი კოვზი მომიტანე, დიდი კოვზი, ეს პატარაა, არ მინდა! იწუნებს პატარა კოვზს გოგრა.

ამოუჯდება გოგრა ლობიოან ჯამს და ორივე ყბითა სჭამს. გვერდით თავის საყვარელი კატა უზის, ისიც იმასავით გოგრაა... ხან-და-ხან კატა გოგრას ფეხს ჩამოუსვამს, ანიშნებს ცოტა-მატა მეც მინაწილეო.

გოგრას კი ფიქრადაც არ მოსდის ვისმე რამ უნაწილოს, თვითონაც არ ეყოფა და იმიტომ გოგრა კატას ღარიგებას აძლევს.

— თავებს რატომ არ იჭერ? კატავ, წადი, თავგი დაიჭირე, წადი, თავგი დაიჭირე, და თან ფეხს ადგამს. კატა უფრო-და-უფრო გოგრასაკენ იწევს, კატას გოგრა უყვარს, განა თუ მართლა ლობიო. მაგრამ ეს არ იცის; ჰგონია კატასაც ისე უყვარს ლობიო, როგორც თვითონ. გოგრა მუგუზლით შეიარაღდა: ცალს ხელში მუგუზალი უჭირავს კატის მოსაგერებლად და მეორეში კოვზი.

## II

გოგრა გამოძლა, ჯამში გამკეთებელი გამოსახა, ისე მოლოკა. ჯამი გვერდზე გადადგა, ნიტრით წყალი მოიყუდა, დალია და ერთი მადიანად ამოიხენწემა გოგრამ. მერე ფეხზე წამოდგა და გაიზმორა.

— დედი, ფეხებს ჩამაცვი. ფეხ-შიშველა ვერ დაედივარ კარგად, ფეხის გულები მტკივა.

გოგრამ თავის ყადრი იცის.

— ენაცვალოს დედა ჭკვიანს შეილსა, რომ ყველაფერი იცის. ამ საათში, გენაცვალე, ამ საათში! — ეუბნება დედა. — საით მიემგზავრები გენაცვალე?

— სოფელში უნდა წავიდე.

— რადა?

— საქმე მაქვს. გოგრამ ახალუხის ჯიბეზე ხელი მოისო. დიდი ჯიბე დამიკვრე, დედა.

რად უნდა გოგრას დიდი ჯიბე? იმიტომ უნდა, რომ ეხლა სოფელში გაისეირნებს, ლალა უნდა მოკრიფოს. ისე არაფერს გამოისტუმრებს, რომ პატივი არაფრითა სცენ. ხელ-ცარიელი არაფერს დაუხედება.

გოგრა მოაგროვებს ხილსა, კაკლებს, ჩურჩხელებს, კვერცხებს.

— ბატონი მობძანდაო! დაიძახებს სახლის უფროსი, როცა გოგრა ესტუმრება თავის პატროსანი ღიპითა. მიაართვით, რაც მოგთხოვოსთო!

გოგრა არხეინად ალაგებს დედას ჯიბეში, არხეინად, დინჯად, დარბაისლოურად. მადლობასაც არაფერს გადაუხდის.

ყველაზე მეტად გოგრას კვერცხები უყვარს, მოიტანს შინ, დაგებინებს ნაბადს კერის პირას, ცალიერს დედა-მიწაზე არ დაჯდება და დაუცხუნებს ცეცხლს კვერცხებს.

— გამოცხვით, კვერცხებო, გენაცვალეთ, გამოცხვით გოგრა-სათვის, — ეუბნება გოგრა კვერცხებს და თან სიამოვნების ღიმილი ურბენს სახეზე.

### III

გაჩაღებული მკაა. დღეს ყველანი შინ და გარეთ მკაზე ლაპარაკობენ, კარგს მამკლებს ასახელებენ.

— ჰე, რა მამკალია პეტრე, მეტი არ იქნება. დღიურს მომკის დღეში! სხვების ქებაც ესმის გოგრას...

ალბად საქებური ყოფილა, ვინც კაი მკა იცისო — იფიქრა გოგრამ და მოინდომა ნამგალი.

— ჯერ პატარა ხარ, შვილო, ჯერ შენ ნამგალს ვერ მოიხმარებ. ეუბნებოდა პაპა გოგრას, მაგრამ გოგრა მაინც დარწმუნებული იყო, რომ ნამგალს იხმარებდა.

— თუკი ხანჯალსა ეხმარობ! სთქვა გოგრამ, თან ქარქაშიდამ ამოაძრო ხანჯალი, რომელიც წარსულ კვირას მოუტანა მამამ ქლაქიდაძე, და მერე ისევ ჩააგო.

— ხანჯლის ხმარება იცი და მოგიხდება კიდევ, როგორც ვაჟაკსა, შეილო! ნამგალი რა შენი საკადრისია, შენ უნდა ბატონივით მუშებს თავს ადგე, — უთხრა პაპამ გოგრას.



მთელი გოგრას ოჯახობა ყანის სამკალად არიან წასულლები. გოგრაც ნამკალში დგას. გაბერილს ღიბზე ჩამოუკანკურებია ხანჯალი, ტარზე ხელი უჭიდავს და მედიდურად გამოიციქირება. გოგრას მაინც გულში აქვს, სცადოს თავი მკაში.

აგერ გამოჩნდა გოგრას დედა, მუშებისათვის სადილი მოაქვს, ქოთნით მაწონი, გულთ პური. ყველანი იქვე ყანის პირში რომ პანტა დგას, იქ მოქუჩდენ და მაწენიანს ჯამებს ამოუსხდენ მადია-

ნად, გოგრა ც მიიპატიყეს, მაგრამ გოგრა არ მიდის. იმან ჩუმიდ ნამგალი აილო და ყანას დაუწყო მკა. ნამგალი პირველ გამოსმაზე თითზე მოილო; გოგრას სისხლმა წამოხეთქა თითილამ, ნამგალი და ხელეური ერთად ჩაუცვიედა დაბლა. გოგრას მუხლები მოეკვეთა და ჩამოჯდა. მარჯვენა ხელით დაიჭირა წყლოულიანი თითი და ამ გვარად დაღმეკილი მოელოდა შველას. გოგრას ეტირება, მაგრამ არა ტირის: იცის, რომ სირცხვილია ვაყვაცისათვის ტირილი.

— რატომ არ მოდის ის ბიჭი, ქა, არაფერი კი არ იეშმაკოს! სთქვა გოგრას დედამ და წაეიდა შვილისაკენ. შორიდანვე შეატყო, რომ გოგრას უჭირდა საქმე.— ჰი, შე ბაიყუშო, იქნება ხელი მოიჭერი?

გოგრამ თავი დაიქნია, ხმა კი არ ამოილო.

— ქა, ქა, ქა, მომიკედა თავი, რამოდენად გაუჭრია ხელი ამ სულელსა! ამბობდა გოგრას დედა, თან თავის კაბის ნაგლეჯით უხვევდა წყლოულსა. გოგრა დაბღვერილი გამოიციკირება; მაგრამ ხმას არც ავად, არც კარვად იღებს. თავთავი კრიფე, შვილო, გენაცვალე, ევეც საქმეა, არც ხელს მოიჭრი და არც არაფერს,— უთხრა კელავ დედამ.

გოგრა უწადინოდ შეუდგა თავთავის კრეფას.

— სარჩოს პირი უჩანს გოგრას; ძან მეოჯახე კაცი გამოვალ. ისმის ხმა მუშებისა.

#### IV

დადგა ზამთარი. გოგრას პაპამ ციგა გამართა და ეზიდება შესას. გოგრამაც ციგა მოინდომა. მეტიხარა არ არის, უნდა ასრულდეს გოგრას სურვილი: ყველა ოჯახის წევრმა გოგრას ციგის კეთებაში მონაწილეობა მიილო; პირველად კი პაპამ დაიწყო ციგის კეთება და წნელები კიდევ გოგრას დამ შეება. გოგრა შორს ვერ მიდის შემაზე, რადგან „შესცივა,“ იქვე ახლო-მახლო ტყის პირებ-

ში ჰკრეფდა ჩინჩხვარებს, უწყობდა თავის ორ-მტკაველა ციგაზე და გამოსწევდა შინისკენ.

მოდის, მოეზიდება გოგრა შეშას და თან იძახის:

„ოტფრუ კამეჩო ღვინაო,  
გასწი ყველაზე წინაო?...“

მოაქვს შეშა გოგრას და დერეფანში საყენებს ღვინას. ხელს ვერავენ ახლებს გოგრას შეშას მის უნებურად...

თოვლა დაუარა დელა-მიწა, დაუარა ტყე, ჩიტებს საჭმელი ველარ უშოვიათ; ეხვევიან საბძელ კალოს, სხდებიან ლობეზე და შესტირიან კაცის ბინას: გვაჭამეთ რამეო!

გოგრამ, ჩიტების მნახველმა, ნადირობა მოინდომა, მაგრამ კაკანათი არა აქვს. ადგა და ცხრილი დაუგო კალოზე, თვითონაც შორი-ახლოს დაუჯდა, თოკი ხელში უჭირავს და უცდის, როდის შევა ჩიტი ცხრილ ქვეშ, რომ თოკს მოსწიოს და ჩიტი ცხრილ ქვეშ მოაპყვდიოს. გოგრას ის ვერ მოუფიქრნია — საბძელს მაინც მოეფაროს. ზის წამოყუნტებული კალოთოს მიჯნასავით და უცდის ჩიტის ცხრილში მოაპყვდევას, ამვლეღ-ჩამვლეღნი გოგრას გამარჯვებას ეუბნებიან.

— ოჰო, გოგრა სანადიროდ გამოსულაო, გოგრას გაუმარჯოსო, ამბობენ ისინი.

გოგრა მხოლოდ მედიდურად თვალს გადააველებს და თავს დაუქნევს მადლობის ნიშნად.

ცხრილით რომ ვერაფერს გახდა, გოგრა ბოლოს დროს მშვილდისრით შეიარაღდა. უყვარს გოგრას მშვილდ-ისარი და ძალიანაც უფრთხილდება, სადამოაობით კაჩხაზე ჩამოჰკიდებს მშვილდსა და ისარსაც ჯვარედინად გადაადებს. ალაღებს გოგრას ეს იარაღი, როგორც კარგს მონადირეს კაი ხირიმის თოფი. ერთს დღეს გოგრა სანადიროდ გავიდა. რამდენსამე ჩიტსა და შაშვს ესროლა ისარი, მაგრამ ტყუილად: ისარიც სადღაც ჯაგებში გადაუვარდა. გოგრა დალონდა, — დაფიქრებულმა შინისკენ გამოსწია, შესცივდა კიდევ.

გოგრას შრომამ ტყუილად არ ჩაუარა: გოგრამ ლობის ძირას ტოროლა დაინახა, გოგრა მიუახლოვდა, ჩიტო მაინც არ გაფრინდა; ტოროლა გაბრუნებული იჯდა, თავი ბუმბულში ჩაეძვრინა, თვალე-ბი დაეხუჭა და ჰფეთქდა. გოგრა ჩიტს წამოეპარა და დაიჭირა.

— ჰოო, შენი ჭირიმე ღმერთო, შენი ჭირიმე ჩიტო, შენ გენაცვალე ბიჭო!—იძახდა გოგრა თავისათვის, და თავ-მოწონებით გამოსწია შინისკენ.

— ბიჭოს, გოგრას, ჩემს გოგრას ნადირო არ მოუკლავს! ღმერთმა ხელი მოგიმართოს. აი, ყოჩაღ!—უთხრა პაპამ, რომელიც ღერეფანში იჯდა და ტაბიკსა სთლიდა.

— მონადირეს გაუმარჯოსო, მონადირეს გაუმარჯოსო, გაისმა აქეთ-იქილამ ხმა.

გოგრა სიხარულისაგან ცას ეწევა, მაგრამ სიხარულს მაინც-დამაინც არ იმჩნევს.

— ეგრე იცის გოგრამაო! ამის მეტი გოგრას არაფერი უთქვამს.

— შესცივნია საწყალს, გაათბე, შეილო, ცეცხლთან მოიყვანე, უი, ქა, საწყალი ტორუა! ამბობდა გოგრას დედა.

გოგრას ღარივება არ უნდოდა. ის თვითონაც კარგად უწელიდა და უფთხილდებოდა ნანადირევს. ცეცხლთან დასო, თუმცა კი ფეხზე ძაფი მოაბა, იქვე კერის პირას ქანდარა გააკეთა და ზედ შესო.

თქვენ ნახავთ, თუ გოგრას ნაშონმა მამალმა არ იყიელოსო! ამბობდენ შინაურები და გოგრაც თავ-მოწონედ შესჩერებოდა თავის ნანადირევს, ცოტა არ იყოს, კიდეც ფიქრობდა: იქნება მართლაც დაიყიელოსო!..

## V

როგორც ვიცით, გოგრა სავაჟ-კაცო საქმეებსაც ეპოტინებოდა. იმათ რამდენიმე სული თხა-ცხვარი ჰყავდათ. აი, რამდენი: ორი ცხვარი თავის ბატკნებით და ერთიც ვაცუნა. სულ, ვგონებ, საკმაო

ფარა შესდგება... გოგრამ გაზაფხულზე მეცხვარობა მოიწადინა. პაპას ერთი კომბალი თავის შესაფერი გაათლევინა და ერთს დღეს სოფლის განაპირას გაირეკა ფარა. თვითონაც უკან გაუდგა მეცხვარულად მხარზე კომბალ-გადებული. ზურგზე ციკნის პატარა თეთრი გულა ჰკილია. დიდი ამბით ჩაატარა ცხვარი გოგრამ სტევენით და კივილით. თავისი თავი ნამდვილი მეცხვარე ჰგონია.

ხეეში ხუმარა თომა არაყსა ჰხდიდა. თომამ გოგრა იცნო.

— მეცხვარეს გაუმარჯოსო, მოაძახა იქილამ, — მობძანდი. ერთი არაყი მიირთვიო! გოგრა გაბლენძილი წავიდა და ერთი პატარა საარაყე ყანწი გადაჰკრა. გოგრას არაყი ემწარება, მაგრამ აბრუს არ იტენს, რადგანაც მეცხვარეა და იმიტომ. გოგრამ მადლობა გადუხნა და გაუჯავრდა ცხვრებს. თომა გულში სიცილით კვდება.

გოგრას თავი როგორღაც გაუბრუედა; თავ-ბრუ ესხმის. გაბევრდა იმის თვალებში ცხვარი, ათით ასი გახდა. გოგრა ვარზის და გამორბის, უჭირს ამოდენა ცხვრის ფარის მოვლა, უსტენს, რაც ძალი და ღონე აქვს. ნამდვილი ცხვრები კი გვერდზე წაუვიდნენ. ახლა ეითომ პურიც მოშივდა, გულა მოიხსნა ერთს ბეჭურში მიჯდა; ერთი-ორი სოფელში წინა დღით ნაშოენი კვერცხი გაფცქენა და .. და ის, რომ დაეძინა კიდევ გამოხრულს კვერცხის ნაჭუჭებზე... სძინავს გოგრას, კომბალიც გვერდზე უდევს... სძინავს გოგრას და ძილში უხარინს, რომ ესე მალე ააშენა, გააბევრა ცხვარი, მაგრამ ის აწუხებს, რომ მარტოკას უჭირს მოვლა, — სხვა მწყემსებიც დასჭირდება. ვაცუნამ ცხვრებს უმწყემსობა შეატყო, სალამოზე აღრიანად გაუძღვა წინ და ყველანი შინ მირეკა. სახლობა მწყემსს უტდიდა მაგრამ გოგრა არსად სჩანს. ბოლოს საძებნელად წავიდნენ და მეცხვარე მინდორში მძინარე იპოვნეს. გოგრას შუა გზაზელა გამოვლვიდა, მაგრამ კარგად ვერ გაიგო, სად იყო. იცის მხოლოდ, რომ მეცხვარეა და ერთი დაუსტენა. გოგრას პაპა სიცილით კვდება.

პაპამ გოგრა შინ მოიყვანა.

აგერ გოგრა კერის პირას ზის გაწბილებული, გაჯავრებული იმაზე, ესეთი მარცხი რად მომივიდაო. შინაურები დასცინიან.

— მეცხვარეს გაუმარჯოსო! ერთი ამბობს.


— აგაშენოს მეცხვარეო! მეორე იძახის.

— მობძანებულა ჩვენი ერთგული მეცხვარეო!—მესამე ამბობს. გოგრას აქ აღარ ედგომება: ძილი მოინდომა, დედამ ლოგინი დაუგო და მიაწვინა.

— არ შემციედეს, თბილად დამახურე, დედავ, ეუბნება გოგრა ჩურჩულით დედას.

— ჩემს შვილს ნუ დასცინით თქვენ, მოიცადეთ, ჯერ გაიზარდოს. ენაცვალოს დედა გოგრას, ჩემს ბრძენსა და დარბაისელს შეიღსაო! სთქვა გოგრას დედამ და თან ლამაზად ჩაუჭუჭკა საბანი მხრებში და ფეხებში.

ვაჟა-ფშაველა





ღ ა თ ვ ი

ქველა მხეცი, სომ მხეცია,  
 მაგრამ დათვი სხვა გვარია:  
 მთა და ბარი საჭმლათა აქვს,  
 ტყე და ველი აბარია.

დღის სინათლე ეჯავრება,  
 უხარია, როცა ბნელა;  
 გამოდის და დანადირობს...  
 ფრთხილად დადის... ნელა-ნელა.

უკუდო და ოაზ-სოკერბ,  
 ბანჯგელიანი ჰირ-მერაღია!...  
 ბუნებითად ფრთხილი არი,  
 მაგრამ, როცა გამწერაღია,

მამინ იჩენს გულადობას:  
 სულ ბდღვირს ადენს არე-მარეს  
 და, თუ შესვდა, არ გაუშვებს  
 არც მტერსა და არც მოუვარეს.

არ იხოგავს ბრჭყალს და კბილებს,  
 წარა-მარა აქნევს ტორებს!  
 და ჭხელს, როგორც სანახი ჰუნს,  
 მიტორავს და მიაგორებს!

მისი ეველას ემინია,  
 ერიდება ამ ბრიევს ეველა!  
 ბატონივით დაბძანდება,  
 დაბობდინობს დათუნელა.

არც ხსნილს ჭხოგავს და არც მარხვას,  
 სულ არ იცის დაურწყება:  
 თუ სახსნილო ვერ იშოვნა,  
 სამარხოსაც მიაძღება.

ხილიც უეგარს... ეურძენს ხომ რა!...  
 სვლეზავს, სანამ არ დათვრება,  
 მაგრამ უფრო სუეველასე,  
 თაფლი უეგარს... ენატრება.

და, თუ სადმე შეიგულა,  
 ფუტკრებს აღარ ერიდება:  
 ჩაჭყოფს ცხვირ-პირს ფუდუროში,  
 სანამ კარგათ არ გაძღება.

რომ გაძღება, მერე იგრძნობს  
 ტკივილსა და თავს იტორავს;  
 დაეცემა ძირს ჯირკვივით,  
 ღრიალით და კენესით ჭკორავს.

ნაკბენს როცა მოიშუშებს,  
 ავიწელება ძერე ეველს  
 და ისევე დასუნაგობს  
 უწმინდური, ღორ-მუცელა.

ეველსაფერს სჭამს... რა თქმა უნდა,  
 რომ სასრდო არ დააკლდება?  
 სულ ღხინშია გაუწევეტლად,  
 სანამდი არ დასამთრდება.

და ძაძინ კი სანოვაგე  
 ეველს ერთად მოაკლდება,  
 დაღონდება დავით ბეგი  
 და სოროში შებძანდება.

ფეხს ილოკავს, გულის აეოლებს,  
 ცოტას ფხიხლობს!... უფრო სძინავს,  
 სიხმრებს ჭხედავს სხვა-და-სხვა კვარს,  
 ხან ტებილად ფძევენს და ხან ხვრინავს!...

სხვა მხეცები ეჯავრება,  
 თავს ხომ არც ერთს არ უყადრებს!...  
 მხეცებსაც სძულთ, მაგრამ რა ქნან?  
 ზირადად კი ვინ რას ჭკადრებს!...

ეველს მხეცი—მხეცი არის,  
 მაგრამ დათვი სხვა კვარია:  
 მთა და ბარი საჭმოთა აქვს,  
 ტეე და ველი აბარია.

## ს ე ს ე

ისტორიული ჯამბავი



ნელი ღამე იყო. საღირაშენში დაბანაკებულს ქართველებს ღაშკარს ეძინა. ბანაკში აქა-იქ მოჩანდა ცეცხლი. ერთი კარავი კი მთლად განათებული იყო. კარავში ხალიჩაზედ ისხდნენ ბატონიშვილი გიორგი, ჯამბაკურ ბარათაშვილი, იასე ორბელიანი, ნოდარ ამილახვარი და კიდევ რამდენიმე წარჩინებული. ბატონიშვილს მღელღარება ეტყობოდა.

— რა გაუტეხელი კაცია მამაჩემი! დაიჭინა, მე თვითონ უნდა დავზვერო მტერიო. ის ოცი კაციც ძლიეს გავატანე... რალაც კული წინადგრძნობა მაწუხებს: ნახიდური შორს არის, ჯაფარ ფაშა ფთხილობს; რომ გაუგოს სიახლოვე...

— რად მისცემიხარ საგონებელს, ბატონიშვილო? სვიმონ მეფისათვის პირველი არ არის ამისთანა სიმამაცე. ბატონი გამოცდილია, ისე არ მოიქცევა, რომ მტერმა აენოს რამე, ანუგეშა იასემ.

— თუნდ გაუგონ, რას უზმენ? შურდანიისთანა მარდი ცხენი ჯაფარის ბანაკში ერთიც არ იქნება; ბიჭები კარგები ახლავს და გზაც კარგად იციან; ყოველთვის დაახწევს თავს, მოახსენა ჯამბაკურმა.

— ღმერთმა ქმნას, ამოიოხრა ბატონიშვილმა.

უეცრად გარედგან ხმაურობა მოისმა. კარავში შეიჭრა სისხლით მოსერილი მხედარი და დაიძახა: დავილუპენით! ბატონი მეფე ტყვედ ჩავარდა. დაგვედვენენ; ვინც ჩამოგვრჩა, დაგვინოცეს. ფარცხისის

გასწორებ ჩამოვეშვენით. შევეყარეთ ცხენები ალგეთში. ლაფი ყოფი-  
ლიყო, შურდანი ჩაიფლა. დაგვეცენ კიდევ და შეიპყრეს მეფე.  
არქია გზა მოუჭერით....

ყველას ელდა ეცა. ერთ წამს მოიფინა ეს ამბავი და ბანაკში  
არეულობა შეიქნა. ბატონიშვილმა მაშინვე დაადგინა მტერს რჩეუ-  
ლი რაზმი და მთელი ლაშქარიც სწრაფად აკაზმა. უმთავრეს ლაშ-  
ქარს თითონ გაუძღვა, რომ ეყელნა ჯაფარისათვის; სხვებს უბძანა  
სხვა-და-სხვა მხრიდგან თავს დაეცოთ მტრისათვის. მალე საღირა-  
შენიდგან მთლად მოიწმინდა ლაშქარი.

ოსმალებიც ჩქარობდნენ. ჯაფარმა ჩაიგდო ხელში ძვირფასი  
ტყევი, კარგად იცოდა ქართველები თავებს დაიხოცავენ მეთისათვის  
და არჩია იმის გატაცება. ფაშამ გაასწრო და გაიტაცა მეფე, მაგრამ  
დანარჩენი იმისი ჯარი მოიმწყვდიეს ქართველებმა და მუსრი გააგდეს.  
მეტადრე ბარათაშვილმა ისახელა თავი: კარგად იცოდა იქაური გზა-  
კვალი და მარჯვედ იქცეოდა.

\* \* \*

ბარათაშვილის რაზმში ერია სამშვილდელი გიქო, რომელსაც სო-  
ფელში გაუტანელ კაცად იცნობდნენ. რაზმი ბილიკების პირას იყო  
ჩასაფრებულნი. გიქომ მტრის მოახლოება იგრძნო. სული ტკბილია,  
მოშორდა სახიფათო ადგილს და ღრმა ტყეში შევიდა.

გიქოს უეცრად ფენის ხმა მოესმა და თმები აებუძვა, გამოჩნდა  
ორი ცხენოსანი. ერთს სისხლი სდიოდა, მეორეს იგი ცხენ-და-ცხენ ხე-  
ლით ეჭირა. გადმოხდა თათარი, გადმოსვა ამხანაგი და ქრილობას  
სინჯვა დაუწყეს. გიქომ იღროვა: გაუმიზნა თოფი და ძირს დასცა  
ფენზედ მდგომი, მიირბინა და დაჭრილიც ხანჯლით დაათავა. გამარჯვე-  
ბულს უნდოდა გაექვეყნებინა თავისი გმირობა, მაგრამ იმისი ყუ-  
რადღება მიიპყრო მოკლულის ძვირფასმა სამკაულმა. გიქომ შესწნა  
სამკაული, იარაღი გაჩხრიკა და იპოვა ოქროთი გატენილი ტყავის  
ქისა, დაფლა ეს ყველაფერი შორი-ახლოს და წავიდა.

\* \* \*

გათავდა ბრძოლა. დაბრუნდნენ გახიზნულები, შეიკრიფენ სამ-  
 შეილდელებიც. დაიწყო სოფელში მუშაობა: მტრისგან აოხრებულ  
 სახლ-კარს აკეთებდნენ. მეტადრე დიდ გაჭირებაში იყო დალაქიანთ  
 სესე. მტერს გადაეწო იმისი სახლი და ყველაფერი აეკლო. წერილ-  
 შეიღმა სესემ არ იცოდა, როგორ წამოეყენებინა ფეხზედ ოჯახი.  
 დადიოდა სესე დალონებული.

— კაცო, ურჩია ცოლმა, დარდით და ვარამით რა ეშველება დაცა-  
 რულ საქმეს? მიდექ-მოდექ: ქვეყანა დიდია, ხელს გაგიმართავს ენმე.

— სად რას ვიშოვი, დედაკაცო, მიუგო სესემ, ცუდი დროა:  
 სოფელი აოხრებულია; თუ ვისმე ცოტაოდენი შეძლება შერჩა,  
 ცდილობს თითონ მოეწყოს.

— წადი, გიქოს მოელაპარაკე, იქნება დაგვეხმაროს. ხომ ფუ-  
 ლიანი კაცი იყო და ამ ომშიც ბედი სწევია: დიდი დავლა უშოგ-  
 ნია; იმ დღეს ვარსამიანთ ნათლობაში დამთვრალიყო და დაეკვებნა.

სესემ მოიქექა თავი და გიქოსკენ გასწია. ბევრი ეხვეწა გიქოს,  
 მაგრამ იმან არ შეიწყნარა სესეს ვედრება.

სესემ დიდი სიღარიბე გამოიარა, ბევრი შავი ღლე ნახა, მაგ-  
 რამ ბოლოს მაინც მოეწყო წინანდებურად.

\* \* \*

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ სესე ტფილისში მიდიო-  
 და. გიქომ დაინახა; იმისი სახლი გზის პირას იდგა, სოფლის ბოლოს,  
 და ცოტაოდენი რამ დააბარა. სესე დაბრუნდა ქალაქიდან. ღამე  
 იყო, როცა იმან ნავაჭრი წაუღო გიქოს; დაურაკუნა კარები, მაგრამ  
 ხმა არაეინ გასცა; მიაწვა კარებს—დაკეტილი დახვდა. შეხვდა ფან-  
 ჯრიდგან და ჭრაქის შუქზედ დაინახა გიქო, რომელიც ზურგშექცევით  
 იჯდა. დაარახუნა ფანჯარა.—გიქო არ გაინძრა. გაუკვირდა სესეს.  
 მიაწვა ფანჯარას—რაზა აწყდა და ფანჯარა გაიღო. გიქო მაინც  
 არ ინძრეოდა. გადაძვრა სესე, მოჰკიდა გიქოს ხელი და გაშრა:  
 ის მკვდარი დახვდა. წინ ედგა პირახდელი ოქროთი საესე ყუთი. აქ-

ვე ეწყო თვალ-მარგალიტით მოჭედული იარაღის სამკაული. სესეს სინარბე შეეპარა. იღუმალი ხმა ჩასჩურჩულებდა: აიღე! მიცვალე-ბუღს არ დარჩა არც ცოლი, არც შვილი, ეგ შენი ბედია, წაიღე!

— რომ მომასწროს ვინმე! გაიფიქრა სესემ და გამოიხედა კარ-ზედ. არაფერ ჩანდა. მიბრუნდა და წამოყარა ფული; ყუთში რამდენიმე ოქროლა დასტოვა. მაინც ყოყმანობდა: ეძნელებოდა ქურდობის ჩადენა. ბოლოს სინარბემ დასძლია; დაკეტა სწრაფად ყუთი, გასაღები მკედარს ჩაუღო ჯიბეში, გამოჰკრა სიმდიდრე, წაიღო და საბძელში დამალა.

სოფელმა გაიგო გიქოს სიკვდილი და შეიყარა. ნაცვალმა იპოვა გასაღები და გააღო ყუთი, რომელშიაც ცოტა ოქრო-ლა დახვდათ.

ესეც შენი სიმდიდრე! წამოიძახა ნაცვალმა, ყბად აღებული გვეყავდა, გვეგონა დიდი ფული აქვსო და ამას სამარხიც ძლივს გადაურჩენია.

\* \* \*

სესეს ცხოვრება შეიცვალა. იმას დიდად ესიამოვნებოდა თავის ქონების მალ-მალე ნახვა; უნდოდა თვალი არ მოეშორებინა იმისათვის. როდესაც ყველანი დაიძინებდნენ, ის გაიპარებოდა, ამოჰყრიდა ფულს და ესაყვარლებოდა იმას. მთვარის შუქი ათასნაირად კრთებოდა ოქროსა და თვალ-მარგალიტზედ და გულს სინარულით უესებდა სესეს, სიამოვნების ღიმილსა ჰგვრიდა იმის ბაგეს. ის შეჭხაროდა სიმდიდრეს; სიზმარშიაც კი ოქრო ელანდებოდა.

ხარბობამ მთლად გაიტაცა სესე: ხელს არ ახლებდა ფულს დასახარჯად, ყოველთვის ცდილობდა რამე მიემატებინა იმისთვის. წინად სესე გულლია კაცი იყო, ხარჯს არ ერიდებოდა, კაცის ხელის გამართვა ესიამოვნებოდა, საწყლისა და საპყრის გაკითხვა უყვარდა, ეხლა კი გროშზედ კანკალებდა, თავისთვისაც არ ემეტებოდა, ცოლშვილს სულს უხუთავდა, სულ იმას ჩიოდა, ცხოვრება გაჭირდაო.

სიმდიდრე ატკობდა სესეს, მაგრამ სიმდიდრევე იყო მიზეზი იმისი იღუმალი ტანჯვისა, რადგან ახსოვდა, როგორ იშოვნა დოვლათი და ვინ იყო იმისი წინანდელი პატრონი. სიზმარში გიქო მალ-მალ ეჩვენებოდა; ის ჯერ თვალ გაშტერებით ჩაჰყურებდა სესეს, თითქო საყვედურს ეუბნებო, მერმე მტრობით აენტებოდა თვალები და წაიწვედა იმისკენ; თავზარ დაცემული სესე გამოიღვიძებდა და პირ-ჯვარს იწერდა.

სესეს ყოველ წამს ეშინოდა, ვაი თუ გამიგონო, რომ გიქოს სიმდიდრე მე მაქვს და იმის სიკვდილიც მე დამაბრალონო. ხომ ყველაფერს წამართმევენ და დამლუპავენ! — ფიქრობდა ის. სესე იჭვიანი გახდა; ყველას მიუნდობლად უყურებდა, იქნება მიმიხედნო. სახლობაკი აიძულა, მეტადრე ჯავრი მოსდიოდა, თუ ვინმე გიქოზედ ჩამოუგდებდა ლაპარაკს; ეგონა სწორედ შეუტყვია ჩემგან ჩადენილი საქმე და მცდისო. გიქოს ნასახლარისკენ გავლა სიკვდილად მიაჩნდა.

უკვირდით ამ კაცის ესეთი გამოცვლა.

— ომიანობაში რომ ზარალი მოუვიდა, მაშინ შეშინდა და მასაქეთ გახდა მიუკარებელიო, ამბობდენ. ევრვინ მიმხედარიყო, რა ცეცხლი ენთო სესეს გულში. სიხარბე, იჭვი, შიში სტანჯაედენ იმას!

\* \* \*

გაზაფხული იყო. ნავლეჯჯანთ ბაბალეს პური შემოაკლდა. დიდ გაჭირებაში ჩავარდა მისი წერილშვილი. ქვრივმა ბაბალემ მიმართა სესეს: შემძლე კაცია და ნათელ-მირონია, იქნება, ხელი გამიმართოსო.

სესე დერეფანში იჯდა და ჯოხსა სთლიდა. ხშირ ჩამოფხატულ წარბებიდან ბოროტად გამოიყურებოდნენ იმისი შავი თვალები. ბაბალე მიესალმა და უთხრა:

— ნათლია, აგრემც ღმერთი გადღვეცქელებს, დამიხსენ გაჭირებიდან, ხელი მომიმართე.

— ხელი მოგიმართო? რითა?! გაიკვირვა სესემ.

— ან პური მასესხე, ან ფული. გაეიშლები თუ არა წელში, ღმერთია თავდები, სარგებლით მოგცემ შენს ვალს და სიკეთეს ხომ თავის ღღეში ვერ დაეიფიწყებ.

— ფული გასესხო?! ხუმრობ თუ? ვინ მომცა ფული? კაცი თავს ძლივს ვიკვებავ.

— ჰო, და ასრე, კაცო, ჩაერია ლაპარაკში სესეს ცოლი. სხვა არა იყოს რა, მეზობელია და ნათლიდელა.

სესე მაინც ვერ მოარბილეს.

— არ უნდა შერებოდე ამისთანა უდიარობას. ღმერთს განა იმისთვის მოუცია შენთვის სარჩო, რომ გაჭირებული არ გაიკითხო? უთხრა ბაბაღემ და გატრიალდა.

სესეს სინიღისმა დაუწყო ტანჯვა. რომ სიმშლით დემართოს რამე იმ ხალხს, ღმერთს რალა პასუხს გავცემ, ფიქრობდა ის.

— არ ასესხე, არ ასესხე! თავპირი რალას ჩამოგტირის? ჰკითხა ცოლმა.

ქმარმა ხმა არ გასცა.

— მოუმართე ხელი, ერთი ორი კოდი ასესხე, ხომ გაქვს ღვთის მონაცემი, განაგრძო კატომ.

— რას ჩამომეკიდე, ღელაკაცო? ვინ რა მომცა? მაქვს, მე ვიცი, შენი შრომით იქნება მონაგები.

— ცოდვაა, ცოდვა! დაგაეიწყდა, რომ თვითონ შენ ყელგადგდებული ეხვეწებოდი სხვას? კარგი ქნა მაშინ გიქომ, რომ ხელცალიერი გამოგისტუმრა?

— კარგი, ხმა გაიკმინდე-მეთქი! დაულრიალა ცოლს გიქოს ხსენებაზედ, ცეცხლ-მოკიდებულმა სესემ.

\* \* \*

სესე ცხადად ხელაგდა თავის სიბოროტეს, მაგრამ თავი ვერ დაეძლია და სისხლი ყელში მოსდიოდა. გაუტყდა ღამე—სესეს ძი-

ლი არ ეკიდებოდა. ხან ბაბაღე წარმოუდგებოდა თვალწინ, ხან გიქო მოაგონდებოდა და ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში, ხან საუნჯისკენ გაიტაცებდნენ ფიქრები. განთიადისას ძლიეს ჩაეძინა. სიზმარში გიქო ნახა; ის თავის სიმდიდრესა სთხოვდა სესეს და ყელში უჭერდა, აღრჩობდა. სესემ ხრიალი დაიწყო და გამოელეცა. ოფლში გაწურულიყო. შეშინებული სესე ეძებდა რამე ნუგეშს, რომელსაც შესძლებოდა იმისი დახსნა ამ ტანჯვიდგან, მაგრამ ტყუილად. ბოლოს იმედ დაკარგულმა ტანჯულმა მიმართა ყოველად შემძლებელს.

მეორე დღეს სესე ეკკლესიაში წავიდა, დაემხო მიწაზე და ევედრებოდა ღმერთს. საყდრიდან რომ დაბრუნდა, დაუძახა ცოლს და უთხრა სამი კოდი პური მიეცა ბაბაღესათვის. გაკვირვებულმა კატომ მაშინვე შეატყობინა ნათლიდელას. ბაბაღე ლოცავდა მოკეთეს.

სესეს სევდა მაინც ისევ აწევებოდა გულზე. დაღამდა, მაგრამ დაძინებისა ეშინოდა, რომ გიქო ისევ არ მოსჩვენებოდა სიზმარში. გული უკვდებოდა ჯავრით.

— არა, უნდა გავენლო ვისმე, უნდა ვალიარო ცოდვები, იფიქრა ბოლოს სესემ, მაგრამ ვის უთხრა აღსარება? მოძღვარ სტეფანეს? არა! ვაი თუ წამოსცდეს, ან იჭვი ააღებინოს ვისმე ჩემზე. ამ ფიქრში იყო ის, როცა მოაგონდა მამა ვასიანე. სესემ გადაწყვიტა აღსარება ეთქვა იმასთან და რჩევა ეკითხნა.

\* \* \*

ბერი ვასიანე მოღვაწეობდა კაბენის მონასტერში, (კიკეთ ქვეით ხევში ეხლა ნანგრევები-ლა ჩანს ამ ოდესმე დიდებულიის ტაძრისა) ის ცხოვრობდა პაწაწა სენაკში, რომელსაც ერთი ფანჯარა ჰქონდა. საწოლად ფიცრის ტახტი ედგა, ბალიშად ქვა ედგა. ის იყო შუათანა ტანის ხმელ-ხმელი, ჯერ ისევ ჭარმაგი, კაცი. იმის დიდრონ თვალეებში სიბრძნე და გამოცდილება იხატებოდა. მალალს შუბლს ფიქრის კვალი ეტყობოდა. ვასიანეს წმინდაობის და გულთამამობის

ხმა ჰქონდა გაერცვლებული. გაჭირებულები დიდი კრძალებით და სასოებით მიმართავენ ხოლმე იმას.

სესე ხელზედ ემთხვია ბერს. მოძღვარმა ამოიკითხა იმის სახე-ზედ ტანჯვის ნიშნები და ჰკითხა:

— საიდან მოსულხარ, შვილო, და რას შეუწუხებინხარ ვერე?

— სამშვილდიდან გიხნელი სალოცავად. მინდა აღსარება გითხრა; ცოტარამ ცოდვა მაწუხებს, მიუგო სესემ და თან შერცხვა.

— მარტო ღმერთია უცოდველი, ის ყოვლად მოწყალეა და შეგინდობს, თუ გულწრფელად შეინანებ. იმის ჩვენდამი სიყვარულს და მოწყალებობას საზღვარი არა აქვს. შენც ხომ გიყვარს, შვილო, მოყვასი? სხვის საჩრის უსამართლოდ შეძენაზედ ხომ არა სდგებარ?—ჰკითხა ედა მოძღვარი და თან ისე უყურებდა, თითქო იმის გულში კითხულობსო.

— იმ დღეს მეზობელს პურით გავუმართე ხელი, უთხრა სესემ, მაგრამ თვალი კი ვეღარ გაუსწორა მოძღვარს: ძრიელ შეკრთა, რადგან ბერი პირდაპირ შეეხო იმის გულის იარას.

მოძღვარი დააკვირდა სესეს; თვალები უეცრად აენთო, იმის სახემ ძლიერი გამომეტყველება მიიღო. სწრაფად წამოდგა, გაიმართა წელში, გადმოიღო ჯვარ-სახარება და უბძანა რიხიანად:

— მოიდრიკე, უბედურო, მუხლი და აღიარე ყველაფერი!

სესეს ეჩვენა, რომ მოძღვარი ყველაფერს მიუხედა, დაფარვა აღარ შეიძლებოდა. დაემხო მიწაზედ, მოეხვია მოძღვარს მუხლებზედ და თვალ ცრემლიანმა უამბო ყველაფერი: როგორ მოიპარა სიმდიდრე, როგორ ცხოვრობდა მას შემდეგ, როგორ იტანჯებოდა ჩუმად.


— აღეკ, საცოდაო, ემთხვიე ჯვარს! სინიდისს დაუტანჯეხინარ. წაიღე, საყვარელო, მთლად ის უსამართლოდ ნაშოენი სიმდიდრე, ჩაიტანე ტფილისში და მთართვი ბატონიშვილ თეკლეს. იმას გლახაკებისთვის და უძღლურებისთვის თავშესაფარი სახლი აქვს გამართუ-

ლი და წმინდა საქმეს მოახმარებს ფულს, მე წერილს მიგიწერ. წადი, შეილო, და იზრომე პატიოსნად. კაცს პატიოსანი ამაგიით შეშვენის სარჩოს მოპოვება.

სესე რამდენიმე დღე დარჩა მონასტერში და გულმოდგინედ ისმენდა მოძღვრის ტკბილ და ბრძნულ ლაპარაკს. მერმე დაბრუნდა და აასრულა იმისი ბძანება. ვასიანეს წერილის კითხვის დროს ბატონიშვილ თეკლეს სიამოვნება ეტყობოდა სახეზედ.

ვ. ბარნოვი





ი ი ს ნ ა მ ბ ო ბ ი

ელყელა გუგულის კაბამ  
ძეძვში ამოსულს იასა  
ამაყად ჰკითხა ნაზსა და  
მორცხვად საყელო ღიასა:

— ჩემო დაიავ, რადა ხარ  
მუდამ თავ-ჩალუნულიო?  
რა მიზეზია, რომ აგრე  
თაღხათ ხარ დაბურულიო?.

— ყური დამიგდე, დობილო—  
ვიშით მიუგო იამა,  
თუ ჩემი თაღხი საცმელი  
შენ არაფერში გიამა:

ხომ იცი, როგორ მოეღის  
გაზაფხულს ჩვენი გვარია.  
ვისწრაფით სამზეოსაკენ,  
სადაც სითბო და ღარია.

მეც, ტურფავე, მდელოს იმედით  
ამოსვლა მოვიწადინე.  
დახე, ბედსა და იღბალსა!  
მოდო, ცრემლები მადინე!

სრულებით მოულოდნელად,  
 აი, სად მექნა ბინაო.  
 სხვა რომელია, რომ ძეძეში  
 ყოფნა არ მოიწყინაო?

რა ენახე, ყოველმხრიდგანა  
 ეკლები მელირებიან,  
 თავი დაეხარე, დავლონდი,  
 მუდმისად მეტირებიან!..

მზეს ვერ ვუცქერი, იმიტომ  
 თალხი მაცვია ტანზედა.  
 იმას თავს შემოვევლები,  
 ვინც შემახედებს ცაზედა.

ზეზვა



უცაბედი მოგზაურობა

I



შენიერი დილა იყო. ქალაქ ლონდონის ახლოს ერთი მდიდარი მემამულე, ბატონი გალექლი, ხელობით მსაჯული და თან გემების პატრონიც, დასეირნობდა ზაფხულის განიერი ტანისამოსით და ჩალის დიდი ქუდით თავის ხეხილის ბაღში.

ამას იშვიათად შეხედებოდა ხოლმე თავისუფალი დრო და ჩაიგდებდა თუ არა ამ დროს, სრულიად თავის ხეხილს ანდომებდა.

მსაჯულმა აუარ-ჩაუარა თავის ხეხილებს, სინჯავდა ყოველ ნამყენს, შენიშნებს აძლევდა მებაღეს და თან სტკებოდა დილის მშენიერი ჰაერით. უცბად აიხედა მალლა და თვალ წინ აღმაშფოთებელი სურათი წარმოუდგა: ზედ იმის თავზედ ფრინავდა, უფრო იდგა, ჰაეროსტატი—დიდი ბურთი, რომელზედაც მიბმული იყო ნაგი. დედა-მიწასთან ისე ახლო ტრიალებდა ეს ბურთი, რომ კაცი ადვილად მოახედრებდა ქვას. ეს კიდეც არაფერი, საქმე იმაში იყო, რომ ნაგიდამ თოკი ჩამოეშვათ და ამ თოკის წვერზედ კაკვი იყო მიბმული.

ეს კაკვი აკი არ მოედო მსაჯულის ერთ საგანგებო მსხლის ხეს.

— ეი, თქვენ ვინა ხართ მანდ! მაგას რას ჩადიხართ?! — დაუყვირა აღელვებული ხმით მსაჯულმა.

ნაგიდან გადმოიხედა ერთმა მობუზულმა კაცმა და ხრინწიანი ხმით უპასუხა:

— მე რასა ვშვრები! ნეტავი არ იქნება, რომ ეგ კაკვი როგორმე მოვაშორო ხეს! ძალიან დაგიმადლებთ, თუ კი მიშველით.

— თქვენ ვინ მოგცათ, ბატონო, ნება, რომ ბალი გამიფუქოთ?

— მეც იმასა გთხოვთ, რომ ევ კაკვი ხეს მოაშოროთ.


— დამეკარგეთ აქედამ, თორემ... წამოიძახა მუქარით გაშფოთებულმა მსაჯულმა.

გულმა ველარ გაუძლო, როდესაც ხედავდა, რომ ხეხილს ასე უფუჭებდენ.

— ცოტა მოითმინეთ, — უთხრა უცნაურმა კაცმა, — მალე ქარი შემოუბერავს და კაკვს მოაშორებს.

— და ხეს მომიტყეს, განა? გმადლობთ!.. მაგის ნებას არ მოგცემთ, მოწყალეო ბატონო!...

— უფროთხილდით, — გადმოსძახა ნავეილამ კაცმა.



მართლა და ამ დროს შემოუბერა ქარმა, ჰაეროსტატმა თოკი თავისკენ გაიწია, კაკვმა ხის ტოტი წაითრია. მსაჯული მიეარდა თავის საყვარელს მსხლის ხეს, თავის ჭკუაში უნდოდა ვითომ „გადაერჩინა“...

ამ დროს ერთი უცნაური ამბავი მოხდა! ჰაეროსტატი უცბად დაეშვა, კაკვი თითქმის დედა-მიწას მიეკრა ზე საშინელი ქვიშის კორიანტელი ააყენა. პატივცემულ მსაჯულს თვალები მტერით ავესომერე ჰაეროსტატი ისევ ისევ მალლა ავიდა და თან მსაჯულიც ააფრინა...



თურმე ნუ იტყვიოთ, კაკვი მსაჯულის სახელოს მოსდებოდა და ესეც შიშით, უცაბედად ორივე ხელით თოკს მოსჭიდებოდა. როდესაც მსაჯული გონზედ მოვიდა, ნახა, რომ დიდი სიჩქარით ჰაერში მიფრინავდა.

ქარი აღმოსავლეთისაკენ მიაფრენდა ჰაეროსტატს, მსაჯულის მამული ნელ-ნელა უკან რჩებოდა.

საბრალო მსაჯულმა მხოლოდ ეხლა იგრძნო თავისი უნუგეშო მდგომარეობა: უნდა თავისათვის როგორმე ეშველა. აიხედა მაღლა და ზედ თავზედ მხოლოდ ნავის ძირი მოჩანდა.

— შენ, ეი! ჰაერში მოგზაურო კაცო, გადმოიხედე!— შეჰყვირა მსაჯულმა.

მოზუზულმა კაცმა ნავიდან ფრთხილად გადმოიხედა:

— ეინ მეძახის? ჰო, თქვენა ბძანდებით? რა გაუფრთხილებელი ყოფილხართ! გირჩევთ თოკს მაგრა მოსჰიდლოთ ხელი, თორემ ხედავთ რა სიჩქარით მიეფრინავთ?!

— ჩამოვეარდები, ამაზედ მეტად ველარ შევიმაგრებ თავს! ამიყვანეთ თქვენთან,—ლულულულით სთქვა მსაჯულმა, სულს ძლიეს-და იბრუნებდა.

— მეტი რა გზაა, რომ არ აგიყვანოთ,—დინჯად უპასუხა ნავიდან კაცმა,—თოკს ხელი მაგრად მოჰკიდეთ!

მსაჯული, რაც ძალა ჰქონდა, მაგრად მოეჭიდა თოკს. ჰაერში მოგზაურმა დიდის გაჭირებით ასწია თავისთან; ამ დაუბატოებელ სტუმარს გვერდები კარგად მიებეჭა, სანამ ჩაძვრებოდა ნავში.

— მადლობა ღმერთს,—სთქვა ქაქანით დაღლილმა და ღონე-მიღეულმა მსაჯულმა, როცა დაბინავდა ნავში.

— თქვენი აქ დაბინავება ჩემთვის სულაც არ არის სასურველი!—უთხრა მკვანედ ჰაერში მოგზაურმა ახალ-მოსულს.

მსაჯული ძალიან აღელვებული იყო და ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. ლაპარაკის თავი არა ჰქონდა. თვალები დახუჭა, მიყუჩდა. ნავი ამას ისე აქანავებდა, თითქოს აკვანში არწევნო. ამოდენა შიშს შემდეგ ეს მდგომარეობა ძალიან იამა. ეგონა, ბურანში ეარო, და როდესაც თვალებს აეახელ, უცბად ჩემს ქვეშაგებში გაეჩნდებოდა.

მაგრამ თვალები აახილა თუ არა, ნახა, რომ სულაც სიზმარი არა ყოფილა. ნატკენი კლავი ჯერ კიდევ აწუხებდა..,

ამ სახით ჩვენი მსაჯული ჰაერში მოგზაურობდა, დედა-მიწიდან თითქმის ერთი ვერსტის სიმაღლეზედ.

## II

მსაჯული სულაც მოშიშარა კაცი არ იყო, ლაპარაკში ვერაფერს აჯობებდა. გამოცდილებაც დიდი ჰქონდა, მეტადრე მარჯვედ იცოდა დამნაშავეების გამოკითხვა: ეჭვი არ არის, იფიქრა მსაჯულმა, რომ ეს კაცი, რომელიც ამას პირდაპირ უჯდა, ნამდვილი დამნაშავე უნდა იყოს.

— თქვენი სახელი?—ჰკითხა მსაჯულმა უცნაურ მოგზაურს.

ამაზედ იმან გაკვირვებით გადახედა და უპასუხა:

— რაში გეკითხებათ?

— რაში უნდა მეკითხებოდეს. მგონი, ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ურიგო არ იქნება ერთმანეთის სახელი ვიცოდეთ.

— თუ აგრე საჭიროდ მივაჩნიათ ჩემი სახელის შეტყობა, მოგახსენებთ: მე გახლავარ რობერტ სმიტსონი, სამეცნიერო საზოგადოების წევრი. თქვენ ვინლა ბძანდებით?

— განა არ იცით, მე ვინცა ვარ?— გაკვირვებით ჰკითხა მსაჯულმა.

— არა, არ ვიცნობთ. ჩვენ საზოგადოებაში არც ერთხელ არ მინახვინხართ.

მსაჯულმა ამაყად უთხრა თავისი სახელი, მაგრამ მეცნიერ კაცზედ ამ სახელის გაგონებამ შთაბეჭდილება არ იქონია. იგი დიდი ყურადღებით სინჯავდა ჰაეროსტატის სხვა-და-სხვა იარაღებს. ეს ძალიან ეწყინა პატივცემულ მსაჯულს.

— მაგ ფათურობას რომ გაათავებთ, უსათუოდ ინებებთ და ძირს, დედა-მიწაზედ, ჩამომსვამთ!—უთხრა მკვანედ მსაჯულმა.

— მაპატიეთ, ვერ გავიგე, რას მიბრძანებთ!

— დედა-მიწაზედ ჩამომსვით, —უთხრა მოთმინებიდამ გამოსულმა მსაჯულმა.—ნუ თუ გგონიათ, რომ მე მთელი დღე ასე ჰაერში ვიფრინო?

— მე ხომ არ მომიწვევინხართ, მოწყალო ბატონო, და ჯადგანაც აქა ბრძანდებით, მე წინააღმდეგი არა ვარ თქვენი აქყოფნისა, — უპასუხა მეცნიერმა კაცმა ზრდილობიანად.

მსაჯული გაბრაზდა.

— ეხლავე ჩამიყვანეთ ძირს, თორემ ამ დაწყველილ ბურთს ლუკმა-ლუკმად ვაქცევ.

— არ გირჩევთ, რომ აგრე მოიქცეთ: მართალია ბურთი რომ დაიხეს, ძირს დაეშვებით, მაგრამ, ვაი, იმ ძირს დაშვებას, მადლობელი არ დარჩებით. დამშვიდდით, ბატონო, და გულდასმით ასწონდასწონეთ საქმე. ერთი მითხარით, რა ნება გქონდათ რომ ამობანდით ნავში?

— თქვენ რაღა ნება გქონდათ, რომ მეწვეით ბაღში?

— მე სრულიად არ ვყოფილვარ თქვენს ბაღში, მხოლოდ თქვენ ბაღის ზემოდ ემოგზაურობდი. ფიქრად როგორ მომივიდოდა, რომ მაგოდენა კაცი, მაგ სისქის პატრონი ჰაერში სამგზაგროდ მომეწვია. მე მხოლოდ იმიტომ ჩაგისვით ნავში, რომ ძალიან მეხვეწებოდით. აგრე არ იყო?

— მაშ ეხლაც ძალიანა გთხოვთ, გადამსვათ ნავიდან, — წაიბუტბუტა გაჯავრებულმა მსაჯულმა.

— რა წამს ქარი პირს იცვლის, თუ ინებებთ, ჩამოგსვამთ სწორედ თქვენ სახლის კარებ წინ, მხოლოდ თუ რამე უბედურება შეგემთხვათ, მე პასუხის გამცემი არ ვიქმნები.

— იმასა ბრძანებთ განა, რომ ბურთს ჩემი გულისთვის ძირს არ დაუშვებთ?

— რასაკვირველია! ჰაერში ამის მეტად არ გიმგზავრიათ?

— ნურც კვლავ მამგზავროს. ესეც პირველი და უკანასკნელი იქმნება, თუ ეხლავე ძირს ჩამიყვანთ, — გამოუტყხადა მსაჯულმა.

მეცნიერმა პასუხი არ გასცა, უბის წიგნი ამოიღო და შიგ რაღასაც სწერდა.

— ყური დამიგდეთ, ბატონო, მომბეზრდა ამდენი ხუმრობა, ეხლავე ბურთი მიწაზედ დაუშვით, თორემ მე ვეღარ გადამირჩებით! დაუყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მსაჯულმა.

— მაგას რასა ბრძანებთ? — ჰკითხა გაკვირვებით მეცნიერმა.

— იმას ვბრძანებ, რომ აქედან გადგისვრით.

— თუ კი გიჯობთ, აგრე მოიქეცით... უნდა კი მოგახსენოთ, მე რომ გადმისროლოდ, ბურთს ჩემი სიმძიმე დააკლდება, მაშინ ბურთი უფრო მალლა წავა და რადგან ბურთის ტარება არ იცით, თქვენი საქმე უფრო უარესად დატრიალდება და არც თქვენ გელირსებათ, სანამ ბურთი არ გასქდება, მიწაზედ ჩასვლა.

სახუმრო საქმე აღარ იყო. მსაჯული უნდა დაჰმორჩილებოდა და ასე იფიქრა:

— გიჟს რას ჩაევაგონებო? ნეტავი ამ უზარმაზარი გველეშაპის ტარება მაინც მცოდნოდაო!

მერე ისევე ტკბილად მოუყვა ლაპარაკს.

— მგონი, ძალიან გავცხარდი, ბატონო მეცნიერო!

— ნუ სწუხართ, არაფერია.

მე სრულიადაც არ მინდოდა თქვენი წყენა; ხომ მოგეხსენებათ, ერთბაშად რა უცნაურ მდგომარეობაში ჩავეარდი, დავივიწყოთ, რაც მოხდა, და გთხოვთ ბოლო მოულოთ ამ ჩემ უცაბედ მოგზაურობას.

— რითი გიშველოთ! სხვა ფრივ მე ვერ მოვიქცევი.

— მე უნდა უსათუოდ ძირს ჩავიდე, დაიჭინა მსაჯულმა, — დღეს სადილად სხვაგანა ვარ დაპატიჟებული. ეხლავე რომ ჩამიყვანოთ, ჯერ მაშინაც ძლივს მოვასწრებ ტანთ ჩაცმას, იქნება დამიგვიანდეს კიდევ. ვინ იცის, სადა ვართ.

— მე რა შუაში ვარ, თქვენ რომ სადილად იყოთ დაპატიჟებული. გთხოვთ ნუ მიშლით. აქ თვალის დევნაა საჭირო, — სთქვა მშვიდად მეცნიერმა.

მსაჯულს მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა. ნაღვლიანად და ჩუმად მოჰყვა თავის საპყრობილის დათვალიერებას. საცა ესენი ისხდნენ ამ ნავეიდან ათასგვარი თოკები აღიოდა მალლა, რომელნიც ბურთზედ მიმაგრებული იყვნენ. თითონ ნავე თითქმის საესე იყო სულ სხვა-და-სხვა იარაღებით, რომლის სახელები მსაჯულმა არ იცოდა. იცნო მხოლოდ ნავითთ ასანთები ჰატარა მაყა-

ლი, რომლის ნახვამ ძალიან გაახარა კიდეც, რადგან იმედი მიეცა რომ მშვიერი არ დარჩება და თან მწარედაც დაღონდა, რადგან ეს ნიშნავდა, რომ კარგა ხანს გასტანს ამათი ჰაერში ყოფნა.

ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში განა კიდეც ვინმე იქნებოდა! რა უწყალო კაცი იყო ამის დამამწყვდეველი! რას არ მისცემდა, რომ სცოდნოდა ამ ჰაეროსტატის ტარება!...

ქარს ჯერ ნელ-ნელა, გვერდელად მიჰქონდა ეს ბურთი, არც კი ეტყობოდათ, რომ მალლა აღიოდენ. მეცნიერი ხშირად დასცქეროდა თავის იარაღებს და თითქოს რაღასაც შიშობდა.

— ეხლავე ასტყდება გრიგალი, უნდა დავამსუბუქოთ ნაფი, რომ რაც შეიძლება მალლა ავიდეთ,—წამოიძახა მეცნიერმა.

დაავლო ხელი ღორღით და ქვიშით საგსეს ტომარას და ძირს გადუშვა. ქვიშა წვიმასავით გაიფანტა.

— ეხლა ის მაინც შეეიტყე, როგორ უნდა ავიყვანო მალლა ეს ვაგლახი ბურთი,—იფიქრა მსაჯულმა.

ჩვენი მგზავრები დიდი სიჩქარით მიფრინავდნენ სულ მალლა და მალლა. მსაჯულს შესცივდა, კანკალი დააწყებინა. ქული მაშინ დაჰკარგა, როდესაც თოკზედ ეკიდა, ეხლა თავზედ აბრეშუმის ცხვირსახოცი შემოიკრა, სინანულში იყო, რომ თან ერთი ცხვირსახოცის მეტი არა ჰქონდა, თორემ ყელსაც შეიხვევდა.

— რა უდროვოდ ატყდა ეს გრიგალი. მე მინდოდა, რომ ამალამდელ ღამეს ასე მალლა არ აესულევიყავით, დასათვალიერებელი მქონდა რამე. ეხლა მომიხდება მეორე ღამისთვის გადადება.

— მაშ ღამე უნდა ჰაერში გავატაროთ?—წამოიძახა ზარდაცემულმა მსაჯულმა.

— მერე ერთი ხომ არა, უთუოდ რამდენიმე ღამის გატარება მოგვიხდება. არა უშავს რა, მე ორი კვირის საზრდო მაქვს,—სთქვა მხიარული ღიმილით მეცნიერმა.

ამის პასუხად მსაჯულმა მხოლოდ ამოიკენესა.

## III

მსაჯული ღრმა ფიქრს მიეცა, მერე მიუბრუნდა თავის მტარვალს და უთხრა:

— მოწყალეო ბატონო, ნამდვილს მოგახსენებთ, რომ ამოდენა ხანს სახლ-გარედ ვერ დავრჩები. სხვა რომ არა იყოს რა, პირის მოსაპარსი იარაღი თან არა მაქვს...

— ჩემთან რა ბოდიში გინდათ, — გააწყვეტინა სიტყვა მეცნიერმა, — ნურც საქმელ-სასმლისთვის შეწუხდებით, ისაუზმეთ, აი, ყავაც მოგიმზადეთ, რადგან ესლა ორნი ვართ, ჩემი ორი კვირის ხორაგი ერთ კვირას გაგეწვდება. მართალია, თავდაპირველად ეს ცოტა არ მეჭაწნიკა, მაგრამ რა გქნა, მოვალე ვარ გამოგკვებოთ.

მსაჯულმა დიდი მადლობით გამოართვა ყავა და დაეწაფა ფინჯანს, იქნება გავთბეო და თან განაგრძო ლაპარაკი.

— ნუ თუ ჩენი მოგზაურობა ერთ კვირას გასტანს?

— ეს კვირა ისე გაირბენს, რომ ვერც კი შეამჩნევთ, სუფთა ჰაერი და სხვა-და-სხვა სანახავეები ისე გავართობენ, რომ ვერ იგრძნობთ შეწუხებას. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ რომ, თქვენ თუ ნანობთ ჩემთან მოგზაურობას, მე ერთი-ორად უფრო ენაობ თქვენს აკვირებთ. მაშ წყრომის ნება არა გაქვთ.

— როგორ თუ წყრომის ნება არა მაქვს? — სთქვა აღელვებულმა მსაჯულმა. მე წინაღმდეგი ვარ თქვენი საქციელისა, ჩემდა უნებურად ვინ იცის სად მიმაფრენთ და მაშ ხმა არ ამოვიღო?

— თუ საყვედურზე მივარდა საქმე, თქვენ უფრო ჟუსამართლოდ



მომეკეცით მე. რისთვის შემომეკედლეთ? ვინა გთხოვთ აქ ამოდითო?

— მომისმინეთ, მოწყალეო ბატონო, ყველა დანაშაულობას ეკისრულობ ჩემ თავზედ, — სთქვა თითქმის ტირილით მსაჯულმა, — და იქნება მოვრიგდეთ ერთმანერთში... ოღონდ ჩამიყვანეთ დედა-მიწაზედ და კაი ფულს მოგცემთ... თუნდ ათ თუმანსაც არ დაეზოგავ, გამოვიმეტებ, გნებავთ?

— მოწყალეო ბატონო, გაიგონეთ რასაც მოგახსენებთ, ნულარ გამამეორებინებთ, — უთხრა მოთმინებიდამ გამოსულმა მეცნიერმა, — ჩემთვის სულ ერთია, ხართ აქ ჩემთან თუ არა, მე როგორც მიწირავს, ისე ეწირავ: მე რა საქმესაც ვადგევარ, ის უნდა დაეაბოლოვო. რადგან საზრდოს და ბინას გაძლევთ, თქვენც უნდა ხელი მომიმართოთ, თუ არა და ჩემი ბრალი არ იქნება, თუ საქმე ცუდად დაბოლოვდა.

ამაზედ მსაჯულმა ვერც კი მოახერხა პასუხის მიცემა,

— არ ვიცი, თქვენთვის სანუგეშო იქნება თუ არა, რომ მოგახსენოთ სადაცა ვართ, — ეხლა ერთ დიდ უშველებელ ზღვაზე, ოკეანეზედ დაეფრინავთ და უსათუოდ ორ-სამ დღეს გასტანს, სანამ დედა-მიწას ენახავთ

მსაჯული ისე გონება დაკარგული იყო, რომ ამ ამბავს ყური არც კი ათხოვა რიგიანად და მხოლოდ იკითხა:

— კიდევ რას აპირებთ?

— მე ძალიან თავმოყვარე კაცი გახლავართ, ბატონო ჩემო, ისეთი საქმე უნდა დავიჭირო, რაც ჩემამდის არავის არ უქნია. ჩემი სიცოცხლე თითქმის ჰაერში მოგზაურობას მოვანდომე. მე მწაღიან, ისეთ სიმაღლეზედ ავიდე, სადამდინაც ადამიანის შეილს ჯერ არ მიუღწევია და მაშინ თუნდ მოკვდე, ჩემზედ ბედნიერად არავის ჩავთვლი. თუნდ ბურთი გასქდეს და დედა-მიწაზედ ჩამოვეარდე, მაინც უბედურად არ დაესახავ ჩემს თავს, თუ კი დამტკიცდება, რომ ჩემზედ მაღლა ჰაერში აღარავინ ასულა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამ ცივ ღამეში ნუ თუ ამ ერთ ადგილას შეეჩერდებით?

რატომ არ გინდათ, უფრო მაღლა ავიდეთ, იქ ეგება თბილოდეს? მოუყვა ხელახლად მუდარებას მსაჯული.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა გაიცინა და უთხრა:

— ნუ თუ აქამდის არ იცით. რომ რაც უფრო მაღლა ავა კაცი, იმდენად უფრო მეტად ეცივება იქ. თან-და-თან ისე აცივდება, რომ ბურთი დაითოვლება და ნაგში ყველაფერი გაიყინება. თუ გცივათ, დაიხურეთ ეს ჩემი ქურჭი.

მსაჯული თბილ ქურჭში საჩქაროდ გაეხვია.

— მე აღარა მესმის რა, — ყურთა სმენა დავკარგე, ხმა მაღლა სთქვით ხოლმე, რომ გავიგო.

— რაც უფრო მაღლა ადის კაცი, ჰაერი თან-და-თან უფრო თხელდება, ყურთა-სმენის დაკარგვა იმან იცის, — აუხნნა მეცნიერმა.

— სუნთქვაც მიძნელდება; სული ვერ მომიბრუნებია.

— ჯერ სადა ხართ, ბევრს მაგისტანებს იჩივლებთ, — უპასუხა გესლიანად ჰაეროსტატის პატრონმა.

ან. თ. წ—სა

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ხ უ ტ ჯ ი ნ ი

ხ უ ტ ჯ ი ნ ი

(იგავ-არაკი ფედრისა)

**ზ**ოპოსმა სთქვა: „ყოველ კაცს  
თითო ხურჯინი კილია.“  
ახლა ის კი არ გეგონოსთ,  
შიდ აქვს რამ გასასყილია:  
წინა თვალში ჰყრის ყველაფერს,  
რასაც სხვა დააშავებსო;  
უკანაში კი მას აწყობს,  
რასაც თითონ იქმს ავებსო.

—  
ამიტომ თვისი სიგლანე  
კაცს უჭირს სანახავათა;  
სხვისი თვალ წინ აქვს ყოველთვის  
საკილაე-საძრახავათა.

ჩიხელიძისა



დეკნული მეკობაწი

I



ვენ ერთი დიდი ვენახი გვექონდა. შუაგული ვახებით იყო სავსე, გარშემო კი მწკრივ-მწკრივად ვრიგა რჩეული, საუკეთესო ჯიშის ხესილი. ძამა ჩემი ისე უვლიდა ვენახსა, როგორც დედა უვლის თავის შვილსა, და ამის გამო ჩვენს ვენახში შესულა სწორედ საა-

ბური იყო თვალისა და გულისათვის. სამწუხაროდ, ქურდობა ეურძნისა და ხილეულობისა ზოგერთა ჩვენს სოფელს ჭირად სჭირდა. ამიტომ ჩვენს ვენახს ეურძნისა და ხილის სიმწიფის დროს მცველად უდგა მოჯამაგირე.

ვენახის ბოლოს, ერთი ძლიერ ვეძრეელის დიდის მსხლის ახლო, იდგა სათივე ოთხს დიდს ბომსედ. ბომიდვან ბომსედ ჯვარედინად გადადებული იყო ჰტყლად გათლილი ხეები და ამ ხეებსედ იდო ლატანი. სამთრობით ამ ბომებსედ იდგა ვეებერთელა ზვინი წმინდა, აბრეშუმივით თივისა, საფხულობით კი ცარიელი იყო. არა, სულ ცარიელი არ იყო. ლატანსედ ნახავდით გაშლილ თივასა, შუა გულში ჩადრმავებულსა, და აქეთ-იქით კი ამაღლებულსა. რისათვის? იმისათვის, რომ აქ ღამით ეძინა ჩვენს მოჯამაგირესა.

— დემეტრე! შენ იმ სათივესედ მიღს თავი დაანებე და მიღს გაიმართე საძილე, თორემ ერთ მშვენიერს ღამეს იქიდგან მიღს ზღართანს გაადენ, და ჩვენს სასაფლავს ერთს ახალს საფლავს კიდევ მიუმატებ,—ვეუბნებოდით ჩვენ მოჯამაგირეს.

— არსეინად ბმანდებოდეთ; მაგისი დარდი ნუ გაქვთ. თქვენ ტანტიდგან უფრო ადვილად გადმოცვივდებით, მინამ მე სათივიდგანა. აგრე არა მაქვს მე საქმე მოწყობილი. შიგ ისე ვწევარ, როგორც ბავშვი აკვანში. ან როგორ დავთმობ ჩემს სათივესა, როდესაც ისეთი ტკბილი მილი იცის, რომ ხელმწიფის საწოლსაც არ ეცოდინება მისთანა, გვიანსუხებდა სოღმე მოჯამაგირე. და მართლაც, სათივესედ ღამით წოლა და მილი ისე უხდებოდა, რომ ჯანსაღობით და დაბრწული ლოყებით ცხადად ერჩოდნ ტოლ-ამხანაგებში.

ერთი იშუათი თვისების ჰატრონი იყო ჩვენი დემეტრე: მთვარისანს ღამეში თითქმის ისევე კარგად ჰხედავდა, როგორც დღისითა.

## II

ერთსელ კალოობის დროს მე წავასხი დილა ადრიან ჩემი ჰატარა ძმები და დები ვენახში. შვედით თუ არა კარებში, მაშინვე გავექანვეთ გემრიელ მსხლისკენ, გვინდოდა აგვეკრიბა ნაქარი მსხალი და ჰირი გაგვეტკებანურებინა; მაგრამ, დასე ჩვენს დადონებასა, ერთი მსხალიც ვერ ვიპოვნეთ.

— დემეტრე! რა ღმერთი გაგწეროძია, რომ ამ ადრიანს დილასედ სულ შეგითქვლეფია ნაქარი მსხალი,—ვუსაყუე-

დურე მე მოჯამაგირეს, რომელიც იქვე ახლო ვასებს ფურჩქნიდა.

—თავი მომიკვდეს და ღმერთი გამიწერეს, თუ მე დღეს გემოთ მენახოს მსხალი,—გვინახუნა მოჯამაგირემა.

—მაშ რა იქნა ნაქარი მსხალი? გუშინ, საღამოს და ღამით ქარი ჰქროდა და უნდა ცოტაოდენი მანც ჩამოეყრევიანებინა.

—მართალია, ქარმა სუთიოდ-ექვსი მსხალი ჩამოაკდებინა, მაგრამ ამ მსხლებს მე ახლოც არ მივკარებოვარ.—ისინი შეჭამა წუსელის ერთმა დაუბატოებელმა ოთხფესა სტუმარმა,—გვითხრა მოჯამაგირემ.

—რას მივდ-მოვდები, ღამით რა უნდოდა აქ სტუმარსა და ისიც ოთხ-ფესსა?...

—კი არ მივედ-მოვედები, ჭეშმარიტს სიტყვას გეუბნებით,—გვითხრა მოჯამაგირემ.—წუსელის სათივესედ შუაღამისას გამომეღვიძა და ქვევიდგან სლანა-სლუნი და სრამა-სრუმი შემომესმა. წამოვიწიე ჩემი საწოლიდგან, გადმოვიხედე ქვევით და მსხლის ძირში მთვარის შუქსედ დავინახე ვეებერთელა სლარბი, რომელიც ფაცა-ფუციით ნაქარს მსხალსა სჭამდა. ერთი ღონივრად გავსჭევივლე; შეეძინდა, გაგოგმანდა და თხრილში ჩავგორდა. მერმე ისევ გულიანად დამეძინა. უთუოდ ისევ მოვიდა და დანარჩენი მსხალიც შესწამუნა.

ჩვენ საშინელს ბრახსედ მოვედით. გვინდოდა მიგვეგნო მსუნავი სლარბი და მოგვეკლა. დაუწვეთ ძებნა; გადავაქოთებინეთ მოჯამაგირეს ახლო-მასლო ჩირგვები, თხრილები, ღობეები, მაგრამ კვალი ვერ მივაგენით.

შინ რომ ჩამოვედით, ვუამბოთ ზღარბის ოინი. მოჯამაგირეს უბძანეს, რომ ზღარბისათვის მოესწრო და უთუოდ მოეკლა. მოჯამაგირე ბეგრი ეცადა აესრულებინა ბრძანება: დღისით ვენახში თვალა ეჭირა, ეგები სადმე შევხვდე ზღარბისაო, და ღამით თავის საწოლს სათივესედ ვეებერთელა ქვები ეწეო, რომ ესროლა ზღარბისთვის, როცა ის მსხლის ძირში მოგოგდებოდა. არა ერხელ მოარტყა თურმე ვეებერთელა ქვა საწყალ მსხლის ქურდსა, მაგრამ მოკვლით კი ვერ მოჰკვლა.

ერთხელ, როცა მე და ჩემი ზატარა ძმები და დები ვენახში ვიყავით, ვაზებიდგან მოგვესმა ძახილი ჩვენის მოჯამაგირისა: «არქა, ზღარბი, ზღარბი». ჩვენ შევცვივდით ვაზებში და თავს წაზადექით ერთს ეკლიანს და სრულიად მრგვალს გორგალსა. ეს ეკლიანი გორგალა იყო ზღარბი. თავი და ფეხები შიგნით შეეძალა და ისე ოსტატურად გავერთებინა თავისი ეკლიანი ტყავი, რომ ზირი ვერ ვუზოფნეთ და ვერა. ბევჯელ გადავაგორგადმოვაგორეთ, ბევრგან ვატაკეთ სარები, გვინდოდა თავი და ფეხები გამოგვეჩინებინა, დაგვერტყა და მოგვეკვლა; მაგრამ ტყუილად. ეოჯელ მსრივ, ირგვლივ ეკლიანი ტყავი იფარავდა ჩვენს მსხლის ქურდსა, თითქო ცისე აქვს შემორტყმულიო. ბოლოს დაუშინეთ ტანსედ სარები და იმდენი ვცემთ, მანამ გავერდავდით. აილო მოჯამაგირემ მკვდარი ზღარბი და თხრილში გადისროლა.

— ახლაც შეგვიჭამ ნაქარს მსხალსა, — მივამახეთ ნიშნის მოგებით მკვდარს ზღარბსა.

მეორე დღესაც მოგვხვდა ვენახში ასვლა. მივედით და გადავიხედეთ იმ თხრილში, სადაც გუშინ ჩავადეთ

მკვდარი ზღარბი. ჩვენდა გასაოცრად, ის ადგილი ცარიელი დაგვხვდა, ზღარბი აღარსად იყო. «უთუოდ მოცოცხლდა ის ოხერი და თავისი ბუნავი მონახა, ძლიერ ამტანი ცხოველია», სთქვა ჩვენმა მოჯამაგირებმა.

— იქნება შეჭამა რამემ? ვსთქვი მე.

— ეგეც შეიძლება, მაგრამ მე კი უფრო გაცოცხლებას ვაბრალე იმის აქედგან გაქრობასა, დაუმატა მოჯამაგირებმა.

### III

იმავე დღეს ჩვენი ვენახის ბოლოში, სადაც განიერი საწყლე, ანუ საგუბარი, იყო ღრმა თხრილთან, გემრიელი მსხლის ახლო, ჩვენ წავაწყდით ისეთს რამესა, რომელმაც თავხარი დაგვცა და სრულიად დაგვაპიწვა ზღარბი. ეს იყო ვეებერთელა გველი, რომელსაც ზურგზედ შავი ზოლი ჩანდევდა თავიდან დაწყობილი კუდამდის. — «ვაი-მე, დედავ, შხამიანი გველი!» — წამოიძასა ხმის კანკალით მოჯამაგირემ, რომელსაც სასოგადოდ ძლიერ ეძინოდა უოველ გვარი მცურავისა, ქვეწარმავალისა. ჩვენ ეველანი შიშის კანკალმა აგვიტანა და უკან სწრაფად დავიწიეთ. გველი ჩვენს დანახვასედა უკან გაბრუნდა დინჯად, აუჩქარებლივ გაისრიალა, ეტეობოდა, რომ გრძნობდა თავის ძალსა, და ხშირსა და ძაღალს ბაღასში მიიძალა.

ჩვენ გაფითრებულები ჩამოვედით შინა და დედამასს ვუამბეთ შხამიანი გველის დაბუღება ჩვენს ვენახში. ისინი ძალიან შეფიქრდნენ და სასტიკად აგვიკრძალეს: ჯერ-ჯერობით ასულა ვენახში აღარ გაბედოთო. ამასთან უბრძანეს მოჯამაგირეს, რომ ის ცდილიყო და როგორმე მოეკლა შხამიანი გველი; მაგრამ როგორ შესძლებდა

ამასა, როცა თვითონ ეველსედ მომეტებულად ეშინოდა...  
გავიდა რამდენიმე წანი. არამც თუ ჩვენ ზატარები, დიდებიც კი აღარ დადიოდნენ ვენახში შიშის გამო.

უცებ ერთს აღრიან დილასედ მოჯამაგირე ძლიერ განხარებული ჩამოიჭრა ვენახიდან და მოგვამასა:

— თქვენი ჭირიბე, რა ვნახე, რა ვნახე! აკი, გეუბნებოდით ზღარბი გაცოცხლდებოდა მეტი. წარმოიდგინეთ, წუხელის შუადამისას მან ჩვენი დიდი მსხლის ძირში მოჭკლა შხამიანი გველი, დიღ მოჭკლა!

ჩვენს გაოცებას სასღვარი არა ჰქონდა. ჯერ ძლიერ გვაკვირვებდა გაცოცხლება ზღარბისა, რომელსაც ისე უწყალოდ ვცემდით, რომ ხარსაც კი მოჭკლავდა იმდენი ცემა. მაგრამ ეველსედ მეტად ის გვიკვირდა, რომ ზღარბს შესძლებია გველის მოკვლა და ისიც შხამიანისა. ჩვენთვის ეველსთვის ეს ზირველი გაგონება იყო.

— როგორ მოხდა, დაწვრილებით გვიანბე, — ვუთხარით ჩვენ დემეტრეს.

— ჩვეულებისამებრ, — დაიწყო მოჯამაგირემ — მე ზირველ ძილს შემდეგ გამოძევობა შუადამისას. მთვარეს კაშკაში გაჭკონდა და ღამე მეტად ცხელი იყო. უცებ ახლო თხრილის გუბადგან მოისმა ალიაქოთი ბაყაყებისა. მე საწოლიდან წამოვიწიე, ნიდაყვს დავებჯინე და ცქერა დავიწიე თხრილისაკენა. ერთს წამს შემდეგ მედავინახე ვეებერთელა ბაყაყი, რომელიც გუბიდან ამოხტა და დიდი მსხლისკენ სტუნვით გამოეშურა. მას სწრაფი სრიალით მოსდევდა გველი. მსხლის ძირში რომ მოვიდა, უცებ გველი შედგა, ბაყაყს თვალი მოაშორა, ქვემოთკენ იწყო ცქერა, ტანი მოიკრიბა, სისინი დაიწყო, თავი მადლა აიღო და თი-

თქო საომრად მოემხად. მე ამან ძლიერ გამაოცა. რად-  
 გან გველმა თვალი გააშტერა ქვემოთკენ, ამიტომ მეც ქვე-  
 ვით გადვიხედე და რა დავინახე? ჩვენი ზღარბი, ის ზღა-  
 რბი, რომელსაც იმდენი ვცემეთ და რომელიც ძველარი  
 გვეგონა. თავისი ეკლიანი ტყავი ძაღლა აკრიბა,  
 ფეხები და თავი ცხადად უჩანდა, ყოჩაღად, მამაცურად  
 იდგა და გამოქანებას აზირებდა გველისაკენ. აი, ის უც-  
 რად დაიძრა, ელვასავით ჩქარა გამოექანა და დაეტაკა  
 გველსა. გაჩნდა საშინელი ბრძოლა. მე ცქერად გადავი-  
 ქეცი და სულ-განაბული ვუყურებდი, და რა საკვირველია,  
 ვნატრობდი გულადი ზღარბის გამარჯვებასა. ეს სულ  
 იმასა ცდილობდა, რომ გველის თავი ეგდო კბილებში;  
 გველი კი სწრაფად იკლანკნებოდა და მეტად ოსტატურად  
 არიდებდა თავსა; თან ჭკბენდა ხან ფეხებში და ხან ტუჩებ-  
 ში. «ვანიძე წავიდა ზღარბის საქმე», ვამბობდი ჩემს გულ-  
 ში. მაგრამ ჩემდა სასისხარელოდ, ძალე შევნიშნე, რომ  
 ზღარბი გველის კბენას არად იმხნევდა, თითქო რწყელი  
 ჭკბენსო და არა შხამიანი გველიო. ზღარბმაც თავისი  
 ბასრი კბილები ბევრგან ჩაუყარა გველსა და სისხლიც  
 ბევრი ადინა; ხოლო გველს არ ასუსტებდენ ეს ჭრილო-  
 ბანი და ის ისევ შეუზოვრად ჭკბენდა მის მოწინაღმდეგესა.  
 ბოლოს, როცა გველი კიდევ მისწვდა ფეხში, ზღარბმა  
 მოასწრო, ქეჩო დაუჭირა და თავი იგდო ზირში; მოუჭირა  
 კბილები, გაუჭელიტა თავი, მოიქნია გველი და სისხლით იქით  
 გადააგდო. შემდეგ დაცუცქდა იქვე და მიჭყო ლოკა დაკბე-  
 ნილს ადგილებსა. ლოკვას კაი ხანი მოუნდა, მერე ნაყარს  
 მსხლებს ეწვია და ხარბად დაუწყო ჭამა.—შეგარგოს ღმე-

რთმა, — ვეუბნებოდი მე ჩემს გულში გამარჯვებულს მამაცს, ეკლიანს გმირსა. როცა მსხლით გული იჯერა, სწრაფად გაგოგმანდა ქვევითკენ და ღობის ჩირგვებში შეძვრა.

ამ ამბავს, რომელიც ჩვენ ყველამ კრინტის დაუძვრელად მოვისმინეთ, მარტო გაცემა როდი გამოიწვია. გაცემას სხვა გრძნობაც დაერთო. დიდძალ და ზატარამაც ამჟამად ვიგრძენით სირცხვილი. რისა გვრცხვენოდა? იმისი, რომ ფრიად სასარგებლო ცხოველსა, ერთგულს ჩვენს მეგობარსა, მძუსვრელს ჩვენის შხამიანის მტრისას, ჩვენ ვდევნიდით და ვკლავდით და ისიც რაღა? იმის გამო, რომ სჭამდა ხანდახან ნაქარს მსხალსა, უფრო დამძალსა და ჩვენთვის გამოუსადეგარსა. მეტი უძეცრება და უსამართლობა კიდევ იქმნება? და სწორედ ამ უძეცრებისა და უსამართლობისა გვრცხვენოდა ჩვენ ყველასა.

— ვაი, თუ გველის შხამს შეძვეგ განჭრას, მოსწამლოს ზღარბი და მოჰკლას, წამოვიწახე მე.

— არა, მკობარია; შხამს რომ წყენა შესძლებოდა ზღარბისა, ის ისე არსენინად აღარ იქნებოდა ბრძოლას შეძვეგ, სთქვა მოჯანაგირებმა ჩემდა ზასუსად.

— არა ერთსელ გამოკობია ჩემს სიცოცხლეში, — სთქვა მამა ჩემს, — რომ ზღარბზედ გველის შხამი არ მოქმედობს, არა სჭრისო. ეს წინედ მე წმინდა ჭოროდ მიმაჩნდა; ახლა კი ლამის მართალი გამოდგეს.

ჩვენ • ყველანი დიდით-ზატარამდის ვენახში გავეგმავრენით, რათა ჩვენის თვალთ ვვენახსა ზღარბისაგან დაგვეჯილი და მოკლული გველი. ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ რაც მოჯანაგირემ გვითხრა, ყველაფერი — მართალი იყო. ჩვენ ძლიერ გვინდოდა ზღარბისათვის მიგვე-

გნო, სიკეთისათვის სიკეთე გვექნა, გვეჭმია სულ უკეთესი მსხალი, ალერსით მოვწურობოდით, გაგვესწორებინა უწინდელი ჩვენი დანაშაულება; მაგრამ კვალიც არსად სჩანდა მისი.

ორ დღეს შეძევ ჩვენმა მოჯანაგირემ ჩამოირობინა ვენახიდგან და გვითხრა:

— სამახარობლო მერგება. ჩვენი შიში ტყუილი გამოდგა. ზღარბისათვის გველის შხამს სულაც ვერა დაუკლიარა. იმან, საღსალამათმა, წუსელი კიდევ მოიგოვძანა მსხლის ძირში, ჯერ კარგად გული იჯვრებ ნაყარი მსხლის ჭამითა, მერმე ისტუნავა, ითამაშა და ბოლოს ისევ გაიწია ბუნავისაკენა.

ჩვენ ისეთი სინარული შეგვიდგა, თითქო ოჯახში მძიმე ავადყოფი მოგვრჩენოდეს.

ამას შეძევ ჩვენს ვენახში ზღარბები თავისუფლად იბუდებდნენ და ცხოვრობდნენ. ჩვენ არამც თუ არას ვუშავებდით, თავაზიანად და მეგობრულად ვექცეოდით. სამაგიეროდ, გველის სინსილა მთლად გასწევა ჩვენი ვენახიდგან. ზღარბები სხვა სიკეთესაც ვეძინიდენ: მრავალმარღვას და სხვა ვენახების მავნე ბალახებსა ძირიანათ სთხრიდენ და ძირებს უჭამდენ, ასე რომ მუქთი მმარგველეები გამოდგნენ. მართალია, ნაქარს მსხალს ვაკვლებდნენ; მაგრამ განა ეს მცირეოდენი ზარალი სათქმელი იყო იმ დიდს სიკეთესთან, რომელსაც ჩვენ მათგან ვხედავდით?

იაკობ გოგებაშვილი



ჯ ა ფ ა რ გ მ ი რ ი \*)

(შ. გულისაშვილისგან წარმოდგენილი)




როსტომ მეფის კარის-კაცი  
იყო ჯაფარ გმირი.  
მეფის სიტყვის არ გამტეხი,  
ჰქონდა ერთი ნირი:  
ქვრივ-ობოლის მწყალობელი,  
საქართველოს ძირი...  
როსმალთ მეფეს წინ დაუხვდა,  
გაუმართა ღვინი.  
სადილს უკან გამოჰგვარა  
თავის კულა ვირი.  
საქართველოს გიმორჩილებ,  
ახლა ნულარ ჰყვირი.  
შენს ქვეყანას მოუარე,  
ამით ზიდე ხილი;  
წადი და არ დაივიწყო  
საქართველოს გმირი.  
ომზე ჩვენთან ნუ ირჯები,  
დაგიჯდება ძვირი.  
ჩემს მაგიერად ტყვედ წაიყვა  
ჩემი კულა ვირი.

\*) ამ ლექსს მესტვირეები იტყვიან ხოლმეო—მიანბო ოთხმოცდა ხუთის წლის პაპაჩემმა. ჯაფარ გმირს ძალიან ვაყვაცს იტყოდენ, სიმაღლე ხუთი ადლი ჰქონდაო, როსტომ მეფეს ახლდა და ატენის ხეობაშია დამარხული.



## ჩვენი ძველი გმირები

### I



კათათვე დადვა. კარსნისა, კოდმანის, წიწამურის და არმაზის გარეთუბნელები ემზადებოდნ მცხეთის გარემინდერებში ოქროს ფერად მღელვარე ყანების მკასა• სამთავროს სასახლეში ბაჯონის რძალი, ფარნაოზის დედა, დიდებული სპარსეთის მეფის დარიოზის ასული, გულ-აღელვებული უცდიდა თავის შვილის ამბავს. ასული მისი, ფარნაოზის დაჟ, ეს ერთი კვირა იყო, რაც შინ არ დაბრუნებულ იყო. ის იმყოფებოდა არმაზის მთაზე ღმერთების დიდებულს ტაძარში დედაქურუმად. იმას იქ მარმარილოს სახლი ედგა განსასვენებლად. სახლის გვერდით შვიდ სართულიანი ოთხ-კუთხი გოდოლი (დიდი კოშკი) აიმართებოდა. ამ გოდოლს ოთხივე კუთხე მიქცეული ჰქონდა ქვეყნის ოთხის მხრისაკენ, ასე რომ აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს იმ გოდლის კუთხეებით შეიტყობდნ. თითოეულს სართულს გოდლისას თითო გვერდზე თითო ლანძვი\*) (სანათური) ჰქონდა დატანებული. ყოველ სართულში თავთავისი შესაფერი მოწყობილობა იყო. კედელზე სხვა-და-სხვა კერპთა ღმერთების ბრძოლა, ან მეგობრული

ლანძვი—ვიწრო და მაღალი ფანჯარა. იხილე „დილარიანი“

## ჩვენი ძველი გპირებები

ერთურობა იყო გამოხატული. ყოველის სართულის გუმბათი ცისფერად იყო შეღებილი და ზედ ის ვარსკვლავები იყვნენ გამოხატულნი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება და კავშირი ჰქონდათ თვით სართულში დაყუდებულს ღმერთების ანდრიანტებთან<sup>1</sup>).

პირველ სართულში იდგახეთი ადლი ალბასტრის ანდრიანტი ანცასი, ანუ ნანა-ღმერთისა.<sup>2</sup>) ამას ჰქონდა დედა-კაცის სახე, ტანი თევზასა და ზედ თევზის თავი ეხურა. ცალ-ხელში ეჭირა სიმრგვლე ქვეყნისა, რომელსაც გარშემოხვეოდა გველეშაპი, მაგრამ ანცას მისთვის კისერში ხელი წაეფლო, თითქოს არ ანებებო გველეშაპს დედა-მიწის შთანთქმასა. წინ ედგა მარმარილოს ტაბლაკი და ზედ მოხაზული იყო სივრცე ოკეანესი სხვა-და-სხვა მხრით მიმდინარე. ცის გუმბათზე გამოხატული იყო მნათობი იუნონა.

მეორე სართულში იდგა კაცის სიმაღლე ორი ვეცხლის კერპი (გაცისა და გაიმისა<sup>3</sup>). ერთსა ჰქონდა მამა-კაცის სახე და მეორეს დედა-კაცისა.

მესამე სართულში იდგა მარიხის<sup>4</sup>) კერპი რეალისა (სპილენძისა), რომელსაც თავს ეხურა ოქროს მუზარადი, ცალხელში ეჭირა ბრწყინვალე შუბი ფოლადისა და მეორე ხელში ჰქონდა ოქროს მუკუზალი თავმონაოჭებული, თითქოს ცეცხლის ალი ეკიდებო. თალით შეკრულ ცაზე იყო მოხატული მნათობი მარიხი. ცოტა მოშორებით იდგა მარმარილოს გრგვალი და განიერი ტაბლაკი,<sup>5</sup>) რომელზედაც ჩვეულებრივ იდგა დიდი სქელი საგულთმისნო წიგნი ნებროდისა. ამ წიგნის ფურცლები ხის წმინდა და მეტად თხელი ფირფიტებისაგან იყო შემდგარი. ეს შეიცავდა საგულთმისნო წიგნსა,

1) სურათი გამოტვირთილი ან მარმარილოსაგან, ან ლითონისაგან: ოქროსა, ვეცხლისა და სპილენძისა.

2) იხილე აფხაზური ლეგენდები „ივერია“. ერთი ამ გვარი პატარა ანდრიანტი სპილოს ძვლისა მე ვნახე მღვიმევის მონასტერში საწინამძღვრო ჯოხზე დაგებული. ჩემი აზრით ეს ანდრიანტი უძველეს დროიდან უნდა იყოს აქამომდე მოღწეული.

3) იხილე „ქართლის ცხოვრება“.

4) მარსი.

5) სტოლი.

რომელშიაც აღმოიკითხავენ ქურუმები სხვა-და-სხვა საწინასწარ-მეტყველო მცნებას ომიანობის შესახებ.

მეოთხე სართულში იმყოფებოდა შვიდ ხელიანი ბრინჯაოს (თითბრის) კერპი—ბოჩი, რომელსაც თანასწორად ჰქონდა წინ წამოწედილი ხელები, თითქოს ითხოვსო ყმაწვილები მომაწვდინეთ დასაწველათაო. სახეზე მოგძო წვერი ჰქონდა ვაცისებურათ ჩამოშვერილი. ფეხებ შუა ედგა ღუმელი (საცეცხლე) და ღუმელს გარშემო მუხლ-მოდრეკილი და ხელ აღპყრობილი რამდენიმე ყრმათა სურათები იდგენ ეცხლით გამოქანდაკებულნი, თითქოს წმინდა თეთრი ტანსაცმელი სცმოდეთ. ისინი ვითამც გამზადებულნი იყვენ დასაწველად, როგორც შეწირულნი მსხვერპლნი ბოჩოსადმი. გუმბათ გადართხმულ ცაზე გამოხატული იყო ამომავალი ვარსკვლავი, რომლის წარმომადგენელიც დედა-მიწაზე იყო ბოჩო-ღმერთი<sup>1)</sup>.

მეხუთე სართულში იყო დადგმული ალაროდებლების ხალდე-ღმერთის ანდრიანტი შავი ბრინჯაოსი, ანუ თუთფრისა, რომელსაც ჰქონდა თვალები ბიერიტისა (ლაჟვარდის თელისა). იგი იჯდა კლდეზე და ხელები მუხლზე ჰქონდა დაწყობილი, თითქოს განისვენებსო. თავზე უჯდა ჭოტის ანდრიანტი, რომელიც ნიშნავდა ღეთის სიფხიზლეს ღამეში და მის მფარველობას გამოქებაბულებში მცხოვრებთა. მას ერქვა აგრეთვე ხალდეველთა ღმერთი სერობისი,<sup>2)</sup> ესე იგი ღამის მფარველი. შეკრულ გუმბათში კი იყო მისი ვარსკვლავი რვილი<sup>3)</sup> მუდამ ჩრდილოეთის მხარეზე მანათობელი.

მექექსე სართულში იჯდა კლდეზე თეთრი მარმარილოს ანდრიანტი მშვენიერი დედა-კაცისა გრძელ ორ ნაწნავებ ჩამოშვებული კლდეზე, თითქოს ჰსურსო ახალ-შობილი პაწია ყრმა კლდეზე აღიტაცოსო. ყმაწვილის მარმარილოს ანდრიანტი იყო კლდის ძირში განართხული. მოშორებით მგელი იდგა გამოქანდაკებული კლდეზე,

1) ასირიულათ ბელი, ანუ ბელტის—ღმერთი.

2) სერაპისი—Сераписъ.

3) Полярная звезда.

## ჩვენი ძველი გმირები

რომელსაც დაელო პირი და თითქოს ჰსურდა ის ყმაწვილი მოეცა. მეორე მხრით იდგა ანდრიანტი გმირის კოპალესი<sup>1)</sup> რომელსაც მხარზე ვეცხლის გძელი კაპარჭი (ისრის ბუდე) ჰქონდა გადაკიდებული და წინ ირემი უდგა, მარმარილოს სურათით შექმნილი. გუმბათში იყო ლიონის (განთიადის) ვარსკვლავი გამოხატული. ქალის ანდრიანტი მოასწავებდა დალსა<sup>2)</sup>, ანუ დინასა, (თინას), რომელიც იყო ნადირთ პატრონი ღმერთი და მონადირეთ შემწყნარებელი.

მეშვიდე სართულში ორ ოქროს სელზე ისხდნენ ორი კერპი ოქროსი: ერთი კაცისა და მეორე ქალისა. კაცს ეჭირა ხელში ელვარე მახვილი და ქალს ვეცხლის რგვალი ფირფიტა წარმომადგენედება-მიწისა. პირველი კერპი იყო აურამაზ და ანუ არამაზი, მეორე კი ზადენი. ესენი ქართველების აზრით იყვენ შემოქმედნი ცა და ქვეყნისა, ყველაზე უფრო დიდი ღმერთები. სართულის ლაქვარდის გუმბათზე დახატულნი იყვენ მზე და მთვარე, რომელნიც ქართველებს მაჩნდათ ნამდვილ დიდ ღმერთებათ, ცა და ქვეყნის გამჩენად და დება-მიწის განმანაყოფიერებელად.<sup>3)</sup>

გოდლის მეშვიდე სართულს ზემოთ იყო სწორი ბანი გაკეთებული, სხვა-და-სხვა ფერ მარმარილოთი იატაკ-მოგებული. მათი ნაპირები სხვა-და-სხვა ზომის რგოლებს წარმოადგენდნენ, სადაც ქვები, იმ გვართვე იყვენ დალაგებული, როგორც სხვა-და-სხვა ფერის ბჭკალები ჭადრაკის სათამაშოზე.

ამ ბანის სიგანე იყო ორი საყენი და გარს რეალის (სპილენძის) მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული მოოქრული წვეტებითა. შიგ იდგა ორი ოქროს სელი. მუაჯირს შორის ოთხი მაღალი რეალის სვეტი აღიმართებოდა; ბანის შუა გულზე კი რეალის მაღალი შუბი იყო დასმული ოქროს წვეტიანი. ამ ოთხ რეალის ბოძებზე ურთხელის

1) ბერძნების აპოლონი. იხილე ფშავური და ინგილოური ლეგენდები.  
2) ბერძნების დიანა. იხილე სვანური ლეგენდა დალზე, აგრეთვე ფშავური ლეგენდა.  
3) იხილე „ქართლის ცხოვრება“.

ძელები იყო ჯვარდინად გადებული და იმათ ბოლოებზე დამაგრე  
ბული იყო წითელი აბრეშუმის ფარდა ოქრო-მკედის არშითა. ეს  
ფარდული მზისა და წვიმისაგან იფარავდა ოქროს სეღში მჯდომა-  
რეთა. ისრის წვერზე გაკეთებული იყო ოთხი ფრთა ქარის მაჩვენე-  
ბელი. თვით ისარზე მოწყობილი იყო ასაწეე-დასაწეე და მისაწეე-  
მოსაწეე მანქანა. ამ მანქანიდან ყოველ სართულში გადიოდა რეალის  
მართულები, რომელთ ბოლოზედაც ლერწმის კალმები იყო მიკეთე-  
ბული და კალმების ბოლოზე რეალის ბუმტები, მეღნით საესე. ბანზე  
მდგომი კაცი მანქანითა და ამ მართულების შემწეობით ყოველ  
სართულში, როგორც უნდოდა, ისეთს ფეგურებს მოხაზავდა ია-  
ტაკზე. ეს გოდოლი იყო ვარსკვლავთ-სამრიცხველო კოშკი და აგრე-  
თვე დიდებული ტაძარი საქართველოს ღმერთებისა.

## II

მთელი დღეები და ღამეები იმა კვირისა გოდლის ბანზე გაე-  
ტარებინათ მთავარს ქურუმსა და ფარნაოზის დას, რომელიც აგრე-  
თვე დედა ქურუმათ ირიცხებოდა იქა. ეს ახალგაზდა ქალი ისეთივე  
დახელოვნებული იყო ვარსკვლავთ-მრიცხველობაში, როგორც თვით  
მთავარი ქურუმი და ბევრს შემთხვევაში ამ მოხუცებულს ქურუმსაც  
გადაამეტებდა ხოლმე მახილ-გონიერებით და გულთმისნობითა.

პარასკევს საღამოს მთავარი ქურუმი და ფარნაოზს დაე ემზა-  
დებოდენ არმაზის ტაძარში ლოცვას, რადგან მეორე დღეს შაბათსა,  
როგორც უკანასკნელს დღესა უქმესა, ემზადებოდენ მსხვერპლის  
შეწირვას. მზე დიდი ხნის ჩასული იყო. დღე და ღამე იყრებოდა,  
ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ფარდული ჩამოხსნა მთავარმა ქურუმმა.  
იგი შეუდგა ვარსკვლავების დაკვირვებას ცაზე. ფარნაოზის და კი  
მაზედ კიდევ უფრო აღრე ადევნებდა თვალს სულ განაბული მარი-  
ხის ვარსკვლავსა. უცბათ მან წამოიძახა: ეს კარგი ნიშანია. ასე  
ბრწყინვალე მარიხი ჯერ არ მინახავს. იმან თითქოს სამხრეთისკენ  
უფრო გააგდო სხივი. აი, ეს შუა სხივი შუბის ტარსავეთ დაგრძელ-  
და. სწორედ ჩემს ძმას გაუმარჯენია. შუქმა ზევით მოიგდო სხივის

## ჩვენსი ძველი კმირები

რკალიცა. მიუცილებლათ ანტიოქოს მეფე მას მეფურს საჩუქარს უკზანის.

— სწორეთ ვერე უნდა იყოს, — წარმოთქვა მხიარულებით მოხუცმა ქურუმმა. აბა, შეენძრეე მარინის მართულს, ენახოთ რა მოხაზულობა დაეფინება მარინის ტაძრის იატაკზე...

— კიდევ... ევ არ კმარა, — გაუსწორა დედა-ქურუმმა. დახარე მართული ჩრდილოეთისკენ... კმარა. ენახოთ, რა გამოვიდა? ახლა კი დროა დაეკითხოთ ნებროდის წიგნის ფირფიტებსა.

ამ სიტყვაზე ფარნაოზის და ადვა სელიდან. მთავარმა ქურუმმა გააღო მოაჯირის კარები და ჩაეშვა გოდლის გარემო შემოკრავნილს კიბესა. მას უკან გაჰყვა ფარნაოზის და. ისინი ჩაედნენ მარინის ტაძრამდის და შეადეს კარი. ახლად ამომავალმა მთვარის შუქმა სხივი შეადგო ლანძღვიდან ტაძარში და ააპრიალა მარინის ოქროს მუხარადი. მთავარმა ქურუმმა დაჰკვესა, ანთო გოგირდის წუმწუმა, რომელმაც გამოიღო მკრთალი ცისფერი ალი და მოუკიდა მითი ხომლსა, რკინის ლანგარზე დასხმულს შავს ნავთსა, რომელსაც უცბად მოედო ცეცხლი და ძალზე გაანათა მარინის ტაძარი. ფარნაოზის და მივიდა მარმარილოს ტაბლაკთან, გადაშალა ნებროდის წიგნი და ელოდა მთავარ ქურუმის გამოკვლევას, რომელიც ამ დროს დასცქეროდა იატაკზე მოხაზულობას.

— ფრიად ჩინებული გამოხატულება გამოსულა. თქვენ უნდა გადაშალოთ ნებროდის წიგნში მეფეთა გულ-უხეობის ამბავი, — მოახსენა დედა-ქურუმს.

— ვაჰა, ვაჰა! — წამოიძახა ფარნაოზის დამ. სამხრეთის ძლიერი მეფე უცხადებს ჩრდილოეთის გმირსა კავშირს და უკზანის მეფურს ძღვენსა. — ამოიკითხა წიგნიდან დედა-ქურუმმა.

— ფრიად ჩინებულია. — დაისვა ქურუმმა გძელ ჭალარა წვერებზე ხელი.

— აწ მიბრძანდით, დიუფალო, სასახლეში მოსასვენებლად. ფარნაოზის დამ მოუკიდა ხელ-საჭერ ოქროს ხომლსა, რომ წინ გზა გაენათებინა ჩასასვლელ კიბეზე. მთავარი ქურუმი იქ დარჩა, მუხლი

მოუყარა მარიხის კერპსა და ჩაღრმავდა ლოცვაში. ფარნაოზის დას მოესმა მშვენიერი გალობა დედა-ქურუმებისა, რომელნიც გოდლის ძირში კიბიდან გამოსასვლელ კარებთან უცდიდნენ ფარნაოზის დას. ისინი იყვენ სეფე ქურუმები, რომელთაც გააკეთეს წრე, ამართეს ოქრო-ქსოვილი ფარდული: ჩაიყენეს შუაში ფარნაოზის და და სერობის გალობით წაუძღვენ განსასვენებელს სასახლეში.

შაბათს დილას სარანგმა<sup>1)</sup> ალაყაფის კარებზედ ბრინჯაოს ურო დაჰკრა გრდემლზე. ამ დროს ფარნაოზის დას დილის ლოცვა გათავებული ჰქონდა კიდევ. იმან კარგად იცოდა, რომ უროს დაკვრა მოასწავებდა შიკრიკის მოსვლას სამთაგროდან. ცოტას ხანს შემდეგ მართლაც სეფე დედა-ქურუმმა მოართვა სპილოს ძვლის ფირფიტა, რომელზედაც სოლისებურათ იყო წარწერილი. ფარნაოზის დედა უცხადებდა მხიარულს ამბავს, რომ ფარნაოზს დაეპყრო ანძაძორი, ჯარით უკან დაბრუნებულიყო და დღეს, თუ ხვალ კიდევ შემოვიდოდა სამთაგროში დიდი ნაშრომითა, მას მოჰყვებოდა ეკრისის მთავარი ქუჯი. ამ სახელის ამოკითხვაზე ფარნაოზის და შეკრთა და ლოყებზე წითელმა ფერმა გადაჰკრა. მან უბძანა ოქროს როლები<sup>2)</sup> შეეხათ. ნახევარი საათიც არ გამოსულა, რომ ჭრელი არანელი კვიცე-შებმული როლით მიჰქროდნენ სამთაგრო სასახლისკენ მთავარი ქურუმი და ფარნაოზის და; მათ მისდევდნენ უკანა ექვს როლებში ჩამსხდარნი, ორ-ორი ერთად, სეფა დედა-ქურუმები, რიცხვით თორმეტნი. ქვა-ფენილზე დაყრილი იყო ბზისა და დაფნის ტოტები. არა თუ ხალხი, არამედ ერთი მგზავრიც აღარაფინ ჩნდა მიდამოს, რადგან შიკრიკსა ბუკის დაკვრით უკვე განეცხადებინა ყველასთვის, რომ ფარნაოზის და, მთავარი დედა-ქურუმი, მობძანდებოდა და მისი დანახვა საყოველთაოთ აკრძალული იყო.

### III

ფარნაოზის დის როლი მიუახლოვდა თუ არა სამთაგროს ალაყაფის კარებსა, მაშინვე დაჰკრეს ნაღარა. ალაყაფის კარებთან რომ

<sup>1)</sup> ბოქალთ-ყარაული.  
<sup>2)</sup> ორთვალისანი ეტლი, იხილეთ დილარისანი.

## ჩვენი ძველი გმირები

სარანგები იდგენ, ისინი მაშინვე თავქვე დაეხვეწნენ. ჭრელი არანის კვიცები ოფლში იყვენ გაწურული. ალაყაფის კარებიდან გამოცინდნ სეფის ქალები, რომელთაც ხელში ეჭირათ ზოგს ოქროთი მოჭედელი გძელი ფაშავანგის მარაოები, ზოგს ოქროს ტაშტი და თუნგი ვარდის წყლითა ბატონის ქალის ხელწასაბანათ და გასაგრილებელათ, ზოგს ოქრო-ქსოვილი ხაოიანი ტილო ხელ-პირის შესაწმენდათ; ოთხს სეფის ქალს მოჰქონდა ოქროს ტარებზე გაშლილი ფარჩის საჩრდილობელი. ფარნაოზის დაჟ გადმოხტა როლიდან, შესდგა საჩრდილობელში; მას გარე შემოეხვიენ სეფა ქალები და წაუძღვენ მარაოების ქნევით სასახლეში.

მაშინვე მეჯინბეთ უხუცესმა გასცა ბძანება ეს შეიდი როლი თავის ცხენბიანა დაებინაეებინათ სამთაეროს საჯინბოში. დედა აღტაცებით მიეგება თავის ქალს სასახლის დერეფანში და გადაჰკოცნა კარგი წინასწარმეტყველობისათვის. იმან დაახვედრა თავის ქალს კიდევ უკეთესი ამბები: ფარნაოზს თავისი ჯარით ჩამოუწევია უფლის ცხენბდის და მეორე დღეს ელოდნ. ამასთანავე უამბო, რომ ანტიოქოს მეფეს დესპანის ხელით მოურთმევია იაგუნდით შემკობილი სამეფო გვირგვინი და ერთი ოქროს სამეფო ტახტი. დესპანს თავისი ხელით უნდა დაედგა ფარნაოზისთვის გვირგვინი, ასე ჰქონდა ანტიოქოსისაგან დაბარებული. იგი თავისი ამალით უცდიდა ფარნაოზის მობძანებას.

რაკი ძღვეა-მოსილს მეფეს ელოდნ თავისი ჯარითა, სასახლეში და სასახლის გარემო წალკოტში დიდი მზადება იყო. არაგვის პირათ გამწკრივებული წისქვილები ყველანი სამეფო საფქვევისათვის გრიალებდნ. მოვიდა რემა-ჯოგი არანიდან საკლავათ. დიდ დიდი სპილენძის ძროჰტყელი ქვაბები სამზარეულო უბანში ჩამწკრივებულნი ჩუხჩუხებდნ. სანადიმოთ ლუდსა და ჭირნახულის ოტკას ხდიდნ. თითო ამისთანა ქვაბში ჩაეიდოდა ოთხასი ქართული კოკა ოცდა-ოთხ თუნგიანი. ეს ქვაბები ისეთი მაღლები იყვენ, რომ ზედ კიბეებით ადიოდნ; სამზარეულოში სწმენდნ და ხებდნ გძელ რკინის შამფურებს, რომლებზედაც დიდ-დიდი ალენიის მო-

დგმის ხარები მთლად წამოგებოდნ შესაწავათ. მზარეულთ-მოდღვარი სასწორს აწმენდინებდა და ამართინებდა, რომელზედაც უნდა აწონილიყო თითოეული ჯარის კაცების ულუფა<sup>1)</sup> ხორცი და პური. „ეზოს მოძღვარი განაგებდა ყველა სამოხელო სახლებსა, მეფის ხარჯს და წარსაგებელს (საჩუქრებს), აძლევდა წესსა და რიგს ღარბაზისას მეფის ტაბლისას (სუფრისას) და სანოჯგისას (მასპინძლობისას). იმან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დიდ სამეფო წალკოტს, რომელიც სასახლიდან ორ უტევანზე<sup>2)</sup> იყო მოშორებული.

ამ წალკოტს სიგრძე-სიგანით ჰქონდა ოცოც-და-ათი უტევანი. ჩენი ახლანდელი ანგარიშით ეს წალკოტი თითქმის სამი ოთხ-კუთხი ვერსტი გამოვიდოდა. ამ წალკოტს გარშემო ჰქონდა ოთხი ადლი სიმაღლე ქვეთკირის გაღავანი შემოვლებული და მას ზემოთ რკინის მესერა ყვითელი წვეტებიანი. წალკოტს შიგნით იყო შვიდი აუზი ქვეთკირისა. შიგ შედიოდა ერთი ტოტი მტკერისა კასიდან გამოყვანილი. არხს ჰქონდა ექვსი ადლი განი და ორი ადლი სიღრმე. სადაც რომ შედიოდა, იქ დიდი რკინის ბორბალი ჰქონდა მოწყობილი, რომელიც ტრიალებდა და სხვა-და სხვა წალკოტის რუებში გადაჰყავდა წყლის ნაკადულები. იყო შვიდი წალკოტის მთავარი რუ ჩაკირულის თიხის მილებით გაყვანილი მიწას ქვეშ. წყლის გადასაშვებ ხარხს ზემოთ იყო მშენიერი თალი გადაყვანილი და ზედ ოქროს თალარი<sup>3)</sup> მოწყობილი საგრელობლათ. ამას გარდა ბორბალს უკან უზარ-მაზარი რკინის ცხრილი იყო წყალში ჩაშვებული, რომ არხიდან წამოღებული ხეები და ჯირკები ზედ მოდებოდნ და ხარხის ბორბალი არ გაეტეხათ. ამ ცხრილს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ წყლის დენა უმთავრესს არხში ცოტა შეეჩერებინა, რომ დაწმენდილი წყალი გასულიყო აუზებში. აქ იყვენ მერუეები დაყენებული და იმათ მოვალეობათ ჰქონდათ ნაკისრი არხის გაწმენდა და წალკოტის ჩარხის ყურის გდება. თითოეულს წალკოტის აუზზედ

<sup>1)</sup> წილი.

<sup>2)</sup> უტევანი ოცდახუთი საყენია.

<sup>3)</sup> თალარი—ფანჩატური.

## ხვეწი მკვლევარი გმირები

გადადგმული იყო სამეფო თალარი, რომლის ქვემოთ ზოგში ფრთოვანი უზარმაზარი ბრინჯაოს ხარი იდგა და ნესტოებიდან ისვრიდა მალლა წყლის ნაკადულებს; მის გვერდით ზღაპრული ცხოველებისა და დევების ანდრიანტები იყვნენ ჩადგმული, რომელნიც ერთმანეთს სერიდნენ შადრევანათ გადმომჩქეფარე წყალსა. ზოგში უზარმაზარი ლომის ანდრიანტი იყო ჩადგმული და პირიდან გადმოსჩქეფდა წყალი, ზოგში ცხრა თავიანი დევის ანდრიანტი იყო ჩადგმული და თითო თავი ხუთ-ექვს ნაკადულებს ისვრიდა პირიდან; ისინი შხეფისაგან მრავალ ნაირს, ერთმანეთში გადახლართულს წყლის რკალებს აკეთებდნენ და როცა მზე გადახრებოდა დასავლით, ამ ნაკადულებში გატარებული მზის შუქი ათას ნაირს ცისარტყელას წარმოადგენდა. თვით აუზებში იყო მშვენიერი ფერის წყლის ფრინველები: სპარსეთიდან, ინდოეთიდან, შავ-ზღვიდან და ეგვიპტიდან მოყვანილები. ყოველი აუზის იატაკი მრავალ ფერი ქვით იყო მოგებული და იმათზე მოზაიკურად გამოყვანილი იყო სურათები ჭინკებისა, ალებისა, წყლის ქალებისა და ქაჯებისა. იმათ შორის იყო სურათი ანცა-დმერთისა, რომელსაც ტანი თევზისა ჰქონდა და თავი ქალისა. ვინც კი თალარებიდან გადინებდა ამ აუზებში, როცა შიგ მრავალნაირი თევზები და წყლის ფრინველები დაცურავდნენ, როცა ისინი ოდნავ ააღებდნენ აუზს, მაშინ აუზის იატაკზე გამოყვანილი წყლის ფერიების სურათები, თითქოს ვაცოცხლდებოდნენ, შეინძრვოდნენ და თრთოდნენ. <sup>1)</sup>

ესოთ მოძღვარს ბძანება გაეცა წალკოტას ზედამხედველისათვის, რომ ყველა აუზების ძირები მოეკრიალებინათ, რომ სურათები კარგათ გამოჩენილიყვენ, აგრეთვე გაეწმინდათ შადრევანის მიწები და თუ სადმე იქნებოდა რამე წამხდარი, ყოველივე გაესწორებინათ; ამასთანავე მთელს აუზში ყოველი უბანი წალკოტისა დილიდგანვე ირწყებოდა, რომ ახალი მრავალფეროვანი და მრავალსუნელოვანი ყვავილები გაფეთქილ იყვენ. წალკოტს ეხვია

<sup>1)</sup> იხილეთ „ყარამანიანი“ ბალის აღწერა.

მრავალი მუშები და მოხელენი. იქ დიდი მზადება და მოძრაობა იყო.

მთელი მცხეთის ქალაქი ემზადებოდა ბატონის ფარნაევას დასახვედრად. კოდმანის უბნის ტრიაშელ მინდორზე მუშაობდა ხუთასი კაცი; ისინი აკეთებდნენ სეფას სამოცი ათასი ჯარის კაცის დასატყუვით და იმათ სამასპინძლოთ.

თვით სამთავრო სასახლეში დიდი მოძრაობა იყო. ბევრი არ იყო იმ დროს არც სპარსეთში და არც ასურეთში ამ სასახლეზე უკეთესი. იგი წარმოადგენდა უზარმაზარს ორ სართულიანს შენობას, რომელსაც წინა დერეფანი სამოცი დიდრონი მარმარილოს სვეტით ქონდა მორთული. დერეფნის სართულის არშიაზე იყო მხატვრობა და ქანდაკი მრავალნაირ ბრძოლისა საქართველოს ექვსი გმირებისა. აქ თქვენ შეხედებოდით ნებროდის ბრძოლას ჰაოსთან, ქართლოსთან, ლეკოსთან, კავკასოსთან და სხვ. აგრეთვე იყო სხვადასხვა ბრძოლის სურათი ხაზარებთან და ალექსანდრე მაკედონელთან. ერთგან გამოყვანილი იყო ქალაქი ბარდა, ანუ რუსთავი, რომელსაც შემდეგ უწოდეს ხაზარებმა ბოსტან ქალაქი. ქალაქს გარშემო ადგა საბერძნეთის ჯარი, ბერძნული ფალანგა, ციხის გალავნის გასატყუ მანქანებითა: ერთგან ალექსანდრე მაკედონელი იჯდა თავის სახელ განთქმულ ცხენზე, ბუცეფალზე; ის გადახრილი იყო, გული წასვლოდა და ცხენიდან ვარდებოდა. მას მოხვედროდა ქალაქიდან ნატყორცი ქვა მემურდულისა.<sup>1)</sup> დერეფნიდან პირდაპირ სამეფო დარბაზში იყო შესასვლელი თალი. ამ დარბაზს ჰქონდა სიგრძე ერთი უტყევანი და სიგანე ორი მესამედი უტყევანისა. კედლებს გარშემო ჩაუყვებოდა ოთხ-კუთხივ მთელის დარბაზის სიგძე-სიგანეზე ტახტები ძვირფას ხალხებით და ოქრო ქსოვილებით დაფენილი. ერთ კუთხეში სამს მარმარილოს დაკიბულს საფეხურზე იდგა ამაღლებული ოქროს მალალ ზურგიანი სელი; ზედ ძოწეულის<sup>2)</sup> მუთაქა ეგლო ოქროს ქსოვილი ფოჩებითა. აქ მთავრის საჯდომი იყო. ამ დარ-

1) იხილეთ კვინტეკურციის ისტორია.

2) ალისფერი, — წითელი.

ბაზში დიდებულნი, ერისთავნი, მხედართ-მთაერები, მოგენი<sup>1)</sup>, ქურუმნი<sup>2)</sup> და მეფის ამაღლა დასხდებოდენ სანადიმოთ (სალხინოთ), როცა მათ მეფე მოიწვევდა. დარბაზს მარჯვნივ და მარცხნივ მიშენებული ჰქონდა სახლები, მრავალ ოთახებათ დაყოფილები, საცა ცხოვრობდენ მეფის სახლეულებანი და სეფე ქალები. დერეფნის თავსა და ბოლოში უზარმაზარი ბრინჯაოს ხარები იდგენ, ისეთები, როგორც არგონავტიკაში არის კოლხიდის მეფის აეტესის ხარები აწერილი.

დარბაზს ზემოთ მხოლოდ დარბაზის სიგძე-სიგანეზე აღიმართებოდა მეორე სართული. მარმარილოს სვეტები ამ ზედა სართულს გარშემოაშენებდენ და თვით სართული გოდლის მგზავსათ იყო ნაგები, შვიდ მცირე ოთახად გაყოფილი. ამ სართულში ცხოვრობდენ მეფის ასულნი თავის სეფე ქალებიანა.<sup>3)</sup>

რადგან იმ დროს არანელი ქართველები და მთელი საქართველოცა დიდ პოლიტიკურ და აღებ-მიცემობითი დამოკიდებულებაში იყვნენ მიდიელებთან და ხალდეელებთან, ამისთვის საქართველოს ხუროთ-მოხელობა და ჩუქურთმა-ქანდაკის ხელობა სულ იმათებური იყო. მომეტებული ნაწილი კერპებისაც იმათებური იყო.

#### IV

მეფის წალკატის აღმოსავლეთისაკენ, იმ კუთხეში, საცა მტკვარი და არაგვი შეერთდებოდენ, იყო მშვენიერი ღმერთების ტაძრები და მოგვთა სამყოფელი აგებული. აქაც დიდი ამბავი იყო. ქურუმნი გულთმისნობდენ, მოგენი ევედრებოდენ ღმერთებს და მსხვერპლებს უმზადებდენ. უმთაერესის მოგვის სასახლის გვერდით იყო ერთი მშვენიერი მარმარილოთ ნაგები ოთახი, სადაც განისვენებდა სახელგანთქმული და ხანში შესული ქადაგი, რომელიც უნდა შეწირულ იყო

1) კერპთაყვანის მცემლების მღვდელ მთავარი.

2) კერპების მსახური და ვარსკვლავთ მრიცხველი.

3) იხილე აღწერა ქალდეველთ და ასურელთა სასახლეებისა ლეიარდის არხეოლოღურს წერილებში.

მსხვერპლათ მარხისა გამარჯვების გულისთვის. თვით ქადაგს სრულებით არ ეშინოდა ამისი. წინააღმდეგ ამისა ის ნეტარებით მოელოდა იმ წამს, როცა მთავარი მოგვი ესროდა მას მარხის ლახვარს და გაუბოძდა გულშეკერდსა. იმას სჯეროდა, რომ იგი დაჯდებოდა საიქიოს ნათელ-მოსილი მარხის ტახტზე. იქვე იყო მეორე ოთახი, სადაც პირმშო შვილები დიდებულთა, რიცხვით შვიდი, გამოყვანილ იყვენ, ბოჩო-ღმერთის შესაწირავათ. ერთი მათგანი თვით ფარნაოზის ნათესავი იყო. ისინი დიდებულათ ჰყავდათ შენახული; იმათ იცოდენ კიდევ, რომ ბოჩოს მკლავებზე უნდა დამწვარიყვენ, მაგრამ ამისი სრულებითაც არ ეშინოდათ, რადგან მათი გონება სულ ზეცისკენ იყო მიმართული და შეჭხაროდენ იმ წამს, როდესაც ისინი ზეცის ანგელოზებათ გადიქცოდენ და დაიწყებდენ ნათლით მოსილნი ჰაერში ფრენას და გალობასა. იმათ ჰქონდათ ჩაგონებული, რომ გახურებულ ბოჩოს მკლავებზე ტკივილის მაგიერათ იგრძნობდენ შოლოდ სამოთხის ნეტარებას.<sup>1)</sup>

მთავარი მოგვი სამის დღის განმავლობაში მისცემოდა ლოცვას და მარხულობას, რომ ზეგარდამო წინასწარმეტყველობის მადლი მოსცემოდა და გამოეცნო ნამდვილი მომავალი, როდესაც ქადაგის გულ-ღვიძლს დააკვირდებოდა. მოგვთა ეზოში აღიმართებოდა შეიღხელიანი ბოჩოს ანდრიანტი, რომელიც სიმაღლით ცხრა ადლი იყო. იმას ედგა ფეხები ქვითკირით ნაშენს უზარმაზარს ლუმელზე. ამ ლუმელს ჰქონდა სიმაღლე ექვსი ადლი და ძირს ოცდა ოთხი ადლი გარშემო. იგი ზევით თანდათან ვიწროვდებოდა. ლუმელის ტანში იყო ცეცხლის დასანთები გვამი მოწყობილი და შიგ ორი საყენი შეშა ჩატეოდა. მას ქვეშიდან შეუკიდებდენ ცეცხლს და ალი ლუმელის ზედა-ნახვრეტში ამოხეთქდა და თვით ბოჩოს ანდრიანტს შემოედებოდა. ამისგან ბოჩოს კერპი ისე გახურდებოდა, რომ ნაკვერცხალს დაემგზავებოდა. ექვსის ადლის სიშორეზე მარჯვნივ და მარცხნივ აიმართებოდენ ქვითკირით ნაგები კიბეები იმ სიმაღლეზე, რომ დაუპირდაპირდებოდენ

<sup>1)</sup> იხილე ისტორიული რომანი „სალამბო“ — ფლობერისა. მელკარტისა და ანაიტის მღვდელთ მსახურება ლენორმანისა.

## ჩვენი ძველი გმირები

ბოჩოს გამოწვდილს ხელებსა. მსხვერპლის შეწირვის დროს, როცა ბოჩოს კერპი სიმხურვალისაგან გაწითლდებოდა, ქურუმები ავიდოდნენ კიბეებზე, აიყვანდნენ შეწირულს ყრმებს და იქიდან გადისვრიდნენ ბოჩოს მკლავებზე. ყრმებს მეტის სიმხურვალისგან უცბათ ამოხდებოდათ სული და მკლავებიდან მაშინვე ჩავარდებოდნენ ღუმელის ცეცხლში.

### V

გათენდა ხუთშაბათი დილა. კიდეც მოვიდა ფარნაოზის შიკრიკი, რომ ფარნაოზი და მისი ჯარი სადილობამდის ქალაქში შემოვლიანო. მცხეთიდან დაეწყვენ გუნდებით შემდეგნი წოდებანი: მთავარი მოგვი თავის სამღვდლოებით, ქურუმთა კრება, სასახლის მოხელენი: სახლთუხუცესი, მსახურთუხუცესი, მანდატურთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ეზოს მოძღვარი და მზარეულთუხუცესი თავთავისი დროშებით. მათ მისდევდნენ გუნდნი მოხელეთა, მცხეთის დიდებული წოდება, მოქალაქენი და მონანი — თავთავის სამუსიკო საკრავებით. მთავარს მოგვს ეცვა გძელი თეთრი სარდონის ტილოს კაბა, რომელიც მზადდებოდა კოლხიდის ქარხნებში. წელზე ერტყა ბრტყელი ოქრო-მკედით ნაკერი სარტყელი ძვირფასი იაგუნდებით, ფირუხებით, მარგალიტებით და საფირის ქვებით შემკული. ამ სარტყლის ბოლოები წინ ჰქონდა ძირს კოჭებამდის დაშვებული; თავზედ შემოკრული ჰქონდა ორი ხელის დადება სიგანე ოქრო-მკედით ნაკერი ფარჩა, რომელზედაც იყო გამოყვანილი სურათი ანცა-ღმერთისა, მარგალიტებით და ძვირფასი თელებით შემკობილი. ეს თავსაკრავი ოქროს ზონრით შემოხვეული, თავს უკან ჰქონდა დამაგრებული. კაბაზე ნაბადსავით მოსხმული ჰქონდა ოქროს ქერქლებიანი მანტია. ამ მოსასხმელზე ქერქლები ისე იყო დაწყობილი, როგორც თევზის ტანზე, ქვევით მოსასხმელს ჰქონდა თევზის კული, ისიც ოქროსი. შორიდან რომ შეეხედა კაცს, ასე იფიქრებდი: მოგვს ოქროს თევზის ტყავი ასხიაო. იმას წინ მიუძღოდნენ საღეთო დროშები, რომელთ შორით განიჩიოდა განსაკუთრებით კოპალე გმირის

დროშა თავის ქლარუნებითა. ამ დროშაზე იყო დაკიდებული ათას ნაირი პაწია ოქროსა და ბრინჯაოსაგან დაკეთებული სურათები გარეულ ირმებისა, თხებისა, ქურციკებისა და დათვებისა; ისინი ერთმანეთს ხედებოდნენ და ქლარუნობდნენ. დროშების წინ მიდიოდნენ მოსაკრავენი გრძელი ბრინჯაოს ნალარებითა, წინწილებითა, დოლებითა და ჩხარუნებითა.

გავიდა თუ არა კოდმანის უბანს იქით მცხეთის დიდებულება და ერი, შორს დიდი სიმღერითა და ნალარის კვრით დაინახეს მომავალი ფარნაოზი თავის ჯარითა. მდიდრულათ გაწყობილს ცხენებზე ისხდნენ ფარნაოზი, ერისთავი ქუჯი და სხვანი მოსოხ-ტაოხების (თუშების) დიდებულნი. ყველაზე წინ მოდიოდა ბოქაულთ უხუცესი თავისი სარანგითა და ტაოხის (თუშის) რაზმითა. ისინი ისხდნენ მშვენიერს ცხენებზე, რგვალი ფარები, ხარის ტყავ-შემოკრულები და ვეცხლის წვრილი ლუსმებით ზედ დაკრულები, ზურგზე ეკიდათ კაპარქს<sup>1)</sup> ზემოთ. ცალ ხელში გძელი შუბები ეჭირათ, წელზე ორ პირი დაშნები (დიდი პრტყელი ხანჯლები) ჰქონდათ შემორტყმული. ტანზე ეცვათ წითელი მოკლე კაბები და თავს ეხურათ რკინის ჩაბალახები,<sup>2)</sup> პირი მოპარსული ჰქონდათ. ეს ტაოხთა რაზმი ფარნაოზის საკუთარი ჯარი იყო და მუდამ თან ჰყავდა სასახლის მახლობლათ დაბანაკებული; მეტად მხნენი და თავე-განწირულნი იყვნენ მეფისათვის. მათ წინ მოუძლოდათ მესაკრავენი. ამათ უკან შორი-ახლოს მობძანდებოდა ფარნაოზი. მარჯვნივ უდგა ვერისის ერისთავი ქუჯი და მარცხნივ მთელი ჯარის მხედართ მთავარი. სამნივე იყვნენ გამოწყობილნი ბერძნულის არხისტრატის ტანისამოსში. ეს ტანსაცმელი სამხედრო ჯარისა შემოიღეს საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს. მათ მოსდევდა უკან მთელი ჯარი, რაზმებათ დაწყობილი. პირველათ მოდიოდა მოსოხების რაზმი. ამათ ეხურათ ბრინჯაოს მუზარადები, ტანზე ეცვათ მოკლე შალის

1) ისრების ბუდე.

2) იხილე პომპეოსის ლაშქრობა ივერიელებთან, არრიენის მიერ შედგენილი.

## ჩვენი ძველი გმირები

კურტაკები, მოკლევე ყურთ-მაჯებიანი; ისინი იყვნენ ძალიან მოსული ვაჟკაცები, დიდ წვერ-ულვაშებიანი. ეცვათ პაჭიჭები და მუხლის თავეები კი ტიტვლები ქონდათ. ისინი ძალიან მარჯვეთ ხმარობდნენ გძელ შუბებს და ორ პირ თითბრის ნაჯახებსა.

მათ უკან იყო რაზმი ალვან-არანელებისა და შიდა ქართლისა, ფეხმალ ცხენებზე მსხდომარენი. თითოეულს ჰქონდა შურდული და ზურგზე გადაკიდებული პარკი გასასროლ კენჭებით სავსე. ჰქონდათ გძელი ხანჯლები და ოროლები (მოკლე სასროლი შუბები). თავზედ ეხურათ ბანჯელიანი ტყავის ქუდები, ტანზე ნაბადსავით ესხათ სხვა-და-სხვა ნადირის ტყავები: ზოგს დათვისა, ზოგს ვეფხვისა ზოგს მგლისა, ზოგს აფთრისა და ზოგს მელისა. ხელში ეჭირათ გძელი და განიერი ფარები კაცის გულის მგზავსად გამოჭრილები.

შემდეგ მოდიოდა მეგრთა რაზმი რგვალი წნული ფარებითა. თავზე მომეტებულს მათგანს ეხურა ხის მუზარადი, ტანს ეცვათ სარდონის ტილოს პერანგები და ზევიდან ესხათ მოკლე ნაბდები.<sup>1)</sup> რკინის შვილდები ცხენის იარაღების გვერდზე ჰქონდათ დაკრული, ზურგზე ეკიდათ კაპარჭები მოწამლული ისრებით გატენილი.

ამათ უკან ერთი დღის სავალზე ჩამორჩენილიყო ქვეითი ჯარი სხვა-და-სხვა თემისა. მომეტებულ ნაწილათ მათ ჰქონდათ გძელი ხანჯლები და დიდი ფარები. ფეხზე ეცვათ ტყავის ხამლები (ქალამნები) თომით<sup>2)</sup> დატენილი. ზოგი იყო, როგორც მაგალითად შიდა-ქართლის ქვეითი ჯარები, რკინის წერილთვალა პერანგებით მოსილი და რკინის ჩაბალახებიანი, ზოგს ეცვათ მოკლე კურტაკები, როგორც აჭარლებს დღეს აცევათ.

## VI

მიუახლოვდა თუ არა მეფე უმაღლესს მოგვთა ბრბოს და მცხეთის დიდებულთა კრებას, მაშინვე ააყვირეს ნაღარები, საღეთო დროშები ააჟღარუნეს და შეიქნა დიდი ხმა სამხიარულო ზარისა

1) იხილე სტრაბონის აწერილობა.

2) თომი ბალახია ქალამნებში ჩასატენი.

და სიმღერისა. ფარნაოზი ცხენიდან გადმოხტა. მას მიეგებენ მოგენი და ამთხვიეს საღეთო ღროშებსა. შემდეგ შემოვიდნენ ქალაქის ალაყათის კარებში. ფარნაოზი თავის დედა ქალაქის კარებს ემთხვია. ახლა წინ მოექცნენ მოგენი და ქერუმნი ღროშებითა; მათ შემდეგ უმაღლესნი ხელის უფალნი მოდიოდნენ, შემდეგ ფარნაოზი და მისი მხედართ მთაერები, მათ უკან ცხენოსანი ჯარი.

ფარნაოზი თავისი ამალიანა და ცხენოსან ჯარიანა გაემართა ბოჩოს ტაძრისაკენ მოგეთა უბანში, სადაც ბოჩო უკვე გავარვალე-ულიყო ანთებულ ღუმელის ალითა. ცეცხლის სახმილი მძინვარებდა და ღუმელის მოვიწროებულ ხერელიდგან ამოდიოდა გიზგიზით ცეცხლის ალი, წელქვეით შემორტყმოდა თვით ბოჩო ღმერთის კერპსა. იგი ითხოვდა ყრმათა მსხვერპლსა.

ბოჩო კერპს გარშემოადგენ დიდებულნი მუხლმოყრით. თვით ფარნაოზს თავი დაეხარა მოწიწებით. კიბეზე იდგენ ქურუმნი და ისროდნენ შეწირულს ყმაწვილებსა გავარვალეზულს ბოჩოს მკლავებზედ...

აქედან ფარნაოზმა მიჰმართა ბოჩოს ტაძარს, რომლის მარმარილოს სვეტებს შუა იჯდა სამფეხა ოქროს სკამზე თეთრით მოსილი ქადაგი. მისი დამშვიდებული და თვალეზ-დახუჭული ფერ-მკრთალი სახე სრული სათნოების გამომეტყველი იყო. მას შეეხო ფარნაოზი ხელით და მარჯვენა ფეხით, შემდეგ მივიდნენ ყველა წარჩინებული კაცები და იმგვართვე მოიქცნენ.

— მშვიდობა შენდა დიდებულო მთავარო... მეფე არან-ქართველთაო.— გალობის ხმით წამოიძახა ქადაგმა— შენდამი იშვებენ ქართლოსიანნი. შენ გშენის მზიარულეზა ქორწილი და ნადიმი... მაგრამ, ვაი, ბნელო უფსკრულო, მალე მოგცილდება აღმზრდელი და შთახვალ ბნელით მოსილ ღორუღსა<sup>1)</sup>...

ამ დროს მოხვდა მას მკერდში მთავარი მოგვის გამონატყორცი ლახვარი. ქადაგი გადავარდა ოქროს სკამიდან და დაეცა ტაძრის იატაკზე.<sup>2)</sup> მივარდნენ მოგენი, გაუბეს მკერდი, ამოაცალეს

<sup>1)</sup> რგვლათ მოწნული საჭირისუფლო ადგილი.

<sup>2)</sup> იხილე თემურაზის ისტორია საქართველოსი,

## ჩვენი ძველი კმინები

გულღვიძლი და დარწმუნდენ მისი უნაკლოობით საქართველოს ბედნიერს მომავალზე.

ამას შემდეგ ფარნაოზი თავის ამალით წამოვიდა, სასახლეში დედისა და დის სანახავად. ჯარი წავიდა კოდმანის მინდვრის სეფაში ნადიმის გასამართავად. ეგრისის ერისთავი ქუჯი, მხედართ მთაერები, ხელის უფალნი და დიდებულნი შევიდნენ დიდ დარბაზში და ჩამოსხდნენ ტახტებზე რიგისა და წესისაებრ. ამდროს გამოვიდა ფარნაოზი საქალებო ოთახიდან და დაჯდა ამაღლებულს ოქროს სელზე. მოვიდა ანტიოქოს მეფის დესპანი თავისი ამალით და მოართვა ოქროს ლანგარზე ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს გვირგვინი, მეფის ღირსების დასამტკიცებლათ მორთმეული. დესპანმა თვითონ დაადგა თავზე ფარნაოზს გვირგვინი. დიდებულთა შეკქმნეს ხმამალალი მხიარულება და თავს გადააყარეს თვალ-მარგალიტი. იხმეს მგოსნები (მომღერალნი), მსახიობები (აკტიორები და აკტრისები), მასხარები (მასკები) და საკრავების დამკვრელნი. აქ მოგროვდა ყოველნაირი საკრავი: ნალარა, ქნარი, დოლი, სტეირი, სასწრაფო, სალამური, ჩანგი, ჩონგური, ბარბითი, დაფი, ქლარუნა, წინწილა და სხვა მრავალი.

გამართეს ნადიმი. სუფრაზე დაალაგეს სამეფო სახმარებელი ჭურჭელი ოქროსი და ვეცხლისა, ძვირფასი თელებით შემკობილნი. ბევრი სურები და აზარფეშები იყო ოქროსა და ვეცხლის ქანდაკითა, რომელთაც შიგნით სარჩულსავეთ ჰქონდა გამოფენილები სხვა-და-სხვა ფერის შუშა. თვით სურებზე იყო მოჭრილი სხვა-და-სხვა ნადირობები გმირის კვირიკესი და კოპალესი<sup>1)</sup>). დასხდნენ ნადიმათ და ამ საზოგადო ღზინს ატკობდნენ მგალობელნი, მომღერლები, მემუზიკეები და მოთამაშენი. გაგრძელდა ნადიმი შუალამედის... მეორე დღეს ღზინი დანიშნული იყო სამთავრო წალკოტში.

გიორგი წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

<sup>1)</sup> ერთი ამნაირი ვეცხლის სურა, შუშავამოფენილი, ნახა ბაიერნმა სამთავროს სასაფლაოში. ეს ნივთი ახლა პეტერბურგის ერმიტაჟშია.

## ვეფხისტყაოსანი

მოზარდ ყმაწვილებისთვის ნააბობი \*)

### ამბავი ტარიელის



ი რა უამბო ტარიელმა აეთანდილს: — ინდოეთში, შვილი სამეფო იყო. ექესი სამეფო ფარსადან მეფეს ეპყრა და მეფეთა მეფეს უწოდებდენ. მისთანა სახელ-განთქმული მეფე ქვეყანაზე არ მოიძვოდა. მეშვიდე სამეფო ტარიელის მამას, სარიდანს ეჭირა. სარიდანიც გამოჩენილი კაცი იყო და ბედნიერად ატარებდა წუთი-სოფელს. მაგრამ ამჯობინა, იგიც ფარსადანს დამორჩილებოდა. ადგა, მოციქულები გაუგზავნა მეფეთა მეფეს და თავისი სახელმწიფო მას გარდასცა. ფარსადანმა მოუწონა ერთგულება, დაუმაღლა და მას სარჩოთ მთელი სამთავრო უბოძა ყმა და მამულით. მთელი თავისი სახელმწიფოს ამირბარობაც მას მისცა. ამირბარს ინდოეთში პირველი ადგილი ეჭირა, მთელი ლაშქრის წინა-მძღოლი იყო და დიდი პატივიც ჰქონდა.

თვით ფარსადან მეფე უშვილო იყო. ამიტომ ტარიელი რომ დაიბადა, მეფე-დედოფალმა შვილად აიყვანეს და მეფურად ზრდა დაუწყეს. მაგრამ ხუთ წელ შემდეგ დედოფალს მარგალიტით ქალი მიეცა. მეფე-დედოფალი დიდ მზიარულებაში იყვენ.

\*) თავი იხილე 1892 წლის I-ლ №-ში.

**შესწორება:** პირველ ნომერში შეცდომით გამოტოვებულია ბოლოდამ მე-10-ე სტრიქონიდან შემდეგი სიტყვები: ვეზირებს ეწყინათ. მოხუცი მეფე ძრიელ უყვარდათ და არ უნდოდათ მისი ტახტიდგან გადადგომა. მაგრამ უარი ვეღარ გაუბედეს და მოახსენეს: „შენი ნებაა, მეფეო, თინათინი, თუმცა ქალია, მაინც თქვენი შვილია და ვაჟის სწორიაო“.

მთელმა სახელმწიფომ მიულოცა და სასახლეში დიდს ხანს ღებინა და თამაში არ შემწყდარა. მეფემ აუარებელი მოწყალება გასცა, ნათლობა გადაიხადა და თავის პატარა ქალს ნესტან-დარეჯანი დაარქვა. ცოტა რომ მოიზარდა, შემდეგ ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ერთად ზრდა დაუწყებ. ქალი რომ შეიდი წლისა შეიქნა, ვაჟი თორმეტი წლისა იყო. ამ დროდგან ქალ-ვაჟი გააშორეს ერთმანეთს, ტარიელი მამას დაუბრუნეს და იქ იწვრთნებოდა. მისთანა მშვენიერი, მარდი და მამაცი შეიქნა ტარიელი, რომ ყოველ კაცს უკვირდა. ომში, ნადირობაში და ბურთაობაში ტოლი არ ჰყავდა.

ნესტან-დარეჯანიც გაიზარდა და სწავლის დრო მოუვიდა. მეფემ მისთვის ცალკე კოშკი ააგო და მშვენიერად მორთო. გარს ქვის კედელი შემოაგდო და შიგ სამოთხის მგზავსი ბალი გააშენა. მეფეს ერთი ქვრივი და ჰყავდა, სახელად დეარი. ეს ქალი განთქმული იყო თავისი სწავლითა და სიბრძნით. ამიტომაც მეფემ იგი დაუნიშნა აღმზრდელად თავის პატარა ქალს. გამდლად კი ასმათი მიუჩინა.

გავიდა ხანი. ტარიელს მამა მოუკვდა. მთელი წელიწადი გლოვობდა იგი საყვარელ მამას, შავებში იჯდა და არც სასახლეში მისულა. ბოლოს, როგორც იყო, მეფემ შავები გაახდევინა, სასახლეში მოიყვანა, ნადიმი გამართა და გართობა დაუწყო ტარიელს. ამირბარადაც, მამის ნაცვლად, იგი დანიშნა. ამირბარობა ტარიელს მთელმა ინლოეთმა მიულოცა და დიდი პატივი სცეს. ამის შემდეგ მეფე ტარიელს აღარ იშორებდა, შეილივით მიაჩნდა და სულ ერთად ნადირობდენ და მხიარულობდენ. ტარიელი ისე დამშვენიდა, რომ მზეს აღარებდენ.

როსტევან მეფე და ტარიელი ერთს დღეს სანადიროდ წაბრძანდენ. ინადირეს და სალამოს ჟამს შინ დაბრუნდენ. გზაზე მეფემ ვაჟს ხელი მოჰკიდა და უთხრა: „მოდი, წავიდეთ, ჩემი ქალი ენახოთ და დურაჯები მივართოთ.“ ბაღჩაში რომ შევიდნენ, სხვა-და-სხვა ფრინველების ტკბილი გალობა მოესმათ. ბაღჩას გარს ალვის ხეები ჰქონდა დარიგებით შემორგული; შიგ ვარდის წყლის აბანოები იყო გამართული და მრავალ გვარი ყვავილები

მშვენიერად გაშლილიყვენ. კოშკის კარები ოქსინოსის ფარდაგებით იყვენ მოფარდული. მეფე თავის ქალთან შებრძანდა, ტარიელი გარედ დარჩა და მარტო ლაპარაკი ესმოდა. მეფემ ასმათს უბრძანა, ღურაჯები შემოიტანეო. როცა ასმათმა ფარდა ასწია, ტარიელმა თვალი მოჰკრა მზის უნახავს და მისმა მშვენიერებამ მაშინვე მოხიბლა, გული მოსტაცა და ვაჟმა ცნობა დაკარგა.



ტარიელი იმ წამსვე სასახლეში წაიყვანეს, დააწვინეს და ექიმები დააყენეს. გონს რომ მოვიდა, ტირილი შეესმა, თვალი აახილა

და ნახა, რომ მეფე—დედოფალი თავზე ადგენ და დასტიროდენ. მეფე მოეხვია და ემუღარა, ხმა გამეციო. მაგრამ ვაჟმა ხელახლა დაკარგა ცნობა. ვერ მიხვდენ ტარიელის უძლურების მიზეზს და თვალ-ნაცემი ეგონათ. სამდღეს უკან ვაჟი უკეთ შეიქმნა. ეშინოდა არაფერს მიმიხვდეს, რამიზენით ვარ ავითაო და ამიტომ თავისს სადგომში დაწოლა ამჯობინა. აქ ის კარგად გახდა, თუმცა და გულში სიყვარულის აღმური ედებოდა და უწინდელი აღარც ფერი ჰქონდა, და აღარც ხორცი. ფარსადანს ვაჟის ადგომა ძლიერ იამა და უწინდელად გართობა დაუწყო. ნესტან-დარეჯანმა სულ იცოდა, რა მოუვიდა ტარიელს და როგორ იტანჯებოდა იგი მისი სიყვარულით. თვითონაც ძრიელ მოსწონდა მშვენიერი ახალგაზნა ამირბარი და დაფარულად ეტრფოდა, მაგრამ გამეღვენება ვერ გაბედა. ბოლოს, სხვა რომ ვერა გააწყორა, ადგა და თავის ერთგულ ასმათს გაანდო საიდუმლო.

ერთ ღამეს ფერმაკრთალი და სევდიანი ტარიელი თავის საწოლ ოთახში იჯდა. ამ დროს ასმათის მონა მივიდა და წერილი მიართვა. ავთანდილს ძრიელ გაუტკვირდა. ასმათი სწერდა ვაჟს, თქვენი ნახვა მწადიან და ნება მიბოძეთ მოვიდეთ. ტარიელმა საჩქაროდ პასუხი მისწერა და შეუთვალა, თვითონ გაიხსნებოდა, თუ მიხმობთო. მეორე დღეს მეფის კაცი მოუვიდა და სასახლეში წავიდა. მეფე ცდილობდა ვაჟის გართობას და ამიტომ ქორ-მიმინოთი სანადიროდ წაბრძანდა. ნანადირევი შინ დაბრუნდენ და სანადიმოდ დასხდენ. აქაც მომღერალთა და დამკვრელთა ვაჟს გართობა დაუწყეს. მეფე მხიარულად ბრძანდებოდა, ტარიელის მოზჩენა რომ ელირსა და აუარებელი წყალობა გასცა იმ დღეს. ვაჟი ცდილობდა მხიარულად ეჩვენებინა თავი მეფისათვის, მაგრამ სიყვარულის ცეცხლი სწვავდა და თავიდან სევდა ვერ მოემორებია.

სალამოთი ტარიელი შინ წავიდა; ტოლ-ამხანაგები თან იხსლენ და იქაც ნადიმი და სმა გაიმართა. ნადიმობის დროს ტარიელის მოღარე შემოვიდა და ბატონს ჩუმად ყურში უთხრა, ვიდაც ჩადრში განეყული ქალი გკითხულობთო. ტარიელმა უბრ-

ძანა საწოლ ოთახში შაიყვანეო. თვითონაც ადგა, სტუმრებთან ბოდიში მოიხადა და გავიდა. კარებში რომ ფეხი შედგა, წინ ასმათი მოეგება, თაყვანი სცა, კრძალვით ბოდიში მოიხადა და ნესტან-დარეჯნის წერილი მიართვა. ქალი სწერდა ვაჟს: “ ნუ დაიჩენ, ლომო, მწუხარებასაო, ტყუილა ბნელა და სიკვდილი რა სიყვარული გგონია. მე შენი ქმრობის წინადაც ვიყავ მდომიო, მაგრამ აქამდის საუბრად ღრო არ შემხვედრიაო. ყველა ვიცი, რაც შენ ჩემთვის თავს გადაგხდენია; მე შენი ვარ, ნუ მოკედებიო. ისა სჯობია, გმირული საქმე მიჩვენო. ხომ იცი ხატაველები ყველანი ჩვენი მესარკენი არიანო. იმათი ამაყობა და ურჩობა ჩვენგან რა დასათმობიაო. წადი, შეები ხატაველებს და თავი ისახელეო. მერმე მოდი და შენი მთვარე შეგეყრებიო.

ტარიელ ამაზე უკეთესს რაღას შეიტყობდა: ამ წერილმა ისე გაახარა, სიზმარში ეგონა თავი, ადგა იმ წამსვე სამაგიერო წერილი მისწერა ნესტან-დარეჯანს და შეპირდა ბრძანების ასრულებას. ასმათს ამ სიკეთისთვის მრავალი თვალ-მარგალიტი უბოძა, მაგრამ მან მარტო ერთი ძვირფასი ბეჭედი გამოართო სახსოვრად და წავიდა.

### ომი ტარიელის ხატაველებთან და გამარჯვება.

ტარიელმა კაცი გაგზავნა ხატავეთში, წიგნი მისწერა იქაურ მეფეს რამაზს და შეუთვალა, ხომ იცით ინდოეთის მეფის ძლიერება, მორჩილთა ზედა მოწყალება და ურჩთათვის რისხვაო. გირჩევთ, მოხვიდეთ, თაყვანი სცეთ და მორჩილება განუცხადოთო. თუმც არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ და გიჩვენებთ სეირსო. ამას შემდეგ ტარიელი აღარას დარდობდა, მხიარულად იყო და ხატავეთიდგან პასუხს ელოდა.

ერთს ღამეს იგი, სასახლიდგან რომ დაბრუნდა, თავის ოთახში ბრძანდებოდა, ნესტან-დარეჯანს იგონებდა და ძილი არ ეკიდებოდა. ამ ღროს ასმათის მონა მოვიდა და წერილი მიართვა. ასმათი სწერდა ტარიელს, შენი მთვარე გიბარებსო. გახარებული ტარი-

## გეგუხის ტეაოხანი

ელი ადგა და იმ წამსვე წავიდა. ასმათი წინ მოეგება მოცინარი და მოახსენა: „მოდი, ნახე შენი მზეო.“ ასწია ფარდა და შეიყვანა ვაჟი მზეთ-უნახავთან. ნესტან-დარეჯანი მშვენიერად მორთული ბრძანდებოდა და მზესავით ანათებდა. ტარიელმა თავი მოიხარა, სალამი მისცა, წინ გაუჩერდა და აღტაცებული თვალს ველარ აშორებდა. ქალი საშინლად მორცხობდა და ხმა ვერ გასცა. ასმათმა ტარიელს ყურში უთხრა, აწკი წაბრძანდით, რადგან თქვენთან ლაპარაკი ერცხენებაო. ტარიელი გამოვიდა, ასმათიც თან გამოჰყვეა, გააცილა და მოახსენა, ნურას ნაღვლობთო. ტარიელი შეეხებწა, მისი ანბავი მაცნობე ხოლმეო. მერმე ცხენზე შეჯდა და შინ წამოვიდა. მთელი ღამე ფიქრში იყო და არ დაუძინია.

გავიდა ხანი და ხატავეთში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა და ტარიელს რამაზ მფფის წერილი მიართვა. ხატავეთის მფფე სწერდა ტარიელს, როგორ გაბედე და მანდ ხლება შემომითვალეო! ტარიელი გაჯავრდა, მაშინვე მზადებას შეუდგა და ლაშქარი დაიბარა. ლაშქარი რომ შეიკრიბა, ტარიელმა დაათვარიელა და ძრიელ მოიწონა. წასვლის წინა ღამეს მარტოდ იყო, ნესტან-დარეჯანს იგონებდა და მოშორება აწუხებდა. ამ დროს წერილი მოუვიდა, ნესტან-დარეჯანი იბარებდა. ვაჟი ადგა და იახლა. ასმათი დახვდა, შეუძღვა და სავარძელი დაუდგა. მზეთ უნახავი, თუმცა მორცხობდა, მაგრამ ლაპარაკს კი ბედავდა. ტკბილათ ისაუბრეს ერთად და ბოლოს ქალვაჟმა ცოლ-ქრობის პირობა შეჰპირეს, ცოტა ხილიც მიირთვეს და მერმე გაიყარნ.

ღილით ტარიელმა ამართა დროშა და წავიდა ხატავეთს დიდი ლაშქრით. ინდოეთის სააზღვარს რომ გასცილდა თავის ლაშქრით, წინ მფფის რამაზის მოციქულები მოეგებნენ ძღვნით და საჩუქრებით. რამაზი სწერდა ტარიელს, გვაპატიე, რაც შეგცოდეთ, ნუ ამოგვწყვეტთ, ღვთის გულისთვისო. ჯარი უკან დააბრუნეთ, თქვენ მოდით და ყველაფერი ჩაიბარეთო. რამაზ მფფეს მისი ღალატი და მოკვლა უნდოდა. მაგრამ ტარიელი მიხვდა მფფის ცბიერებას და ოსტატურად მოიქცა. ლაშქარს უბრძანა, მომყევით ჩუმიად შორი-ახ-

ლოო. თვითონ იახლა სამასი ვაჟ-კაცი, დაწინაურდა და წავიდა. წინ შემოხედა მეფის კაცი, მოახსენა, რამაზ მოდისო და ძღვენი მიართვა. რამაზი რომ ტარიელს წინ მოეგება, მიხედა, რომ ამირბარმა იცოდა მისი ღალატი, და ამიტომ დამალულ ჯარს უბძანა, ომი გაემართად და ამოეწყვიტათ ინდოელები. ტარიელ და მისი ხლებული არ შეშინდნენ, ჩაერივნენ ხმალ-და-ხმალ მტერს და მრავალი დახოცეს. ამ დროს უკან მოპაეალი ტარიელის ლაშქარიც გამოჩნდა და მეხვიით დაეცა მტერს თავზე. ხატაველები შეშინდნენ და გაიქცნენ. ტარიელი და მისი ლაშქარი დაედევნენ და, ვინც-კი ცოცხალი გადაურჩათ, სულ ერთიანად დაატყვევეს. თვითონ რაჰაზ მეფე ტარიელმა ცხენიდგან ჩამოაგდო, გაემკლავა და შეიპყრა. დამარცხებულმა რამაზმა შენდობა სთხოვა ტარიელს და ყველა ციხე ქალაქები დაუთმო. ტარიელმაც ჩაიბარა ხატავეთი, აუარებელი ალაფი აიღო და უკან დაბრუნდა. ფარსადანთან მახრობელი და ათასი დატვირთული ჯორ-აქლეში გაგზავნა წინ-და-წინ. წიგნი მისწერა, გამარჯვება მიულოცა და შეუთვალა: „გამხრდელიო მეფეე! მოვდივარ და რამაზ მეფეც ტყვედ მომყავსო“.

ფარსადან მეფე დიდის აზბით მიეგება გამარჯვებულ ტარიელს ყველა თავისი დიდებულებით და ჯარებით და ისრე მიიღო. ტარიელმა წარუდგინა მას რამაზ მეფე. ფარსადანმა თავაზით მიიღო დატყვევებული მეფე, გაათავისუფლა, შეუნდო, სახელმწიფო დაუბრუნა და გაუშვა შინ. მაგრამ პირობა-კი ჩამოართვა, კვლავ აღარ ექმნა ურჩობა და ყოვეთის სარკი ეძლია. დამადლებულმა რამაზმა თავიანი სცა და მორჩილება განუცხადა.

შემდეგ ფარსადანმა ნადირობა გაუმართა ტარიელს და გაართო. ნადირობა რომ გათავდა, სადარბაზოდ შინ მოვიდნენ. მეფე-დედოფალმა პირველად გამოაყენეს სადარბაზოდ ნესტან-დარეჯანი. ქალი-დედას გვერდით უჯდა. ტარიელს დედოფალი მიეგება, აკოცა და წინ დაისვა. ვაჟი მშვენიერი სანახავი იყო. ძვირფასი კაბა ეცვა და საკვირველი რამ რიდე ეხვია, რომელიც ხატავეთში იშოვა. მცირედ დაკოდლილი ხელიც გულზე ჰქონდა ჩამობმული. ქალ-ვაჟი მალეით

## ვეფხისტყაოსანი

უჭერეტდენ ერთმანეთს და ისრე სტკებოდენ. გაიმართა გამოუ-  
თქმელი ლხინი და ქეიფი. მეფემ მრავალი ჯილდო უბოძა გმირ  
ტარიელს. სმა რომ გაჩაღდა, დედოფალი ადვა და გაბრძანდა თვისი  
ქალით. ლხინი ძილის პირამდის არ გათავებულა. როცა ადგენ, ტა-  
რიელი შინ წაეიდა, ნესტან-დარეჯანს იგონებდა და ძილი არ ეკი-  
დებოდა. ამ დროს ასმათი მოვიდა. ეაჟი ადვა, მიეგება და გვერდით  
დაისეა. ასმათმა წიგნი მიაართვა. ნესტან-დარეჯანი აღტაცებით იგო-  
ნებდა ეაჟს და თაჲ სწერდა, რიდე შენი მე გამამიგზავნესახსოვრად და  
შენ, ნაცვლად, ეგ სამკლავე შეიბიო. ეაჟმა ქალს წიგნი მისწერა, თავის  
რიდე გაუგზავნა და ასმათი გაისტუმრა.

ერთხელ მეფე-დედოფალმა ტარიელ იხმეს, წინ დაისვეს და რჩევა  
ჰკითხეს: „ხომ ხელავ, ეაჟი არა გეყავს. გვინდა ქალი გავათხოვოთ,  
კარგი საქმრო აურჩიოთ და ტახტიც იმას ჩავებართოთ“. საბრალო  
ეაჟს ელდა ეცა, მაგრამ შეატყო, მეფე-დედოფალს საქმე გადაჭრი-  
ლი ჰქონდათ, სასიძოც არჩეული ჰყავდათ, და ამიტომ დაშლა ველარ  
გაბედა. მათ სასიძოთ ხვარაზმელი მეფის ეაჟი აერჩიათ. „მას არვინ  
სჯობსო“, ამბობდენ და მოციქულსაც უგზავნიდენ.

თავ-ზარ დაცემული და გაშმაგებული ტარიელი შინ წამოვიდა.  
შავმა ფიქრებმა მოიცვეს და გულზე ცეცხლი ეკიდებოდა. სადამოს  
ასმათის წიგნი მოუვიდა. ასმათი სწერდა, ჩქარა მოდი, შენი მთვარე  
გიბარებსო. გულ-მოკლული ეაჟი ადვა და იმავე წამს წაეიდა. ასმა-  
თი ძირს დახედა მოწყენილი და თვალ-ცრემლიანი. ხმა არ გასცა,  
ფარდა ასწია და ეაჟი პირდაპირ ქალთან შეიყვანა.

ნესტან-დარეჯანი საშინელი სანახავი იყო: გარისხებული, რო-  
გორც ეფეხი, მიწოლით იყო ტახტზე წამომჯდარი; ტარიელის ნა-  
ჩუქარი რიდე ეხურა, ფერი წასელოდა და ცხელ ცრემლსა ღვრიდა.  
გულ-შემოყრილი ეაჟი მოშორებით დაჯდა. ქალი წამოჯდა წარბ-  
შეჭმუნნილი, გამწყრალი, გარისხებული და ტარიელს უთხრა: „მი-  
ეკირს, რად მოხველ, შენ გამწირაო, მუხთალო და გამტყველო ფი-  
ცისაო! მაგრამ ნაცვლად, ღმერთი გაგცემს შენ პასუხსაო“.

ეაჟმა მოახსენა: „პასუხს ვერ გკადრებ, თუ არ ბრძანებ, რა  
შეგცოდე, რა მიქმნიაო“.

ქალმა უთხრა: „რა გითხრა, მტყუანსა და შენ მუხთაღსაო. დიაკურად რად მოვლორდი, მე დაუწევად ამით აღსაო“. მერმე უსაყვედურა, ვითომ არ იცი, რომ ხვარაზმას შეიღს მრთვენო. სავეზიროდ თვით ყოფიღსართ და ნებაც შენა დაგირთავსო. რად ჰქენი და რად გასტეხე ჩენი ფიცო? ბოლოს მოავონა ის ღრო, როცა იგი პირველ ნახვანე ავად გახდა, ცრემღსა ღვრიდა და ექიმები ვერას შევლოდენ, და უთხრა: „მამაცისა სიცრუევსა, ნეტარ სხენი, რამცა გვანდესო. რადგან დამთმე, მეც დაგთმობო. მაგრამ იმედი ნუ გაქეს, რომ ან იგი შევირთო, ან შენ ცოცხალი ინდოეთში დაგარჩინოა“.

ტარიელმა რომ ეს მოისმინა, მეტის-მეტე იმედი მიეცა, რომ ქალი მას არავისზედ არ გასცვლიდა, ადგა და ემუღარა, პასუხი მომისმინეო. ქალმა თავის ქნევით ანიშნა, სთქვი რაც იციო. ვაჟმა თავი გაიმართლა და უთხრა, დაშლა არ შეიძღვებოდა, რადგანაც წინ-და-წინ ჰქონდათ გადაწყვეტილიო. ამასთანავე მოუწოდა ღმერთსა და ცას და საშინლად შეჰფიცა, მე შენ ღალატში არ ვრევივარ და არც ფიცი გამიტეხიაო. ქალს გაეხარდა, დაუჯერა, დაუტკბა, ახლოს დაისვა და ერთად არჩიეს, რა უნდა ექნათ. ტარიელმა სთქვა, როგორც კი მოვლენ ინდოეთს, მე მათ ვუჩვენებ ჩემ ძალ-ღონესაო, სულ ერთიანად გავსწყვეტ ყვეღასაო. ქალმა ურჩია, სიძე მოკაღო და სხვისა სისხღსა ნუ დაიდებო, კაცის სისხღის თავს დადება ცოდეა არისო. ვაჟსაც მოეწონა ქალის რჩევა და დათანხმდა. მერმე ადგა, გამოეთხოვა თავის ნესტან-ღარეჯანს და მოწყენილი წამოვიდა.

ხვარაზმელ მეფეს იამა ფარსადანის დამოყვრება და ინდოეთში შეიღის გამეფება. ამიტომ მალე დათანხმდა და სასიძო ღიღის ამაღლით გამოისტუმრა საქარწინოდ. მოვიდა მახარობელი, სიძე მოღის, მიეგებეთო. მეფეს გაეხარდა, იხმო ტარიელი და უბრძანა, მოვემზადოთ, ვიქორწინოთ, როგორც ინდოეთს შევენისო. ტარიელიც შეუღდა მომზადებას. მოედანზე წითელი ატღასის კარვები დასდგეს. სასიძო თავის ამაღათი იქ უნდა ჩამომხღარიყო და დაესვენა. წინ ჯარი და ღიღ-კაცობა უნდა მიგებებოდა. მეფე და ტარიელიც სასახღლეში უნდა დახვეღროდენ მეორე ღღეს, როცა მობძანდებოდა.

## ვეფხისტყაოსანი

სალამოთი ტარიელი სადგომზე წავიდა დაღლილი მოსასვენებლად. შინ რომ მივიდა, ასმათის წერილი დახვდა. ვაჟს ნესტან-დარეჯანი იბარებდა საჩქაროდ. ადგა და პირდაპირ წავიდა, ცხენიდან არ ჩამომსხდარა. მზის-უნახავი კვლავ წარბ-შეჭმუხენილი და გარისხებული დახვდა. როცა ვაჟი მივიდა და წარსდგა, ქალმა წყრომით უთხრა: „რასა სდგეხარ და არ ასრულებ დანაპირებსო? თუ კიდევ გამწირე და მომატყუეო!“

ვაჟს ეწყინა, პასუხი აღარ გასცა, ფიცხლავ უკან დაბრუნდა და თავის გულში ამბობდა, აგრე როგორ დავძებუნდი, რომ ქალი საომრად მიწვევსო. შინ რომ მოვიდა, ასი დარჩეული ვაჟ-კაცი იახლა და წავიდა სასიძოს მოსაკლავად. ქალაქი ისრე გაიარეს, არავის გაუგია. სასიძოს ტკბილად ეძინა მშვენიერ მორთულ კარავში. ტარიელმა ხლმით კარავის კალთა ჩასჭრა, შევიდა, მოჰკიდა საბრალო ვაჟს ფეხებში ხელი და თავით სვეტზე მიახალა. ეგ რომ ამალამ გაიგო, ყვირილი მორთო. ტარიელი ბედაურს მოახტა და გასწია. მღვეარი მოეწია, მაგრამ სულ ერთიანად ამოსწყვიტა. მერმე გასწია საჩქაროდ და თავის შეუალ ქალაქში გამავრდა. აქედამ კაცი აფრინა ყოველგან და თავის ჯარები დაიბარა.

რომ გათენდა, მეფის მოციქულები მოვიდნენ. ფარსადანი უთელიდა ტარიელს: „ვაჟო, შეილივით გაგზარდე, რად მიყავ ესრეთი საქმე, რად შემიცვალე ლხინი ჭირადო. ხვარაზმშას სისხლი რად დამდე კისერზეო. თუ ჩეი ქალი გიყვარდა, რატომ არ შემატყობინეო?“ ვაჟმა მეფეს შეუთვალა: რადგანაც ღმერმა ვაჟი არ მოგცათ, ინდოეთი ჩემიაო და ვერავის დაუთმობ, მინამ მე წელზე ხმალი მარტყიაო.

### ნესტან-დარეჯანის დაკარგვის ამბავი.

ტარიელი ძრიელ ნაღვლობდა, რომ სასიძოს მოკვლის შემდეგ თავისი სატრფოს ამავეი ვრა ვაეგო რა. ერთს დღეს სველიანი მინდვრად გამოვიდა და შორს ვილაც ორი მგზავრი დაინახა. როცა მოახლოედნენ, ნახა რომ მონას თავგაგლეჯილი და სახე დაკაწრული ასმათი მოჰყავდა. ტარიელს თავს ზარი დაეცა, მიხვდა, ეს კარგს არას მოასწავებდა და დაუყვირა, რა ამბავიაო? საბრალო ქალმა ჯერეთ სიმწარისაგან ხმა ვერ ამოიღო; მერმე ტირილით მოახსენა, რაც ნესტან-დარეჯანს გადახდა.

როსტევან მეფემ ტარიელს რომ ევრა უყო, ჯაფრი უნდა თავის დაზე — დაეარზე ამოეყარა, რადგან ამას აბრალებდა თავის ქალისა და ტარიელის გამიჯნურებას. მეფემ დის მოკვლა გადასწყვიტა. ეს რომ დაეარმა შეიტყო, საშინლად გააფრდა, მისდგა საბრალო ნესტან-



დარეჯანს და ჯერედ უშვერი სიტყვით აგინა. მერმე სტაცა თმაში ხელი, წამოზიდა და იმდენი სცემა, ერთიანად დაალურჯა. ქალმა საბრალომ ერთი პასუხიც არ გასცა. დაეარმა რომ ცემით გული


# ვეფხისტყაოსანი

იჯერა, ვილაც ორი ზანგი მოასხა. მათ ჩასვეს ქალი კილობანში და გზას გაუდგენ ზღვისაკენ. დაეარმა კარგად იცოდა, რაც მეფისგან მოელოდა და ამის გამო ადგა, დანა დაიცა და თავი მოიკლა. რა ეგ უამბო ტარიელს, ასმათი ევედრებოდა: „მომკალ და ნულარ მაცოცხლებ, მიმადლე შენსა ღმერთსაო!“

ტარიელი ჯერ გაქვავდა ჯაერისაგან. მერმე გული გაიმაგრა და ასმათს უხრა, თავს ნუ იკლავო. საბრალომ გადასწყვიტა გავარდნა და სატრფოს ძებნა. მაშინათვე შინ დაბრუნდა, მოემზადა და ცხენზე შეჯდა; ას სამოცი დარჩეული მოყმე თავისი წაიტანა, ასმათიც თან წაიყვანეს და წავიდნენ. იარეს, ზღვის პირს მიადგნენ; იქ გემი დახედათ წამსლეელი; ჩასხდნენ შიგ და იწყეს ძებნა. ოცი თვე ზღვა-ზღვა იარეს, ბევრი იკითხეს, ეძიეს, მაგრამ მნახველიც კი ევრეინ ჰპოვეს. ამ დროს განმავლობაში ტარიელს ზოგი მხლებელი მოუყვდა, ზოგიც მოშორდა და შინ დაბრუნდა. დარჩა მასთან მართო ასმათი და ორიც მონა. ტანჯულს ტარიელს სულ ზღვაში სიარული მოსწყინდა; თავი დაანება და ხმელეთად გამოვიდა.

გ. იოსელიანი.

(შემდეგი იქნება.)



## ბენიამინ ფრანკლინი

**ქ**რთი დიდის სახლის ჩარდახში შემოფარგლული იყო პატარა კუნჭული ოთახად, საცა მოთაესდებოდა მხოლოდ ერთი ლოგინი, ერთი პატარა საწერი სტოლი თავის სკამით და თარო წიგნებით. ამაში ცხოვრობდა ერთი თხუთხმეტი წლის სტამბის შაგირდი.

ყმაწვილი იჯდა სტოლთან და ლურჯი რვეულიდან ბეჯითად იწერდა ერთ დიდ თაბახ ქალღმრთელს. ეს იყო შუათანა ტანისა, ჩასუქებული და ჯან-მრთელი ყმაწვილი; იმის სახის ჭკვიანური გამოუმეტყველობა უნებურად ყველას იზიდავდა, მისი ჭროლა, ნათელი თვალები, პატიოსნებით საესე, ალერსიანად გამოიყურებოდა.

საქმემ მთლად გაიტაცა ჭაბუკი. ოთახში ცხელოდა. ბული იდგა. მოისმოდა მხოლოდ ბუზების ბზუილი და მუყაითი გადამწერის კალმის წრიპინი.

ყმაწვილს ოფლის წუნწკლები უხვად ჩამოსდიოდა გადაშლილ მშვენიერ შუბლზედ. მაგრამ ამას სიცხე არაფრად მიაჩნდა, მალ-მალ თავს მალლა აიღებდა ხოლმე, ხშირ ქერა თმებს, თვალებზე ჩამოშვებულს, ხელით გადიყრიდა უკან და ისევ განაგრძობდა წერას. ქალღმრთელი ერთი თვალის დახამხამებაზედ სხილი და გარკვეული ნაწერით იფარებოდა, ხოლო გადამწერი, თითქოს განგებ იცვლიდა ხელს.

კიბეზედ უეცრად მოისმა ფეხის ხმა. ყმაწვილმა ერთ წამს სტაცა ხელი რვეულს, ქალღმრთელს და სტოლის უჯრაში ჩაყარა.

— ბენიამინ, სად დალუპულხარ? მოესმა ვილასიკ უკმაყოფილო ხმა. კარები გაიღო და თავი შემოჰყო იაკოფ ფრანკლინმა, რომელიც იყო ყმაწვილის უფროსი ძმა და სტამბის პატრონი. ბენიამინი მამას მიეხარებინა თავისი უფროსი შვილისთვის რამდენიმე წლით სასწავლებლათ.

## ბენიამინ ფრანკლინი

— ეს კიდევ რა შემოიღე? წამოიძახა იაკობმა, — დაბეჭდილი გაზეთის ფურცლები დასაკეცია, ნომრები უნდა მომზადდეს დასარიგებლად, შენ კი აქ მოგიკალათნია და ყურსაც არ იბერტყავ.

— ჩემი საქმე შევასრულე, ვახშობაც ხომ მალეა, სთქვა ბენიამინმა თავის გასამართლებლად.

— გაგითავებია რალა შენი საქმე? სხვების შევლა ცოდვად მიგაჩნია? იქ ყელამდის საქმეებია და შენ კი ვახშმად ემზადები! ჩალი ამ წამს ქვემოდა! ჯერ იმუშავე და მერე ჭამაზედ იფიქრე. პური მუქთად არავის მოსდის, — სთქვა ბუზლუნით გაჯავრებულმა ძმამ.

ბენიამინი თავ-ჩაღუნული, ნაღვლიანად წაჰყვა ძმას. ბავშობიდანვე ყმაწვილმა კარგად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ პური არსებისა მუქთად არავის ეძლევა. ამ ღარიბს მღებრის ოჯახში, სადაც საპონს და სანთელსაც აკეთებდენ, ბენიამინი მეთოთხმეტე შეილი იყო. ყმაწვილის გარშემო ყველა შრომობდა. ჯერ სრული რეა წლისა არ იყო, რომ დაიწყო მამის დახმარება, რითიც კი შეეძლო: პატრუქებს უმზადებდა, ქონს ყალიბებში ასხამდა, ღუქანში დახლიდრობდა და სხვა.

ბუნებითვე ბენიამინი ცოცხალი გონებიანი ყმაწვილი იყო. მაგრამ თავ-მომწონი, ანჩხლი ხასიათი ჰქონდა და დიდ ხანს მოუწინა თავის გაწურთენას, რომ ანჩხლი ხასიათი დემორჩილებინა ჭკუისთვის.

ერთხელ ჯერ ათი წლისა არ იქნებოდა, რომ ბენიამინი დღესასწაულს დღეს ბაზარში წავიდა თავისთვის სათამაშოების სასყიდლად. გზაზედ შეხვდა ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც სტეირი ეჭირა. ბენიამინს ისე მოეწონა ეს სტეირი, რომ, რაც ფული ჰქონდა, სულ იმაში შეაძლია. ბიჭმაც დაუთმო. ბენიამინი შინ რომ მოვიდა, მოჰყვა უთაებლოდ სტეირის ჭიჭყინს, იმისაგან მოსვენება აღარავის ჰქონდა, ყველა გამოაყრუა. ძმებმა ჰკითხეს: მაგაში რა მიეცია?

ბენიამინმა უპასუხა: სულ, რაც ფული მქონდაო.

ყველამ ერთ-ხმად მასხარად აიგდეს: მოტყუებულხარ, სტეირი მაგ ფასად არ ღირს; იმ ფულით მაგას გარდა სხვა სათამაშოსაც იყიდლიო.

ბენიამინმა იგრძნო, რომ აჩქარებულა და სულელურად მოქცეულა. ისე შეწუხდა, რომ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა სტერი. ეს იყო და ეს. პირობა მისცა თავის თავს, სანამ რასმე ეიყიდდნე, ჯერ ფასს გაეიგებო. ამ შემთხვევამ დაუეწიყარი შთაბეჭდვლება მოახდინა ფრანკლინზედ, ისე რომ მოხუცებულებაში ხშირად იგონებდა, როცა დააპირებდა რაიმე საქმის დაწყებას, ჯერ კარგად იფიქრებდა, ასწონდა, დასწონდა -- ღირს ჯაფად თუ არაო და იტყოდა: სტერიის ამბავი კიდევ არ მინდა დამემართოსო.

ჭკვიან და გამჭრიახ მოხუცებულ ფრანკლინს კარგად ესმოდა სწავლის მნიშვნელობა და, თუმცა ღარიბი იყო, შვილს მაინც ასწავლიდა სკოლაში.

ყმაწვილი დიდი ნიჭიერი გამოდგა, მასწავლებლები აღტაცებაში მოდიოდნენ, თავმოყვარე მამას იამებოდა ხოლმე შვილის ქება, მაგრამ ხშირად ჩაფიქრდებოდა კიდევ: --სწავლამ ბენიამინს შინაურ საქმეზედ, ცოტა არ იყოს, გული ააყრევინა. ყმაწვილს პატრუქები რალათ მოაგონდებოდა, როდესაც იმის ჭკუა-გონება გატაცებული იყო ისტორიული გმირებით და შორი უცნაური ქვეყნების მშვენიერი აღწერით. ყმაწვილს საშინლად უნდოდა ზღვის მოხელედ გამოსულიყო. მაგრამ მის მამას არ ეპიტნაებოდა არც იმის სწავლელობა და არც იმის ზღვის მოხელედ გამოსვლა.

„ევ ჩვენ რა ხელს მოგვცემს! მეცნიერება უფრო მდიდარს კაცს შეშვენის და ზღვის მოხელედ დადგომა საშიშოა“, ამბობდა იგი.

მოხუცებული სულ ზრუნვაში იყო, რომ შვილი რაიმე ხელობაზედ დაეყენებინა, მაგრამ საქმე საქმეზედ ვერ მოეყენა. ბოლოს ერთი მშვენიერი აზრი მოუვიდა თავში, იმის უფროს შვილს, იაკობს, ქალაქ ბოსტონში ჰქონდა სტამბა და საკუთარი პატარა გაზეთი.

— მოდი ბენიამინს მივაბარებ ძმასთან შავირლათ. წიგნები ყოველთვის ბლ ომად ექნება, სტამბაში საქმე ბევრია და მუშაობით ფულს ბლომად იშოვის.

აგრეც მოახდინა. ბენიამინი მიაბარა სტამბაში თორმეტი წლის ვადით.

იაკობი ისე უყურებდა თავის ძმას, როგორც სასტიკი ოსტატი შავირდს, ხშირად უსამართლოდაც ეკიდებოდა, ისე რომ ჩვილმა და კეთილის გულის ყმაწვილმა არა თუ არ შეიყვარა ძმა, პატივსაც აღარ სცემდა.

ერთხელ საღამოთი იაკობ ფრანკლინთან მოგროვდენ ორი სამი მეგობარი; მოხუცი მამაც ესტუმრათ და დაიწყეს ქალაქის ახალ ამბებზედ ლაპარაკი, მამის წყალობით ბენიამინიც აქვე კუთხეში იჯდა და ისმენდა იმათ ბაასს.

— საიღამ იშოვე, იაკობ, ახალი თანამშრომელი, უთხრა ერთ მეგობართავანმა. — შენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში ვილაცა სწერს კარგადა და სახელსკი არ აწერს. რად მალავს თავის სახელს? ურიგოთკი არ არი დაწერილი, ყველანი სიამოვნებით ვკითხულობთ.

— მართალია! წამოიძახა მოხუცებულმა ფრანკლინმა, — წერილები მოკლედ და გარკვევით არის დაწერილი.

— წარმოიდგინეთ, მე თითონ არ ვიცი, ვინა სწერს, სთქვა იაკობმა, სტამბის კარებში შემოგვივადებენ და ვის-მოაქვს ის კი არ ვიცი, ვერ შევიტყე.

— ეს კაი თამაშა! ვინ უნდა იყოს ეგ უცნობი მწერალი?

— თუ ეგრე რიგათ გინდათ შეტყობა, ნამდვილს მე გეტყვით, სთქვა ერთმა სტუმართავანმა და თავმომწონეთ გადახედა თავის მესაუბრეს. — წუხელის ენახე ჩვენი ვილიამი, ჩამაცივდა რომ უთუოდ უნდა წაიკითხოვო ის ნაწერები, რომელზედაც ეხლა ჩვენ ვლაპარაკობთ. მე მიხვდი, რომ იმის დაწერილი იქნება. იმისებურად არის აზრები გამოყვანილი.

— მართლა, უთუოდ იმის დაწერილი იქნება, სთქვა ყველამ ერთ ხმად.

— სულაც არა! წამოიძახა ერთბაშად ბენიამინმა.

ყველამ მიიხედა ყმაწვილისკენ, ბენიამინს შერცხვა, სახე აენტო. თვალეზი ცრემლებით ავესო, რას არ მისცემდა, რომ წამომცდარი სიტყვა უკანვე წაეღო.

— მაშ ისიც გეცოდინება, თუ ვისი დაწერაა? ჰკითხა დაცინვით იაკობმა.

ბენიამინმა ხმა არ ამოიღო.

— და თუ არ იცი, გირჩევ ჩუმად იყო, თავის დაჭერა იცოდე და არ გაერიო იმ საქმეში, რაც არ შეგეცება, უთხრა გაჯავრებით უფროსმა ძმამ.

ბენიამინმა თავი ველარ დაიკავა და აღელვებულმა წამოიძახა:

— მე ვიცი, რასაც ვამბობ, საქმეც მე შემეცება. ვილიამის დაწერილი კი არ არის, ჩემი დაწერილია.

ყველამ გაკვირვებით ერთმანეთს შეხედა. სიჩუმე ჩამოეარდა.

— შენ, მგონი, ბოდავ, უთხრა მოხუცმა ფრანკლინმა.

— ან სტყუი, დაუმატა იაკობმა.

— არც ებოდავ და არც ვსტყუი. ჩემი დაწერილია. ზოგიც დამაცადეთ, ნახეთ, და ამსიტყვებით ყმაწვილი გავარდა გარეთ.

ერთს წუთს შემდეგ ისევ დაბრუნდა. ხელში ეჭირა ის ლურჯი რვეული, ჩარდახში რომ ჰქონდა. იმაში იყო შავად დაწერილი ყველა ის წერილები, რომელზედაც აქ ლაპარაკობდენ.

ეჭვი არ იყო, ბენიამინი მართალი გამოდგა, სტუმრები ახალგაზდა მწერალს ულოცავენ და ყველას უამბობდენ, რა საოცარი ამბავიც მოხდა ფრანკლინის ოჯახში.

— ბენიამინს რა კაი გოგრა ჰქონია და!.. ფიქრობდა, იმისი მამა, შინ რომ დაბრუნდა, — ღმერთმა ჰქმნას და ჰკუა კარგად გამოიყენოს.

იაკობმა სულ სხვანაირად მიიღო ეს ამბავი. ეხლა სულ იმ ფიქრში იყო, თუ როგორ გამოიყენოს თავისი უმცროსი ძმის ნიჭი.

ბენიამინს ნიჭს გარდა, სხვა თვისებაც სჭირდა — იყო დაუღალავი მშრომელი. ბავშობიდანვე საშინლად უყვარდა წიგნების კითხვა და საგნების შესწავლა. მეტადრე ეტანებოდა გამოჩენილი მწერლების ნაწერების კითხვას და იმითი შეაჩვია ხელი წერას, რომ გამოჩენილი თხზულებიდან ამოსწერდა შესანიშნავ ადგილებს და ხშირად ზეპირათაც დაისწავლიდა.

**რეგორ გახდა ბენიამინ ფრანკლინი სტამბის ჰატრანი.**

გავიდა ათი წელიწადი. ქალაქს ფილადელფიაში ერთი დიდი სახლის კედელზე, რომელსაც პირი მოედნისაკენ ჰქონდა, ზედ დიდრონი ასოებით ეწერა: ბენიამინ ფრანკლინის სტანბა“. ის ყმაწვილი, რომელიც ათი წლის წინედ სტანბაში შევირდათ იყო და თავისი უფროსი ძმის ბრძანებლობის ხელქვეითი, ეხლა იმას ეხედავთ სრულიად თავისუფალს და უფროსად თავისი საკუთარი სტამბისა, ახალგაზდა ყმაწვილ კაცს ეს თავისუფლება ადვილად არ დაუჯდა, ბევრი შრომა და დავიდარაბა გამოიარა, ბევრ საეარამო გარემოებას დაახწია თავი.

სულ ერთი წელიწადი არ გასულა მას აქეთ, რაც შეიტყეს ამის მწერლობა და ეს მშვიდი და წყნარი ყმაწვილი კაცი უკვე იძულებული გახადეს თავი ამოეყო ფილადელფიაში გახეხილი ტანისამოსის ანაბარა; ილიაში ამოჩრილი ჰქონდა პატარა ბოლჩა და ორიოდ წერილი ფული ჯიბეში ებადა; მაგრამ ამას ამხნევებდა ღ გულის უმაგრებდა ის გარემოება, რომ ფრინველივით თავისუფალი იყო, საითაც მოინდომებდა, იქით გაფრინდებოდა.

უფროსი ძმის უსამართლობას და უსიამოვნებას ველარ გაუძლო.

— სჯობია გავიდე შარა გზაზედ და ქეები ვამტერიოვო ამ გვარ სიცოცხლეს, ქეეყანა დილია. მე ახალგაზდა და ღონიერი ვარ. ნუ თუ ისეთ საქმეს ვერ ვიშოვი, რომ ასე არ ჩავეშხამო დღენი ჩემნი. — სთქვა და გაშორდა ძმას.

ამ ამბავმა ბენიამინის ოჯახში დიდი უსიამოვნობა გამოიწვია. ყმაწვილმა კაცმა დასძლია ყველას და გასწია ფილადელფიაში, სადაც გაგონილი ჰქონდა, რომ იქ ესაჭიროებათ სტამბის მცოდნე კაცები.

ბენიამინი მშვიერ-მწყურვალე რაღაც დანჭლრეული გემით მიადგა ფილადელფიას. გადმოდგა ფეხი თუ არა დედა-მიწაზე, მაშინვე მეფურნე მოძებნა. როგორც მოგეხსენებათ ახალგაზდებს მადა კარგი აქვთ ხოლმე. რაც ორიოდ წერილი ფული მოეპოვებოდა, მეფურ-

ნეს გადუგდო და ძალიან გაუკვირდა, რომ ერთი პურის მაგიერად, სამი მთელი პური მისცეს.

— რა მდიდარი ვარ, და!... ცოტ ცოტასა ვჭამ, ორ დღეს გამოვიზოგავ, იფიქრა თავისთვის და გამხიარულდა.

მაგრამ მაშინვე ისიც მოაგონდა, რომ ამასთან ერთად გემით მოდიოდა ვიღაც საბრალო ქვრივი და ნაყიდი პურების ბედ-იღბალი სულ სხვანაირად გადაწყდა. ორი პური ჩაიღო ჯიბეში, მესამეს დაუწყო ჭამა და თან გაიქცა გემისკენ, მოსძებნა ის ქვრივი, მისცა პურები და მერე დინჯად აუარ-ჩაუარა ქალაქის ქუჩებს—იქნება სამუშაო რამე ვიშოვნოვო.

მართლაც ბედმა გაუღიმა, წაატყდა ერთ სტამბას, რომლის პატრონმა, ბატონ კიმერმა, აიყვანა თანაშემწეთ.

პირველ წლებში ბენიამინმა ბევრი გაჭირება ნახა. კიმერს არა გაეგებოდარა სტამბის საქმე და იმის საქმეებიც თანაშემწეს კისერზედ დააწვა. მხნე და შრომის მოყვარე ფრანკლინი დაჩვეული იყო მუშაობას. ბედს არ უჩიოდა, სულმოკლეობას არ იჩენდა და ადრინდელივით, დროს ჩაიგდებდა თუ არა, წიგნების კითხვას და მეცნიერების შესწავლას ახმარებდა.

ბენიამინმა დაწერილებით და თავდადებით შეისწავლა სტამბის საქმე და მუშა ხალხის ცხოვრება. ისე ბევრს ზრუნავდა და ფიქრობდა ხელოსნებზე, რომ იმათგან ყველასაგან დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ იმის ჭკუით, შრომის მოყვარეობით და გამჭირიანობით.

ამის სახელმა მიაღწია გუბერნატორამდის, რომელმაც მოინდომა ბენიამინის გაცნობა და კიდევც ამან წახალისა საკუთარი სტამბის გახსნა. დაჰპირდა ყოველ გვარ შემწეობას და მამასთან წერილი მიუწერა, რომ მშობელს აღმოეჩინა ბენიამინისთვის სახსარი მაშინების სასყიდლად.


მამამ უარი შემოუთვალა. „არც ფული მაქვსო და არც თერამეტი წლის ყმაწვილს შეუძლიან სტამბის გაძღოლაო“.

## ბენიამინ ფრანკლინი

მაშინ ბენიამინმა გროზობით მოგროვილი, მომჭირნეობით გა-  
 დადებული ფული გამოჰკრა და გაემგზავრა ლონდონს მაშინგბის  
 სასყიდლად. გუბერნატორმა ეხლაც დაჰპირდა ყოველ გეარ შემწეო-  
 ბას, მაგრამ ბოლოს ბენიამინი დარჩა იმ უშველებელ და უცხო ქა-  
 ლაქში უფულოდ, უპატრონოდ და უნაცნობოთ.

რას იქმოდა? იმის მაგიერად, რომ სტამბის პატრონად გამხდა-  
 რიყო, ისევე უბრალო მუშის ხელობას დაადგა. აქაც სულგრძელობა  
 გამოიჩინა, თავისებურად გულმოდგინედ დაადგა საქმეს ისე, რომ  
 სხვებზედ მეტს ფულს აძლევდენ ამ ხერხიან მუშას.

ბენიამინს არ უყვარდა ფულის ფლანგვა, ხელმოჭერილი კაცი  
 იყო, ღვინოს არა სვამდა, მაგრამ გაჭირებულ ამხანაგებს ფულს არ  
 უჭერდა, თავდებად უდგებოდა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი იცოდა,  
 ტკბილი მოლაპარაკე იყო, ამიტომაც ამხანაგებს უყვარდათ და იმის  
 გავლენის ქვეშაც იყვნენ.



ყმაწვილმა კაცმა წელიწადნახევარი დაჰყო ინგლისში; მოგზა-  
 ურობამ ცოდნა და გამოცდილებაც ერთი ათად მოუმატა. ბოლოს

მდივნად გაჰყვა ფილადელფიაში ერთ მდიდარ ეაჭარს. ეს კაცი მალე გადაიცვალა და ფრანკლინი ისევ ბატონ კიმერთან სტამბაში შევიდა.

იქ მუშაობდა ერთი შეძლებული ახალგაზდა კაცი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა საქმე ისე შეესწავლა, რომ საკუთარი სტამბა გაემართა. ამ ყმაწვილმა კაცმა ძალიან შეიყვარა ფრანკლინი და ერთად განიძრახეს ახალ საქმეს დასდგომოდენ; ამისი ფული უნდა ყოფილიყო და ფრანკლინის შრომა.

გამართეს ერთად სტამბა, მაგრამ ეს ახალგაზდა ყმაწვილი სუსტი აგებულობისა გამოდგა, დიდხანს ვერ გაუძლო საქმეს, გავიდა და გაიტანა თავისი თანხა.

ამ სახით ფრანკლინი გახდა სრული სტამბის პატრონი.

(შემდეგი იქნება)

ა. თ. წ—სა.



## მ ო გ ო რ ი ს წ ა ვ ლ ა ჰ ე ტ რ ე მ წ ი გ ნ ი

 ხალ წელიწადს ჰეტრეს აჩუქეს ერთი მშვენიერი ნახსატებიანი წიგნი.

ამას წინედ ჰეტრეს ბებია მწორედ ამ წიგნიდან ამოიკითხა კაი და საყურადღებო მოთხრობა.


ამბავი დაწერილი იყო ერთ ჰატარს ვაჟსედ, რომელიც მთვარესედ ყოფილიყო და ათანგვარი მოულოდნელი თავს გარდასსვალა შემთხვევოდ.

რითი გათავდა იმ ვაჟის მოგსაურობა, ჰეტრემ ვერ შეიტყო, რადგან ბებია მ მოთხრობა ბოლომდის არ წაუკითხა.

ჰეტრემ აიღო ხელში წიგნი, გადაფურცლავდა მოფურცლავდა, დიდხანს მუყაითად ჩანცქეროდა შავ ძარცვლებს თეთრს ქალღმრთელსედ გამოყვანილს.

# როგორ ისწავლა ჰეტრემ წიგნი

ჰეტრემ კარგად იცოდა, რომ ეს შავი ძარცვლები ან-ბანია; ამ ან-ბანის შეერთებით გამოვა სიტყვები და სიტყვებიდამ მშვენიერი მოთხრობები.



თავს არ უღებს ჰეტრე, სარმაცია, თორემ წიგნის კითხვას განა ვერ შეისწავლის! ბებიაძე რომ არ წაუკითხოს, განა თვითონ ვერ შეიტყობს იმ ემაწვილის თავს გარდასავალს ძოვარესედ? ბებიაძე გადაჭრით უთხრა: «ამას იქით ვედარ წაგიკითხავ, თვალები მიხდებო.»

ჰეტრეს ძალიან მოუნდა იმის შეტეობა, ემაწვილს ძოვარესედ რა დაეძროთა, უკუაგდო თავისი სარმაცობა და ორიოდ კვირაში ისე ისწავლა წიგნი, რომ ემაწვილის თავს გარდასივალს წაიკითხა.





## ბ ა ტ ი დ ა ლ ო რ ი

(გადმოკეთებული)



ბატი წყალში ცურავდა. უცებ რაღაც წყენა მოაგონდა, თავი მაღლა აიყელყელა და გაბრაზებულმა წამოიყიყინა: „აი ის ურცხვი, ისა.“

— ეინაო? ჰკითხა ღორმა, რომელიც თავით-ფეხებამდის ტალახში ამოსვრილი იყო და წყლის პირსა დინგით სანებვესა სჩიქნიდა.

— ეინა და ჩენი პატიოსანი ქალბატონი. დღეს დღით მოახლეს უჯავრდებოდა და იცი, რა უთხრა? ბატივით უტეინო ხარო, გეყურება, ბატივით უტეინო! ურცხობა მეტი იქმნება?!

— ოღონდაც რომ შენტვის ეგ ძლიერ საწყენია, უპასუხა ღორმა, მაგრამ უნდა გაგიტყდე და სულ ქვეშ გითხრა, რომ ქალბატონს სწორედ მართალი უთქვამს. ბატი რომ უტეინოა, ეს მთელმა ქვეყანამ იცის. დიახ, სამწუხაროდ, სრული ჭეშმარიტება უთქვამს.

— ჭეშმარიტებააო! მაშ ისიც იცოდე, რომ ზედ ქალბატონმა დაუმატა:— და ღორივით მურტალიო. გაიგე, ღორივით მურტალიო?


— რაო? ღორივით მურტალიო?! განა ეგეც მიჰქარა? რა ცოცხალი ტყუილი სცოდნია, თქვენი ჭირიმე. არა, შენ სწორედ მართალი სთქვი: აი, ის ურცხვი, ისა!

იაკობ სვიმონიძე.



ს ა ლ ს უ რ ი ლ ე კ ს ი

(ჩაწერილი არგვეთელისაგან)


 ათლია ჩემი მეწვია,  
 სნათლია ჩემი ცანცარა,  
 სამი ქათამი დაუკალ  
 შავი, ყრუნა და ნაცარა;  
 სამივე ისე შეჭამა—  
 წვერი არ დააცანცარა!



თ ა მ ა შ ო ბ ა


 ევლა მოთამაშე ბავშვები, ერთს გარდა, ვაკე ადგილას ირგვლივ  
 დასხდებოან, ორ ან სამ ნაბიჯზე ერთმანეთისაგან. ამასთანავე  
 თითოეულს პირი შიგნით წრისაკენ ექნება მიმართული და ზურ-  
 გი გარეთ. ფეხზე მდგომი ბავშვი გაიკეთებს ხელსახოცის ლახტს.  
 ლახტის გაკეთება ასე უნდა: გაშლი ხელსახოცს, შეგრეხ ორად, წვე-  
 რებს შეუკრავ და ლახტი მზად არის.

ლახტი რომ ხელში უჭირავს, ის ბავშვი ძირს მჯდომარე მო-  
 თამაშეებს გარს უყლის ჩქარი ნაბიჯით, ანუ რბენით და ამასთან  
 ცდილობს რომელსამე მათგანს ლახტი ზურგს უკან მიუგდოს და  
 ჩვეულებრივ გარბოდეს იმ გვარად კი, რომ უკანასკნელმა ეს ვერ  
 შეამჩნიოს. ამ დროს ყველანი ვალდებულნი არიან წრეს გარშემო  
 მორბენალს ბავშვს თვალი მოარიდონ და, თუ მაინცა და მაინც  
 ვინმემ შენიშნა, მეზობელს არ შეატყობინოს, რომელსაც ლახტი  
 მიუგდეს. თითოეული მოთამაშე მოვალეა ყური ცქვიტად ეჭიროს

და თითონვე შეიტყოს, როცა მას ლახტს მიუგდებენ. წესის დამრღვევ ბავშვს მაშინვე გამოირიცხვენ მოთამაშეთა გუნდიდან.


ლახტის პატრონი, ანუ მელახტე, ლახტს რომ მიუგდებს ვისმე, ისე განაგრძობს გარშემო რბენას, ვითომც აქ არაფერია, რომ ვისაც ლახტი მიუგდო, არ მიუხიდე. თუ მართლაც ეს უკანასკნელი ვერ შენიშნავს, მელახტე მოუბრუნს მეორე მხრიდგან, დასტაცებს თავისგანვე დაგდებულს ლახტს ხელს და რამდონსაც მოასწრობს, იმდენს დაჰკრავს ზურგში ძირს მჯდომსა უყურადღებობისა და გაუფთხილებლობის გულისთვის.

პირველ დარტყმის უმაღლესე ეს უკანასკნელი უცებ წამოხტება, დაეღებს ხელს ლახტს, რომელიც მელახტემ დარტყმას შემდეგ იქვე უნდა დაადგოს და გამოეკიდება, რომ მეტოქეს მიეწიოს და გარდაუხნადოს. ის კი თავის მხრივ ცდილობს ლახტი არ დაირტყას და რაც ძალი და ღონე აქვს გარბის იმ ადგილის დასაჭერად, საიდგანაც მისგან გალახული მოთამაშე წამოდება. თუ მან ამ ადგილს მისწრო და დაჯდა, მაშინ უკან მომდევარი რჩება ხანამშრალი და თავიდან იწყობს თამაშობას იმ სახით, როგორაც პირველმა მელახტემ დაიწყო.

თუ ძირს მჯდომარემ იმ წამსვე შეიტყო ლახტის მიგდება, მაშინვე წამოხტება, ლახტით გამოედევნება პირველს და ცდილობს, სანამ ეს ბინაზედ დაჯდებოდეს, დაეწიოს და „გასკრას“ ლახტის დარტყმით. ამ გვარად, თუ მეორემ პირველი მელახტე გასკრა, მაშინ ეს ისევე თავის ადგილზედ ჯდება და პირველი ისევე თავიდან იწყებს თამაშობას.

ყველაზედ მეტად გამარჯვებული ის არის, ვინც სრულიად არ „გაიჭრება“, ესე იგი არ დაირტყამს ლახტს, ან თუ დაირტყამს, მაინც სხვაზედ ნაკლებს. გამარჯვება კიდევ იმას შეუძლიან, სიციქიტესთან მუხლიც თუ მოსდევს, თუ ჩქარი რბენა იცის.





ანდაზები

1. კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი არც თავის დედასა.
2. ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამხანაგსა.
3. დღეს-ხვალეობით თოვლიც მოვიდა.
4. თუ კაცს არა სწადიან, რიყებზე ქვას არ დაინახავს.

გამოცანები

(ჩაწერილი ლ. მათიკაშვილის მიერ)

დამაცადე ყიყო, ბატონთანა რა გიყო,  
პერანგი შემოგახიო, თავი ცეცხლში ჩაგიყო.

(იმერეთში ჩაწერილი ანა ასათიანისაგან)

ბული და ორთქლი რა აღვალს, ჰაერთა შინა ჰყინდების,  
ოდეს მას ქარი ეცემის, ქვეყანაზედა ცვინდების.  
ტყე-მალნარ ბორციე ყოველი სპეტაკად განიწმინდების,  
მოიცემს ძალას სასტიკსა, დღე რა ღრუბლითა ბინდების.

(იმერეთში გაგონილი ორპირელის მიერ)

ჩვენ მოვიგებთ ჩვენი ხელით, ჩვენით მიწას გამოჩნდების,  
მას არ უნდა ძუძუს ჰმევა, სამს კვირაში გაიზრდების,

სიყმაწვილის დროს ვერ ვაქებ, უხმარია გაწბილდების,  
 და ყველანი მოხუცს ვეტოფით, რადგან ბოლოს გატკბილდების.

კაცის მიერ შექმნილია, უქაროდ არ ირყევინან,  
 ანათებს ვითომ ვარსკვლავი, სანამდის დაიღვევიან,  
 ზეცას ლეთაება, ქვე—კაცნი ყველანი მას ეთნევიან  
 და ვინც ხელით შეეხება, უკანვე დაიხვეიან.

### ს ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი

(მისგანვე ჩაწერილი)

საზანდარი ვარ ბერია  
 ნუ გამაჩერე ბევრია,  
 ორი ჭიქა ლეინო მასვი  
 სადილის მონარჩენია.

გოგია ჩემო მძახლო,  
 ნიადაგ კარზე დგენხარო,  
 მათარა ხელში გიჭირავს,  
 ლეინის მათხოვარს ჰგევხარო.

ა, ძაღლო, ჩემო კუდაო,  
 არ დამიხიო გუდაო,  
 საკურდღლეს რომ წაგიყვანე  
 ფეხები შეგეხუთაო.  
 მგელმა ენა ამოგართვა  
 მუხაზედ მიგაყუდაო.

(დ. ხალიშვილის მიერ წარმოდგენილი)

ყველიერში ყველი ვჭამე,  
ხორციელში ჩიტებიო.  
დედა შენსაც დაუზრდია  
ქოჩრიანი ბიჭებიო.

ზ მ ა


(წარმოდგენილი ანა ავალიანის მიერ)

ბარკალმა ხიდზე მისუსტა, მალლა ეიძახი შევლასა.  
თავადო რა გულისა ხარ მე კი შევიტყობ ყველასა,  
კაზუთხის ხორცით გაძეხი, მუცელზე წამოგბერავსა,  
აწ ვერას ვიტყვი ამის მცტს, შეჭკაზმა უნდა ყველასა,  
ზურგი ელიზბარს მივანდე. ერდოში შემეყვანაო,  
გაუბეყველი გაღურჩი — იმანვე შეინანაო!

ს ა მ ა თ ე მ ა თ ი კ ო გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი ლ. ორპირელის მიერ)

ღურგალს უბძანეს ჩაესვა ოთხ-კუთხი ფარღალალი, რომელსაც  
ჭკონდა თორმეტი გოჯი სიგძე, თორმეტი — სიგანე, ამისთვის მისცეს  
მასალათ ფიცარი სიგძით თექვსმეტი გოჯი და სიგანით ცხრა გოჯი.  
ღურგალმა მხოლოდ ორად გახერხა ფიცარი და ჩაუყენა ფარღალალს.  
აბა, შეიტყეთ რა ნაირად გაუხერხაეს ფიცარი?



1. 1. 1. 1. 1. 1.

5. 5. 5. 5. 5. 5.

8. 8. 8. 8. 8. 8.



ამ სამ წყობა რიცხვებში წაშლეთ თერთმეტი რიცხვი იმ გვარად, რომ დანარჩენი შვიდი რიცხვის ჯამი შეადგენდეს ოცდაჩვიდმეტს (37) და თითოეულ რაზმში თითო რიცხვი მაინც დარჩეს წაშლელი.

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი აპოლონისაგან.)


პირველ ასოთი ვიგონებ  
 მოსეს ჯოხს აყვავებულსა;  
 მეორით ედემს მშვენიერად  
 მრავალ ფერობით ქებულსა;  
 მესამე ასოთ მოვიხმარ  
 ისევ პირველში ნახმარსო;  
 მეოთხეთ იას მიემართავ  
 ვისესხებ პირველ ასოსა;  
 მეხუთე უხმო ასოა,  
 აღნიშნავს სამჯერ ათსაო.  
 ბოლოს აკაკის მიემართავ  
 მომახმარს ბოლო ასოსო.  
 მთლად გამოიცინობ იგია,  
 რაც შენთვის მოიღვაწესო,  
 მრავალ ფერობით შემკული,  
 პატარავ შენ მოგიძღვნესო.

რ ე ბ უ ს ი



იუმს

თუნდ



I-ის მ-ის გამოცანების ახსნა

1) კოდლა, 2) გუთანი, 3) ძილი, 4) ხელსაფქვევი, 5) წისქვილი, 6) ღობი.

ზ მ ა: შემოდგომა, ზამთარი, შობა, წვიმა, მოთაღე.

გ ა მ ც ა ნ ა: კაცი ქალის მამა იყო.

ს ა მ ა თ ე მ ა თ ი კ ა გ ა მ ც ა ნ ა: 16 ღღე.

შ ა რ ა დ ა: აკაკი.

რ ე ბ უ ს ი: ერთი რამა ქვეყანაზე ყველა თვე იბადება და მინამ თვისა გახდებოდეს კიდევაც კვდება; — მთვარე.

შ ა რ ა დ ა ახსნა ნიგოითის სასოულო სკოლის მოწაფემ ალ. ჯორბენაძემ — სამათემათიკო და სხვა გამოცანები ახსნა იმავე სკოლის მოწაფემ ნადია კალანდარიშვილმა.

საქმანწვილო სურათებიანი ჟურნალი

## ჭ ე ჯ ი ლ ი

წელიწადი მესამე

გამოვა 1892 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილი“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო გამოცანები, იგავეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება ალგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Красногорская ул., д. № 7 Назарова).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. შურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) საჩხერაში—ყარამან ჩხვიძისას.

ზოსტის აღრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакціи грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წეტყოელისა.

ნ ი ბ ე რ ი ა

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის,

მ ი ჰ მ ა რ თ ი ს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვა-  
რანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21,  
ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-  
ბის“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-  
მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის  
ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარ წლით—6 მანათი.



ქართული  
ენობის ცენტრი